# სარბიელი

სპორტული გაზეთი — სამშაბათი 23 დეკემბერი 2003 №244 (2015) — ფასი 50 თეთრი


# №1 პაველ ნედვედი




„ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში „იუვენტუსის“ ჩეხმა დიდი უპირატესობით აჯობა ანრის, მალდინის, შევჩენკოს და ზიდანს

„ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის შედეგები იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

## სორელმა გვითხრა ორეუარი ლოკომოტივი უკვე სამბზისაა



რატი ურუშაძე და მისი „ყოჩები“ ღირსეულად დამარცხდნენ



კლოდ სორელი ქართულ რაგბის დაემშვიდობა

მოსახდენი მოხდა — კლოდ სორელმა ნაკრების მთავარი პოსტი მანამდე დატოვა, ვიდრე საქართველოს რაგბის კავშირიდან ოფიციალურ ნოტას გაუგზავნიდნენ შინ, საფრანგეთში. „არ ვნანობ, რომ საქართველოს ნაკრებში ვიმუშავე. წყენა და ბოღმა არ მიმყვება. პირობას გაძლევთ, კლოდ სორელი ქართული რაგბის დიდი გულშემატკივარი იქნება“ — გვეუბნება ბორჯღალოსნების ან უკვე ყოფილი მეტრი.

ღმერთმა სულ სიკეთე მოგცეთ, ბატონო კლოდ და დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

ხოლო ვინ დაჯდება სორელის სკამზე, ამის გამოცხადებას რაგბის კავშირი ამ დღეებში გვპირდება. საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ნაკრები ქართველ მწვრთნელს ან სულაც მწვრთნელებს ჩააბარონ. არ გვინდა, ვიმარჩიელოთ, მაგრამ ვინ იცის, ბორჯღალოსნებს, აგერ, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფინალისტი გუნდის მწვრთნელმა უთავკაცოს, ანაც სულაც ფინალში ვერგასული გუნდის მეთაურმაც კი.

რაც შეეხება ამ შაბათს „ლოკომოტივზე“ გამართულ ფინალს, საჩემპიონო მატჩი ქართული ბურთაობის კვალობაზე მშვენიერი გამოდგა. „ლოკომოტივმა“ 18:15 დასცა „ყოჩები“ და ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ შემართა „ბზის თასი“.

## მომავალი წლიდან სარბიელი ორშაბათსაც გამოვა

# ალბანეთმა ჩვენი მეგსი ქულა უკვე მიითვალა

**კიდევ** საქართველო — ტირანაში თურმე ფეხბურთის ქომაგები საუბარს რომ შეჰყვებიან, ასე იტყვიან და ამატებენ, ალბანეთი და საქართველო ერთმანეთს რომ დაშორდნენ, წილისყრისას ერთ კალათში უნდა იყვნენ, სხვა შემთხვევაში ჩვენი მეტოქეობა გარდაუვალიაო.

„საქართველო, ჩვენი ბედი" — ასე **დაასათაურა ალბანურმა სპორტულმა გაზეთმა „ექსპრეს სპორტმა"** მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შედეგების მიმოხილვა. „ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის წილისყრისას წინასწარ გვეცოდინება, რომ ქართველები ჩვენს ჯგუფში იქნებიან და უფლებას ვთხოვთ, თავს ნულარ შეიწუხებს და კალათებიდან ორით ნაკლები ბურთულა ამოიღოს" — წერს ალბანელი ჟურნალისტი, რომელსაც თურმე ჯერ არ ჰქონია თბილისში ყოფნის ბედნიერება და ამჯერად მაინც ეცდება თავისი სურვილის დაკმაყოფილებას და რედაქციას „ქართულ" მივლინებას გამოსთხოვს.

გასაკვირი, აბა, რაა, მაგრამ მაინც — შესარჩევი ეტაპის წილისყრის მერე ალბანელები ჯგუფიდან გასვლაზე ალაპარაკებულან.

— ალბანეთში თითქმის ყველა ერთ აზრზეა, ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები მოხვდნენ და თამამად შეგვიძლია, გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაზე ვიფიქროთ. ფრანკფურტის წილისყრა ჩვენთვის კარგი გამოდგა, მთავარი იყო, გრანდებს ავცილებოდით, ასეც მოხდა, რამაც ძალიან გაგვახარა — გვითხრა ჩვენმა ალბანელმა კოლეგამ მიქელე იანკუმ, რომელიც თბილისში ორჯერ უკვე ნამყოფია და ქართული ავ-კარგისა ბევრი იცის.

— ყაზახეთის გარდა, ჯგუფის ყველა გუნდთან ჩვენებს აქამდე უთამაშიათ — აგრძელებს იანკუ — საქართველოსთან, როგორც იქნა, ნავსი გავტეხეთ და შინ უკვე ორჯერ დავამარცხეთ. მოგვიგია ბერძნებთან, თურქეთთან სამჯერ და დანიასთანაც კი. 1963 წელს დანია ტირანაში 1:0 დავამარცხეთ. თურქები სტუმრად ზედიზედ ორჯერ, 1998 და 2001 წლებში დავამარცხეთ. ხუთი წლის წინანდელ მატჩში თურქებს სულაც 4:1 მოვუგეთ. უკრაინას ალბანეთი ორჯერ შეხვდა და, სამწუხაროდ, ორჯერვე წააგო. თუმც კიევური მატჩის შემდეგ უკრაინელები ტირანაში არ ჩამოსულან. მაშინ ჩვენთან ომი იყო და უეფამ მატჩი ესპანეთში გადაიტანა, სადაც ჩვენებმა წააგეს.

მიქელე იანკუ, რომელიც, ზოგადად, ალბანური სპორტული მასმედიის აზრს გადმოგვცემს, ამბობს, რომ ალბანეთს შინ ყველა მეტოქის დაჩოქება ძალუძს. ყაზახეთი და საქართველო კი სათვალავშიც არ არიან, იმდენად დარწმუნებულნი არიან „არწივები" ქართველების დამარცხებაში. ალბანელები, თურმე, ჩვენებზე მეტად ყაზახეთს უფრთხიან — მათი ძალა კაციშვილმა არ იცის და რეიტინგში იმიტომ ჩამოგვრჩებიან, რომ აქამდე არ უთამაშიათო, წერს „ექსპრეს სპორტი". იმავე გაზეთის თქმით, ალბანეთი და საქართველო ტოლ-სწორი გუნდები არიან და მნიშვნელობა ნაკლებად აქვს იმ ფაქტს, რომ წილისყრისას ფიფამ ქართველებს მეხუთე კალათა არგუნა, ალბენეთს — მეექვსე.

და მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდაა და ღმერთმა უწყის, ეროვნულ გუნდს ახალი თავკაცი როდის ჩაიბარებს, ალბანელთა გერმანელი მწვრთნელი ჰანს-პეტერ ბრიგელი მომავალი შესარჩევი ციკლისთვის მზადებას უკვე შესდგომია. წინა კვირას მწვრთნელმა ტირანაში ალბანური კლუბების ფეხბურთელები შეკრიბა და ორი ტესტ-მატჩიც ჩაატარა. ბრიგელს ერთბაშად 30-მდე ფეხბურთელი ოთხდღიან შეკრებაზე ჰყავდა და მათ შესაძლებლობებში ერკვეოდა. საბოლოოდ 15 ფეხბურთელი შეარჩია, რომლებსაც ლეგიონერებს დაამატებს და შესარჩევის გზას გაუყვება. შემოდგომამდე კი ალბანეთის ნაკრები თებერვალში ტირანაში ამხანაგურ მატჩს გამართავს ევროპის ჩემპიონატის მონაწილე შვედეთის გუნდთან. ეს შეხვედრა თურმე ერთ-ერთმა ალბანურმა ტელევიზიამ გაჩარხა, რომელსაც ნაკრების მატჩების ჩვენების უფლება ეკუთვნის. აპრილში კი ალბანეთს ესტონეთი უბრუნებს „ვალს" და ამხანაგური მატჩისთვის ტალინში იწვევს. ალბანეთ — ესტონეთმა ნოემბერში ტირანაში ითამაშებს. მაშინ 2:0 მასპინძლებმა იმარჯვეს.

— სწორედ ესტონელებთან მატჩში გამოჩნდა ერთი ისეთი ფეხბურთელი, რომლისაც ბრიგელს ძალიან ეიმედება. მწვრთნელი ამბობს, შკემპს უდიდესი მომავალი აქვს და თავს თუ მიხედავს, ვარსკვლავი გახდებაო. შკემპი ამჟამად ხორვატიულ „რიეკაში" თამაშობს, თუმც მას რამდენიმე ცნობილი დასავლეთევროპული კლუბი ეპატიჟება. ეს ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებთან მატჩებისთვისაც ჰყავდა ბრიგელს გამოძახებული, მაგრამ მაშინ არ ათამაშა, გამოცდილებს ენდო, ახლა კი მწვრთნელმა შკემპი მნიშვნელოვნად დააწინაურა — გვითხრა მიქელე იანკუმ.

და კიდევ: ალბანეთში უკვე ქულებიც დაუთვლიათ და დაუგეგმავთ. საქართველოსთან და ყაზახეთთან ექვს-ექვსი, უკრაინასთან, თურქეთთან და კარგი იქნება თუ საბერძნეთთანაც, ოთხ-ოთხი ქულა და დანიასთან — სამი. გამოვიდა, რომ ალბანეთი უკვე გერმანიაშია. მაშ, საქართველოს რაღა?

**კობა ინასარიძე**



# გუგუშვილმა იანინა იუარა

**ელგუჯა გუგუშვილმა** უარი თქვა ბერძნული „იანინას" მწვრთნელობაზე.

გუშინ, როცა გუგუშვილმა თბილისის სპორტის სასახლეში, „ბენდელას თასზე" სათამაშოდ „ზოოვეტი" გაიყვანა, მაშინვე გასაგები გახდა, რომ ამ სპეციალისტმა საბერძნეთში წასვლას შინ დარჩენა და თავისი ინსტიტუტისა და გუნდის თავკაცობა არჩია.

ბერძნული მეორე ლიგის „იანინა" ერთი თვის წინ ქართველმა ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა შეიძინა. იანინადან თბილისში დაბრუნებულმა გიგანმა, არც დაფიქრებულა, გუნდის გაწვრთნა ელგუჯა გუგუშვილს შესთავაზა. მწვრთნელმა ცოტა ხანს იფიქრა და გუნდის თავკაცების წინადადებაზე წინასწარი თანხმობა თქვა, მით უმეტეს, რომ გუგუშვილი გიგანსა და კომპანიას კარგა ხანია იცნობს, გუგუშვილის გაწვრთნილი გიგანის „მორკინალს" ხომ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფშიც უთამაშია... მოკლედ, პრეზიდენტი და მწვრთნელი თითქოს შეთანხმებულნი იყვნენ, ჩვენ კი გუგუშვილთან დაკავშირებას საბერძნეთში ვაპირებდით. მაგრამ, როგორც გაირკვა, პროფესორმა გუგუშვილმა იანინაში წასვლაზე უარი თქვა:

„შინ ვარ, მუშაობისთვის კარგი პირობები მაქვს, ვაკეთებ საყვარელ საქმეს — ვხელმძღვანელობ ზოოვეტერინარულ ინსტიტუტს და ვწვრთნი ამავე ინსტიტუტის გუნდს, საბერძნეთი კი ჩემთვის მაინც უცხოა" — ასე თქვა გუგუშვილმა, რომელსაც გუშინ გამოველაპარაკეთ.

საბერძნეთი უცხოაო და, აქვე ისიც ვთქვათ, რომ ელგუჯა გუგუშვილი, რომელიც თავის დროზე ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე იყო, პირველი ქართველი მწვრთნელია, ვინც უცხოურ გუნდსა და ნაკრებს ხელმძღვანელობდა. პროფესორი აშხაბადის „კოპეტდაღსა" და თურქმენეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელი იყო.

**კობა ინასარიძე**

## ინგლისი

პრემიერლიგა. XVII ტური

**მანჩესტერ სიტი 1:1 ლიდსი**

## პორტუგალია

სუპერლიგა. XV ტური

**ალვერკა 1:2 პორტუ**

## იტალია

სერია C1/A. XVI ტური

**პიზა 0:3 ჩიტადელა**

# რა ხდება საქართველოში?

## თუთუმლუ ერთხელ ნანახს ამჯობინებს

**თურქ აგენტ** ბაირამ თუთუმლუს, ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის ანრი მიშელის ჩამოყვანას რომ შეგვპირდა, გუშინ ერთხელაც დავურეკეთ. არ ათავისუფლებენ მერაბ ჟორდანიას? როგორია პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში? მართალია, რომ „ლოკომოტივის" პრეზიდენტიც დაიჭირეს? ეს და სხვაც ბევრი გვკითხა თუთუმლუმ და მერე თვითონაც გვითხრა სათქმელი.

— ანრი მიშელთან კონტაქტი არ გამიწყვეტია, მას კვლავაც აინტერესებს, თუ რა ხდება საქართველოში. მაგრამ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი მერაბ ჟორდანიას საკითხია — ჩვენ ხომ მოლაპარაკება ფედერაციის პირველ პირთან, პრეზიდენტთან უნდა ვაწარმოოთ. გადავწყვიტე, თბილისში 2-3 დღით ჩამოვიდე, რათა საკუთარი თვალით ვნახო ყველაფერი. თბილისში მალე ჩამოვალ. ჩემი დანაპირები ძალაშია — თუ ყველაფერი ნორმალურად დამთავრდება, ცნობილ მწვრთნელს აუცილებლად ჩამოგიყვანთ.

**დავით თაგართქილაძე**

# დინამო პარდოზისთვის



**გუშინ** სპორტის სასახლეში „ბენდელას თასის" ტრადიციული ტურნირი დაიწყო — სამ ჯგუფად დაყოფილი თორმეტი გუნდი მინი-ფეხბურთის თამაშით გაინაწილებს ადგილებს.

დღის პირველი მატჩი „ოფის-ლაინი" — „ნაციონალი" იყო. „ოფის-ლაინის" შემადგენლობაში არიან ვეტერანი ფორვარდი ბუბა ტყავაძე, ხერხემლის ტრავმით გატანჯული და უკვე მომჯობინებული გიორგი კიკნაძე, ვიტჯორჯიელი ლაშა ნოზაძე და, რაღა თქმა უნდა, გიორგი დემეტრაძე. არც „ნაციონალია" ურიგო გუნდი — მოსკოვის სპარტაკელი ვალერი აბრამიძე, დინამოელი მამუკა წერეთელი, ბოლნისელი დავით ბაქრაძე. მოკლედ, საინტერესო თამაში გაჩაღდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმი გამოდგა თვალსაჩინო, შედეგი კი ლოგიკური გახლდათ — „ოფის-ლაინი" უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

გუნდთაგან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება კი გუშინ „მაისმა" დატოვა — დაცვაში გიორგი შაშიაშვილი, შუაში ალეკო გოგობერიშვილი და გიორგი დეკანოსიძე, მარცხნივ დავით კვირკველია, მარჯვნივ ლადო ბურდული, წინ ლაშა ჯაკობია — რა უნდა ექნა „ჩიხურას" ასეთ შემადგენლობასთან?

თბილისის „დინამოს" საუკეთესო ფეხბურთელებმა თუ „მაისში" მოიყარეს თავი, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ტურნირზე „დინამო 2"-ით წარდგა, სადაც 18 წელზე უფროსი არავინაა. თვრამეთწლემდელთა „დინამომ" სტუდენტებს არაფერი დაუთმო.

მოულოდნელი იყო „თბილისის" მარცხი „კახეთთან" — თბილისელები, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით იყვნენ, მაგრამ კახელებს უფრო მეტი მონდომება და ნიათი ემჩნეოდათ და გაიმარჯვეს კიდეც.

დღის ბოლო მატჩი დაძაბული და ხალისიანი გახლდათ — „ლოკომოტივი" და „ვაკე-91" დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები ჩანან მინი-ფეხბურთში. რკინიგზელთა რიგებში არიან დავით სირაძე, დავით დათვაძე, ალეკო კაიდარაშვილი და ლაშა ჩხაიძე, ხოლო ვაკელებში ყველაზე ცნობილი გვარსახელი დინამოელი ლევან მელქაძისა გახლავთ. ვაკელთაგან გამოირჩეოდა დავით გოგოლაძეც. ეს მატჩი ალბათ დღის საუკეთესო შეხვედრა იყო — გადამწყვეტი გოლი მელქაძემ გაიტანა.

ერთიცაა, მოედანზე ხელოვნური საფარი არ არის და სპორტის სასახლეს არ ათბობენ, თუმც ვისაც მინი-ფეხბურთის თამაში და მისი ნახვა სურს, ეს ალბათ დიდად არ დააბრკოლებს.

**დავით თაგართქილაძე**

22 დეკემბერი

### I ჯგუფი

**ოფის-ლაინი 3:2 ნაციონალი**

**გოლები:** ქიაბრიშვილი (2), დემეტრაძე („ოფის-ლაინი"); გაგუა, აბრამიძე („ნაციონალი")

**დინამო 3:2 თსუ**

**გოლები:** გიგაური, კანკავა, ბერიძე („დინამო"), ტყებუჩავა, ხუციშვილი („თსუ")

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ოფის-ლაინი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| თსუ | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ნაციონალი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |

### II ჯგუფი

**მაისი 6:2 ჩიხურა**

**გოლები:** ჯაკობია (2), ბურდული (2), გოგობერიშვილი, შაშიაშვილი („მაისი"); მაზანაშვილი, მეტრეველი („ჩიხურა")

**ლოკომოტივი 2:3 ვაკე-91**

**გოლები:** კაიდარაშვილი, დათვაძე („ლოკომოტივი"); გოგოლაძე, ჯაფარიძე, მელქაძე („ვაკე-91")

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაისი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:2 | 3 |
| ვაკე-91 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:6 | 0 |

### III ჯგუფი

**GWS 2:1 ზოოვეტი**

**გოლები:** სუხიაშვილი, ქკადუა (GWS); ჩალაძე („ზოოვეტი")

**თბილისი 1:2 კახეთი**

**გოლები:** ოდიკაძე („თბილისი"); სულთანიშვილი, არუდაშვილი („კახეთი")

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| GWS | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| კახეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| თბილისი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:2 | 0 |
| ზოოვეტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:2 | 0 |



გაგრი ქილიანის ფოტო

კახა კალაძემ საქმე სანანებლად გაიხადა



1:1 — „ჰართსს“ შოთა არველაძემ გაუთანაბრა

# კალაძეს მძიმე ხელი ჰქონია

## ერთი მოქნევით ბერტოტო და მილანი აზარალა

**პირველსავე** იტალიურ სეზონში კახა კალაძე „რომასთან“ მატჩში გააძევეს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და კვირას, „რომასთან“ თამაშამდე ტურით ადრე, „კარლიტომ“ ისევ წითელი ბარათი იხილა.

შორიდან ისე ჩანდა, რომ ყველაფერი ქართული სიფიცხის ბრალი იყო — კალაძემ ბერტოტოს ხელის კვრა არ აპატია და ლაზათიანი უთავაზა. ქართველს ხელი ხეირიანად მოქნეულიც არ ჰქონდა, მსაჯი ბერტინი წითელი ბარათით რომ გარბოდა მისკენ. სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ: კალაძეს სიფიცხემ რომ გადაუარა, სარბენი ბილიკებიდანვე მიუტრიალდა ბერტოტოს, წამოაყენა და ბოდიში მოუხადა, რაც, ცხადია, თავად „მილანისთვის“ დიდი ვერაფერი შეღავათია, რაკიღა ქართველ ლეგიონერს დისკვალიფიკაცია არ ასცდება და ამის გამო „რომასთან“ პრინციპულ მატჩში ვერ დაეხმარება „როსონერის“.

„მილანი“ მოულოდნელად ჩაფლავდა „უდინეზესთან“. აჭრილი იყო ჩვენებურიც. აკი დებიუტშივე მისი შეცდომის შედეგად გახსნა ფავამ ანგარიში, ბოლოს კი ის გამოვიდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი ახალ წელს მესამე ადგილით შეხვდება.

წინასაახალწლოდ გაწბილდნენ ფრაიბურგელი ქართველებიც. ბუნდესლიგის საპირველწრეო ბოლო ტურში „ფრაიბურგმა“ მშობლიურ არენაზე ექვსჯერ ააოხრებინა კარი „ბაიერნს“. ულიმღამოდ ითამაშეს ცქიტიშვილმა და იაშვილმა. შინ ვერ ივარგა ლევან კობიაშვილის „შალკემაც“, თუმც გელზენკირხენელთა ამბავი „ფრაიბურგთან“ რა მოსატანია — „შალკემ“ ფრე გააგორა ერთი შეხედვით იოლად მოსაგებ მატჩში „ვოლფსბურგთან“.

ზამთრის ბოლო გამოცდა ხვიჩა შუბითიძის გარეშე ჩააბარა მეორე ბუნდესლიგელმა „აუემ“. რუსთაველი თავდამსხმელი დისკვალიფიცირებული იყო. აუელებმა კი „უნტერჰახინგთან“ სტუმრად 2:1 ივარგეს.

კვლავაც ტრავმირებულია ზურაბ ხიზანიშვილი, რომლის უქმობაც მინიმუმ ერთ თვეს კიდევ გასტანს, თუმც „აიბროქსზე“ ქართული სიტყვა მაინც ითქვა — შოთა არველაძემ გოლი შეაწია „რეინჯერსს“ და „ჩაფრებმა“ მძიმე მატჩში „ჰართსი“ 2:1 დაამარცხეს.

არველაძე ახალ წელს ახალი კონტრაქტით შეხვდება. გლაზგოელებმა ქართველს ერთი წლით შესთავაზეს ხელშეკრულების გაგრძელება და თანხმობაც მიიღეს.

**პაატა ქვანტალიანი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | უდინეზე 1:2 | 80 | გააძევეს | 1 | 0 | 3 |
| | | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ვოლფსბურგი 1:1 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 0 | 8 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბაიერნი 0:6 | 90 | | 15 | 6 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბაიერნი 0:6 | 90 | | 15 | 1 | 10 |
| | | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | უნტერჰახინგი 2:1 | 0 | | 17 | 6 | 14 |
| | | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | ჰართსი 2:1 | 90 | 1 გოლი | 12 | 10 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | ჰართსი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 2 |
| | | | **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | აიაქსი 2:0 | 90 | | 15 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# კორღალო... ხალხს უნდა დამენახოს

**ახალ წელს** რიგაში შეხვდება „სკონტოს“ ქართველი ლეგიონერი ლევან კორღალიძე. ლევანი გუშინწინ ლატვიაში გაემგზავრა და გუშინ გუნდთან საახალსეზონო პირველი ვარჯიშიც ჩაატარა.

„სკონტომ“ წინა სეზონშიც იჩემპიონა და ამაში თავისი წილი ჩვენებურმაც დაიდო. წესით, ლატვიელებს სეზონებს შორის უფრო დიდხანს უნდა დაესვენათ, მაგრამ, ლევანის თქმით, რიგელებს „თანამეგობრობის თასის“ მოგება მოუნდომებიათ და ამიტომაც ნაადრევად შეუდგნენ სამზადისს. მოსკოვურ ტურნირს ლევან კორღალიძეც მოუთმენლად ელის.

— „თანამეგობრობის თასზე“ ... ვრი სელექციონერი ჩადის. ეს ტურნირი თითოეული ფეხბურთელისთვის ერთგვარი შანსია. ვნახ..., იქნებ მეც გამიღიმოს ბედმა და „სკონტოზე“ გაცილებით სოლიდური გუნდის წინადადება მივიღო — გვითხრა კორღალიძემ გუშინდელი სატელეფონო საუბრისას. ცნობისთვის, რიგელებთან ქართველს ერთი საკონტრაქტო წელი დარჩა.

„სკონტოს“ გუშინდელ ვარჯიშს გუნდის და ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, გასული სეზონის ევროშესარჩევის ტრიუმფატორი ალექსანდრ სტარკოვსი არ დასწრებია. კორღალიძის თქმით, სტარკოვსი სასელექციო საქმიანობითაა დაკავებული და საწვრთნელ პროცესს რამდენიმე დღეში შეუერთდება.

**პაატა ქვანტალიანი**

*გიორგი გახოკიძის „ტვენტემ“ თავზე ხელი აიღო. ათდღიან ინტერვალში ენსხედელებმა სამი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. „ტვენტემ“ ბევრისთვის მოულოდნელად „ფეიენოორდი“ გააბითურა საშინაო მატჩში, ამას სათასო მერვედფინალში „აიაქსი 2“ დააყოლა და გუშინწინ ენსხედეში ნაღდი „აიაქსი“ წამოაქცია.*

*სამივე მატჩში ენსხედელთა წარმატებაში დიდი წილი დაიდო გოგა გახოკიძემ. ჩვენებურის გარჯა თუნდაც იმიტომ არის დასაფასებელი, რომ ტკივილგამაყუჩებელი ნემსებით თამაშობდა. გახოკიძე „აიაქსთან“ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, 90 წუთი დაჰყო მოედანზე და ჰოლანდიელი ჟურნალისტებისგან მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.*

*გოგა გახოკიძეს გუშინ ენსხედეში შევეხმიანეთ*



# ტვენტე დეკემბერში აყვავდა

## გახოკიძემ ტკივილი აიაქსით გაიყუჩა

— ეს დეკემბერი არასოდეს დამავიწყდება. ფანტასტიკურად აეწყო ჩემი და გუნდის საქმე. თამაშს თამაშზე ვიგებთ, თანაც ვისთან... ახლა მესამე ადგილზე მყოფ „ფეიენოორდს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამოვრჩებით. მოკლედ, მომავალი წლიდან სერიოზულ მიზნებზე შეგვეძლება ფიქრი.

**— სერიოზული მიზანი „ტვენტესთვის“ რა არის?**

— უეფას თასზე გამსვლელი ადგილის დაკავება, ჩვენი გუნდისთვის ეს დიდი წარმატება იქნება.

**— კვირას „აიაქსი“ დაამარცხეთ. ელოდი ამას?**

— „აიაქსი“ გრანდია, მის წინააღმდეგ ყველას უჭირს თამაში, თუმც ჩვენ კვირას ერთი უპირატესობა გვქონდა — საშინაო არენა. ვერც კი აღვწერ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე. მატჩამდე ორი დღით ადრე ცეცხლის ფასადაც ვერ იშოვიდა კაცი ბილეთს, ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ენსხედელი ფანების „სიგიჟეზე“ ლეგენდებს ჰყვებიან ჰოლანდიაში. მოკლედ, „აიაქსს“ ჯოჯოხეთი დახვდა.

**— თქვენმა გულშემატკივრებმა „აიაქსი 2“-თან ლამის მოედანი გადაწვეს პეტარდებით. მაშინ კინაღამ ჩაიშალა თამაში, მსგავსი ვითარება ახლაც ხომ არ იყო?**

— ცეცხლი და ფოიერვერკი კვირასაც არ მოჰკლებია სტადიონს, თუმც თამაშის ჩაშლამდე საქმე არ მისულა.

**— როგორი თამაში იყო?**

— „აიაქსს“ იბრაჰიმოვიჩის გარდა ყველა ჰყავდა. თავიდან მაგრად გაგვიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა დავლაგდით და ტაიმის ბოლოს ანგარიში გავხსენით. საგოლე ეპიზოდში მეც მივიღე მონაწილეობა. მეორე ტაიმი ნამდვილი სიგიჟე იყო. ხალხი ექსტაზში შევიდა, 5-6 გოლი უნდა გაგვეტანა. მომენტები მეტოქესაც ჰქონდა, მაგრამ ჩვენ წარმოუდგენლად არ გვიმართლებდა. ბოლოს მაინც გავიტანეთ მეორე გოლი და ამით ფაქტობრივად გადაწყდა კიდეც თამაშის ბედი. დიდი გამარჯვება იყო.

**— შენ თამაშს როგორ შეაფასებ?**

— თავის ქება არ მჩვევია, მაგრამ კვირას მართლაც ყველაფერი გამომდიოდა. ეგ არის, გოლი ვერ შევაგდე. არადა, სამჯერ ასპროცენტიანი რომ ეთქმის, ისეთი მომენტი მქონდა, მაგრამ მეკარემ გაიგიჟა თავი. თუმც ბლეიზ ნკუფომ მეორე გოლიც ჩემი პასით გაიტანა. მთავარი კი ის არის, რომ მთლიანობაში გუნდმა ითამაშა ბრწყინვალედ. აქაურები ვერც კი იხსენებენ, „ტვენტეს“ ასეთი სეზონი ბოლოს როდის ჰქონდა. გუნდი თავდაჯერებულია, რადგან თავისი თამაში იპოვა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ უეფას თასის საგზურის მოპოვება სავსებით შესაძლებელია.

**— ამ თვეში მტკივანი ტერფით თამაშობ. კვირასაც ტკივილგამაყუჩებლით გახვედი მოედანზე?**

— ასე იყო. სხვა ვარიანტი არ მქონდა. მაშინ, უბრალოდ, არ უნდა მეთამაშა, მაგრამ გუნდის ღალატება გამოვიდოდა. „ტვენტეში“ ყველა მენდობა და წუთითაც არ მიფიქრია, ისე გავიკეთე ნემსი და მოედანზე გავედი.

**— ახლა როგორ გრძნობ თავს?**

— ტერფი ძალიან მტკივა. სიარულიც კი მიჭირს. გუშინ ექიმს გავესინჯე, დამამშვიდა, დრო უნდა და დაგიცხრებაო. ხვალ თბილისში ჩამოვალ და ქართველ ექიმებსაც ვეჩვენები. 5 იანვრისთვის მწყობრში უნდა ვიყო, რადგან სწორედ ამ დღეს გვეწყება შეკრება. მხოლოდ ენსხედეში მოვემზადებით, რადგან ჩემპიონატი 24 იანვარს განახლდება, 3 თებერვალს კი თასის მეოთხედფინალი გვაქვს სათამაშო...

**— სადაც მეტოქედ „ფეიენოორდი“ გყავთ. შეძლებთ კიდევ ერთხელ როტერდამელთა დამარცხებას?**

— გულშემატკივრების დიდი იმედი გვაქვს. თასის ეს ეტაპი მხოლოდ ერთმატჩიანია და სახლში თამაში დიდი შეღავათია ჩვენთვის. უნდა მოვიგოთ, სტიმული დიდია, „აიაქსი“ გამოეთიშა თასისთვის ბრძოლას და წარმატების კარგი შანსი დაუტოვა დანარჩენებს.

**პაატა ქვანტალიანი**

| | | |
|---|---|---|
| დინამო | - | ლინფილდი |
| საქართველო | | ჩრ. ირლანდია |
| 2 | - | 1 |
| 7 წთ არველაძე შ. | | N11 დინამო |
| 56 წთ ჯონსტონი | | N 9 ლინფ. |
| 66 წთ ინალიშვილი | | N 5 დინამო |

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# ოთხმოცდაცამეტი წელი

## ზაფხული ჩვენი მღელვარებისა

*გახსოვთ, რა მოხდა ათი წლის წინ? დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი პირველად გაიჭრა ევროპაში — თბილისის „დინამო“ ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდს“ შეხვდა ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე.*

*თუ რუბრიკის წინა ორ გამოშვებაში მურთაზ ხურცილავასა და თენგიზ სულაქველიძის ნაამბობი შემოგთავაზეთ, ახლა ახალი თაობის ჯერია — არჩილ არველაძე, ვისაც ფეხბურთელის კარიერაზე ხელი ჯერაც არ აუღია და მუხლის მოშუშებას ელის, „დინამო“ — „ლინფილდის“ ჭიდილის ერთ-ერთი მონაწილეა და სათქმელიც ეთქმის.*

*ერთიცაა — შიდა სამზარეულოს პრინციპების დაცვას ვერც ამჯერად მოვუძებნეთ სამტვრევი — „დინამო“ მაშინ ქრთამის გამო გავარდა ევროტურნირიდან, მაგრამ დღესაც საჯაროდ არავინ ამბობს, თუ ვისი ინსპარაციით შეაძლიეს ფული თურქ მსაჯებს, თუმც გასახსენებელი სხვაცაა...*

***დავით თავართქილაძე***



მია ახალაძის ფოტო

**ბუნდის** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დავით ყიფიანი ახალი წასული იყო და „დინამოს“ გაწვრთნას გივი ნოდია შეუდგა. სეზონისწინა შეკრება შვედეთსა და თურქეთში გავიარეთ. უკვე ვიცით, რომ ჩვენი მეტოქე „ლინფილდია“, მაგრამ არ ვიცით, რა გუნდთან გვექნება საქმე. მეტოქე ბრიტანული გუნდია ჩაწოდებებით და თავურებით — ასეთი ზედაპირული იყო ჩვენი წარმოდგენა „ლინფილდზე“. თუმც როგორც მერე თამაშმა გვიჩვენა, „მეორე სართულზეც“ დიდი ვერაფერი ხვითო გამოდგა „ლინფილდი“.

უცხოური შეკრებიდან თბილისში მატჩამდე 2-3 დღით ადრე ჩამოვედით. ძალიან ვნერვიულობდით, მატჩისწინა ემოციები ძალიან ძლიერი იყო. ფეხბურთელების უმეტესობას „დინამოს“ სტადიონის სავსე ტრიბუნების წინაშე არასდროს გვეთამაშა. ასაკიც თავისას შვრებოდა — 19-20 წლის ფეხბურთელი ასეთ ვითარებაში ერთობ ძლიერი სტრესის ქვეშ ექცევა. ერთი სიტყვით, ძალიან ვღელავდით.

კარგად გახსოვთ, რა არეული სიტუაცია იყო მაშინ საქართველოში, თუმც „დინამოსთვის“ ამას ხელი არ შეუშლია, სათანადოდ მომზადებულიყო ამ მატჩისთვის. მაგრამ ემოციური მომენტი ძალიან გამძაფრებული იყო — ჩვენი ნერვიულობა გულშემატკივარს გადაედო, გულშემატკივრისა კი ჩვენ.

წესრიგის დამყარება იმ არეულ, ომიანობის დროში ადვილი სულაც არ იყო, მაგრამ უსაფრთხოების გარანტიები უმაღლეს დონეზე განხორციელდა.

ნერვიულობამ პიკს თამაშის წინა ღამეს უწია. ლოგინში კი ჩავწექი, მაგრამ ვერა და ვერ დავიძინე. აივანზე გამოვედი, მერე ისევ ოთახში შევბრუნდი, მაგრამ მაინც ვერ ჩავთვლიმე. ისევ აივანზე გავედი და... მატჩის წინა ღამე ისეთი გამოდგა, რომ ფეხბურთელებმა ის ღილმის ბაზის თავ-თავიანთ აივნებზე გაატარეს.

როგორც იქნა, გათენდა, სალამომდეც მოვკალით დრო და ავტობუსში ჩავსხედით. შევედით სტადიონის ტერიტორიაზე და ჩვენს ავტობუსს ანთებული გულშემატკივრები გარშემოევლენ, დინამო, დინამო დასცხეს — ავტობუსი ქანაობდა, ხალხი მას აყანყალებდა. კლუბის დირექტორატის წევრ ვაჟა ჟვანიას კი თვალზე ცრემლი მოადგა დაატირდა.

საცაა, მინდორზე გავალთ. ეს ჩვენთვის მაშინ უმაღლეს დონეზე თამაშს ნიშნავდა, სადაც უნდა დაგვემტკიცებინა, რომ მართლაც მაგრები ვართ, რომ მართლაც შეგვიძლია „ლინფილდის“ შეჭმა.

კლუბის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ჩვენს ძალაზე გული არ ეთანაღრებოდა. ის ხომ ყოფილი ფეხბურთელი იყო და „დინამოს“ დირექტორატის ზოგიერთ სხვა წარმომადგენელზე უკეთ ხედავდა და ხვდებოდა ყველაფერს. მაგალითად, ზაზა ვეფხვაძესა და გია სვანაძეს თავიდან ძნელად თუ წარმოედგინათ, რომ „ლინფილდთან“ ასე კარგად ვითამაშებდით. მოკლედ, გვსურდა ყველასთვის დაგვემტკიცებინა ჩვენი შესაძლებლობები.

„დინამოში“ მაშინ შედარებით გამოცდილი ფეხბურთელებიც იყვნენ — გოჩა ჩიქოვანი, მიშა ყაველაშვილი, გელა ინალიშვილი, რეზი არველაძე, მურთაზ შელია, თუმც არც მათი გამოცდილება იყო ძალიან მდიდარი, ზოგიერთ მათგანს საბჭოთა კავშირის დუბლჩემპიონატში თუ ეთამაშა და ეგ იყო.



მია ახალაძის ფოტო

„დინამოს“ პირველი ევროპული სალამი დამოუკიდებელი საქართველოდან

შოთამ მაგარი გოლი შეაგდო, მერე ინალიშვილმაც გაიტანა, მაგრამ დასანანი გოლი გავუშვით — მატჩის დანარჩენი პერიპეტიების მოყოლას აღარ შევუდგები, მეტოქეს ყველაფერში მაგრად ვაჯობეთ.

თამაშის შემდეგ გასახდელში ვეფხვაძე და სვანაძე შემოვიდნენ, ძალიან თბილად მოგვილოცეს გამარჯვება, ყველანი გახარებულები და ამაყნი იყვნენ, ჩვენ, ფეხბურთელები კი, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილონი ვიყავით — მეტოქემ გოლი არაფრისგან გაგვიტანა.

ისიც კარგად მახსოვს, თბილისში უსაშველოდ ცხელოდა და მიუხედავად იმისა, რომ მატჩი გვიან დაიწყო, მაინც ძალიან ჩახუთული საღამო იყო. ამან ჩრდილოირლანდიელებზე უფრო ცუდად იმოქმედა, ნამატჩევს სულს ძლივს ითქვამდნენ, ლამის თერთმეტივე ლინფილდელი მინდორზე გაიშოტა.

პირველი მატჩის შემდეგ უკვე მივხვდით, რა გუნდი იყო „ლინფილდი“ და ჩვენი ძალაც უფრო ვირწმუნეთ. მეორე მატჩისთვისაც საკმაოდ ვნერვიულობდით, მაგრამ ამავე დროს დარწმუნებულნი ვიყავით, რომ არ წავაგებდით. ასეც მოხდა — შოთას გოლით დავწინაურდით, მერე „ლინფილდმა“ გაათანაბრა, მაგრამ მეტი ველარაფერი შეძლეს.

ტაიმებს შორის შესვენებაზე კი ფეხბურთელებმა რაღაც შევამჩნიეთ — ჩვენი დირექტორატის წევრები აფორიაქებულნი იყვნენ, რაღაც ისეთი ხდებოდა, რაც არ ვიცოდით, რასაც გვიმალავდნენ, მაგრამ რა? დირექტორატს კი ეტყობოდა, რომ უკვე რაღაც იცოდნენ.

მატჩი დამთავრდა, „ლინფილდი“ გზიდან ჩამოვიცილეთ და გვგონია, რომ შემდეგ ეტაპზე გავედით. გახარებულები ვართ და „ლინფილდის“ სტადიონის აუზში ხტუნვით ვიოკებთ სიხარულს. მაგრამ მერე და მერე, თბილისში ჩამოსვლამდე ჩვენს ბანაკში სიტუაცია იძაბება, ფეხბურთელებს თითქოს გვითხრეს კიდეც, რაც მოხდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი შინ დაბრუნებიდან მეორე დღეს გავიგეთ — „ლინფილდთან“ თბილისური მატჩის წინ თურქი მსაჯებისთვის ერთ-ერთ ჩვენებურს ფული მიუცია. მერაბ ჟორდანია სასწრაფოდ გაფრინდა შვეიცარიაში, უეფას ოფისში, მაგრამ დისკვალიფიკაცია მაინც არ აგვცდა.

ყველაფერმა ამან ფეხბურთელებზე ძალიან დამთრგუნველად იმოქმედა. „ლინფილდის“ შემდეგ „კოპენჰაგენს“ უნდა შევხვედროდით და თუ დანიელებსაც მოვუგებდით, მერე „მილანი“ გველოდა — ასეთ ფიქრებში და მოლოდინში ვიყავით...

მაინც როგორ მოხდა თურქი მსაჯებისთვის ფულის გადაცემა? ვინ, რატომ, რისთვის და როგორ გააკეთა ეს? მაშინ გაურკვევლობაში ვიყავით, არ ვიცოდით პასუხი ამ კითხვებზე, მოკლედ, სამართალი მაშინ ვერ გაირკვა, მერეღა გავიგეთ ყველაფერი...



კოპლებიანი ბურთების ეპოქას ის „დინამოც“ მოესწრო



მია ახალაძის ფოტოები

90-წუთიანი თბილისური ხვატის შემდეგ — „ლინფილდი“ მხართეძოზე

## იტალია

### სერია A. XIV ტური

**მილანი 1:2 უდინეზე**

0:1 ფავა (2), 0:2 სენსინი (51), 1:2 კაფუ (70)
*პირლომ ვერ გაიტანა პენალტი (20, ძელი)*
მილანი: დიდა, კაფუ, ლაურსენი (კოსტაკურტა 46), მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (ამბროზინი 68), სერჟინიო (ბორიელო 61), კაკა, ფ. ინძაგი, ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, ალბერტო (პიერინი 68), პაზიენცა (გარგო 79), პინცი, იანკულოვსკი, მუნტარი, იორგენსენი, ფავა (იანკერი 75)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: კაკა, პინცი, გატუზო, პაზიენცა, იანკულოვსკი
გაძევება: კალაძე (80)
მსაჯი: ბერტინი
45 000 მაყურებელი

**ემპოლი 0:2 რომა**

0:1, 0:2 ტოტი (23პ, 45)
ემპოლი: ბუჩი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, აგოსტინი, ფიჩინი (ფოჯა 59), გრელა, ბუშე (ტავანო 72), კაპელინი, დი ნატალე, როკი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
რომა: პელიცოლი, დელასი, ვ. სამუელი, კივუ, მანსინი, დაკური, ემერსონი, პანუჩი, ტოტი, ა. კასანო (დაგოსტინო 76), კარეუ (ტომაზი 90)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფიჩინი, ბუშე, კაპელინი, სამუელი, დაკური, პრატალი, დი ნატალე
მსაჯი: პიერი
12 000 მაყურებელი

**ლეჩე 1:1 იუვენტუსი**

1:0 კონანი (24), 1:1 ტრეზეგე (86)
ლეჩე: პოლეკსიჩი, სივილია, ბოვო, სტოვინი, აბრუცეზე, კასეტი, ლედესმა, პიანჯერელი, ტონეტო, კონანი (ჯაკომაცი 70), ჩევანტონი
მწვრთნელი: დელიო როსი
იუვენტუსი: ბუფონი, ფერარა, ლეგროტალიე (ზალაიეტა 38), იულიანო, ბირინდელი, ძამბროტა, აპია, მარესკა, მიკოლი (ტრეზეგე 61), დელ პიერო (კამორანეზი 77), დი ვაიო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაძევება: იულიანო (59)
მსაჯი: პელეგრინო
23 336 მაყურებელი

**ლაციო 2:1 ინტერი**

0:1 ვიერი (30), 1:1 კორადი (42), 2:1 ძაური (82)
ლაციო: სერენი, სტამი, ნეგრო, ფ. კოუტუ (ძაური 67), ფავალი, ფიორე, ალბერტინი (ა. დელგადო 81), ლივერანი, დ. სტანკოვიჩი, კორადი, მუცი (ოდო 46)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, ფ. კანავარო, ხ. ძანეტი, ალმეიდა, ემრე, პასკუალე (ოკანი 73), რეკობა (კილი გონსალესი 46), ვიერი, ხ. კრუზი (ო. მარტინსი 69)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ალმეიდა, ფიორე, დელგადო, ფავალი
გაძევება: ალმეიდა (68)
მსაჯი: ტრეფოლონი
50 000 მაყურებელი

**პარმა 1:2 რეჯინა**

0:1 დი მიკელე (27), 1:1 ჯილარდინო (85პ), 1:2 კოცა (90)
პარმა: ფრეი, კარდონე, მ. ფერარი, მ. კასტელინი, ჟუნიორი, ბარონე (ნაკატა 46), დონადელი, მარკიონი (გრიეკო 80), მორფეო, ბრეშიანო (კარბონე 46), ჯილარდინო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ტორიზი, სოტილი (ი. ფრანჩესკინი 73), ფალზინი, ბაიოკო, მოცარტი (მესტო 53), ჯაკომო ტედესკო, კოცა, ბონაცოლი (სტელონე 53), დი მიკელე
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ჯილარდინო, კარდონე, ბაიოკო, ფრეი, ტედესკო, კარდონე
გაძევება: კარდონე (89)
მსაჯი: საკანი
11 000 მაყურებელი

**სამპდორია 1:1 მოდენა**

0:1 კამარა (22), 1:1 ბაცანი (50)
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კონტე, ფალკონე, ბეტარინი, დიანა, პალომბო, დონატი, დონი (ჯობი 69), ბაცანი, ფლაკი (კოლომბო 78)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
მოდენა: ბალოტა, პივოტო, ჩევოლი, უნგარი, კამპედელი, მარასკო, ალეგრეტი (სკოპონი 55), მილანეტო, ბალესტრი, დ. კამარა (ტალდო 90), ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: უნგარი, დონი, ალეგრეტი, ბეტარინი, მარესკა, სკოპონი
მსაჯი: კოლინა
25 000 მაყურებელი

**კიევო 1:0 ანკონა**

1:0 კოსატო (41)
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, დანა, ბარძალი, ს. ლანა, სემიოლი, ძანკეტა (ბარონიო 75), პეროტა, სანტანა (მორონე 62), ამაური (პელისიერი 68), ფ. კოსატო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ანკონა: მარკონი, ბაჩინი (უბნერი 56), მ. ესპოზიტო, ვიალი, მილანეზე, დი ფრანჩესკო, ბერეტა, დ. ანდერსონი, ლომბარდი (მალტალიატი 89), რაპაიჩი, პანდევი (განცი 76)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: ბერეტა, ვიალი, მორო
მსაჯი: ფარინა
9 043 მაყურებელი

**სიენა 0:0 ბოლონია**

სიენა: ჯ. როსი, ჩირილო, დელი კარი, მინანი, კუფრე, ტადეი, დავერსა, კუჩარი, გიგუ (ლაზეტიჩი 67), ტ. ფლო (რუბინო 86), ვენტოლა (კიეზა 77)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ნატალი, ჟუარესი (გამბერინი 85), ნერვო, კ. ამორუზო (ბელუჩი 66), ლ. კოლუჩი (დალა ბონა 37), მორეტი, სინიორი, პეკია, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: დელი კარი, კუფრე, ნატალი, ამორუზო, ტარე
მსაჯი: მორგანტი
10 000 მაყურებელი

**პერუჯა 2:2 ბრეშა**

1:0 მარჯოტა (4), 1:1 დი ბიაჯო (9), 2:1 დაინელი (71ს.კ.), 2:2 ფილიპინი (74)
პერუჯა: პარდინი, დიამუტენე, დი ლორეტო, ინოფო, ფ. კოლი (გატი 50), ჯოვანი ტედესკო, ზე მარია, ობოდო, გროსო, ერიზასი (ბოტროიდი 50), მარჯოტა
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ბრეშა: ალიარდი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო, დაინელი, პიზანო, ა. ფილიპინი, ბრიგი (ბაკინი 74), მატუზალემი, მაური (კორეა 90), მანიერო (დე ნერო 81), კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი
გაფრთხილება: მატუზალემი, გროსო, მარჯოტა
მსაჯი: რიცოლი
8 000 მაყურებელი

# გეყოთ ამდენი მუშაობა, ბიჭებო!



კაკა და „მილანი“ „უდინეზეს“ ვერ გადაახტნენ

„მილანის“ დაუმარცხებელი სვლა დასრულდა და ეს იმ შეხვედრაში მოხდა, რომლის მიწურულს მოედნიდან კახა კალაძე გააძევეს. უნდა გითხრათ, რომ კალაძე იმ დღეს საკმაოდ კარგად თამაშობდა (ნუ დავივიწყებთ, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს). თუმცა, იმის თქმა, იგი რომ არ გაეძევებინათ „მილანი“ ანგარიშს გაქვითავდაო, კორექტული არ იქნება. იმ დღეს „მილანი“ ცუდ ფორმაში იყო, ხოლო „უდინეზე“ კარგში. გავიხსენოთ: უდინელები „სან სიროზე“ ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ ჩავიდნენ და მეოთხეს საფუძველი მეორე წუთზევე დაუდეს: დინო ფავამ საჯარიმო მოედნის კიდიდან გაუტანა ბრაზილიელ მეკარე დიდას. ამის შემდეგ „უდინეზეს“ მეკარემ, მორგან დე სანტისმა „მილანის“ სხვა ბრაზილიელის, სერჟინიოს წინააღმდეგ დაარღვია თამაშის წესი და პენალტით დაისაჯა, ოღონდ ანდრეა პირლომ ის პენალტი ვერ გაიტანა, ძელს გაარტყა ბურთი.

„უდინეზემ“ შესვენებიდან ექვსი წუთის შემდეგ სხვაობა ორამდე გაზარდა — ვალერიო ბერტოტოს ლონიერ ჯარიმას ვეტერანმა ნესტორ სენსინიმ თავით „მილანის“ კარისკენ გზა დაუზუსტა, რის შემდეგაც მორიგმა ბრაზილიელმა, კაფუმ „მილანს“ ერთი საპასუხო გოლით გათანაბრების იმედი გაუღვივა, მაგრამ ამაოდ.

კალაძის გაძევების მიზეზი კი, უხეშობა და შემდეგ წაქცეულის გამოსასარჩლებლად მისულ უდინელთან ძიძგილაობა გახლდათ.

„აშკარად ძალიან კარგ გუნდს ვეთამაშეთ, ხოლო იმ ფაქტმა, რომ ამ კარგმა გუნდმა მეორე წუთზე ანგარიში გახსნა, მეტისმეტად გაგვირთულა მდგომარეობა. ამის შემდეგ პენალტიც ავაცილეთ, რაც უკვე ძალიან ცუდის ნიშანი იყო. მინდა ვაღიარო, რომ ცოტა გადავიღალეთ და საშობაო დასვენება ჩვენთვის მისწრებაა“ — განაცხადა „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

ჩემპიონმა „იუვენტუსმა“ ლეჩეში ვერ მოიგო. ლეჩელთაგან განსაკუთრებით ენერგიული თავდამსხმელი ერნესტო ჩევანტონი გახლდათ, რომელიც ნებისმიერი გზააბნეული ბურთისკენ მიიჩქაროდა და მეკარე ჯანლუიჯი ბუფონის კარზე იყო დაგეშილი.

ანგარიში 24-ე წუთზე სედრიკ კონანმა თავურით გახსნა, ხოლო შემდეგ, მასპინძლების მეკარემ ვუკასინ პოლეკსიჩმა ფაბრიციო მიკოლის და ალესანდრო დელ პიეროს აულო ძნელად ასაღები ბურთები.

შესვენებიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ მეორე ყვითელის გამო მოედანი ტურინელთა მარკ იულიანომ დატოვა და ამით „ბებერი ქალბატონის“ შანსები ამ შეხვედრაში თითქოს მთლად შემცირდა, მაგრამ 86-ე წუთზე დავიდ ტრეზეგემ სტეფან აპიას „პასი-სანთელი“ მიიღო და გუნდს ქულა მოუტანა.

„ლეჩელებს პირველი ტაიმი ვაჩუქეთ, ხოლო, რაც წინა კვირის მანძილზე დავგეგმეთ, სულ ტყუილა გვილაპარაკია, ბოლოს გუნდმა როგორც იქნა გაიღვიძა და დამარცხებას დაუსხლტა“ — ბრძანა „იუვეს“ თავკაცმა მარჩელო ლიპიმ.

ლიდერმა „რომამ“ ემპოლიში 2:0 მოიგო და ერთპიროვნული ლიდერი გახდა, რაც მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს აზრით, იმის ბრალია, რომ კონკურენტთა შორის დაწინაურებული „მილანი“ ბევრ შეჯიბრებაში მონაწილეობს და უკვე დაიღალა.

„ლაციომ“ კი „ინტერს“ უმასპინძლა, თავსხმაში თავიდან 0:1-ს აგებდა, შემდეგ ორი გაუტანა და მოუგო.

„ინტერმა“ ანგარიში „ლაციოს“ მეკარის, მატეო სერენის შეცდომის წყალობით გახსნა. სერენიმ ალვარო რეკობას დაბალი პასი ვერ ჩაბღუჯა და ბურთი კრისტიან ვიერის ულუფა გახდა. ამ ამბებიდან თორმეტ წუთში დეიან სტანკოვიჩის პასს ბერნარდო კორადი გამოეხმაურა ყოჩაღად და საპასუხო გოლი შეაგდო, ხოლო მას მერე, რაც 68-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათის გამო მოედანი მატიას ალმეიდას დაატოვებინეს, უპირატესობა საბოლოოდ „ლაციოს“ მხარეს გადავიდა, რაც ლუჩანო ძაურის გოლით დაგვირგვინდა.

„მას მერეც კი, რაც ალმეიდა გაგვიძევეს, ჩვენ შემტევი ფეხბურთის თამაში ვცადეთ“ — განაცხადა „ინტერის“ თავკაცმა ალბერტო ძაკერონიმ.

**პაპუნა ძიდია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 14 | 11 | 3 | 0 | 31:4 | 27 | 36 | 7 | 7 | 0 | 0 | 18:1 | 17 | 21 | 7 | 4 | 3 | 0 | 13:3 | 10 | 15 |
| 2 იუვენტუსი | 14 | 9 | 3 | 2 | 31:15 | 16 | 30 | 7 | 5 | 1 | 1 | 20:8 | 12 | 16 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 14 |
| 3 მილანი | 13 | 9 | 3 | 1 | 22:6 | 16 | 30 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 13 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:2 | 10 | 17 |
| 4 ინტერი | 14 | 8 | 4 | 2 | 25:9 | 16 | 28 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 14 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 6 | 14 |
| 5 ლაციო | 14 | 9 | 1 | 4 | 23:17 | 6 | 28 | 7 | 6 | 0 | 1 | 16:7 | 9 | 18 | 7 | 3 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 10 |
| 6 პარმა | 14 | 7 | 3 | 4 | 22:18 | 4 | 24 | 7 | 4 | 2 | 1 | 12:4 | 8 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:14 | -4 | 10 |
| 7 უდინეზე | 14 | 7 | 3 | 4 | 19:16 | 3 | 24 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 2 | 11 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:11 | 1 | 13 |
| 8 სამპდორია | 14 | 5 | 6 | 3 | 17:15 | 2 | 21 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 | 7 | 1 | 5 | 1 | 7:7 | 0 | 8 |
| 9 კიევო | 14 | 5 | 3 | 6 | 14:18 | -4 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | -4 | 7 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 11 |
| 10 მოდენა | 14 | 4 | 4 | 6 | 12:15 | -3 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 10 | 8 | 1 | 3 | 4 | 6:11 | -5 | 6 |
| 11 სიენა | 13 | 3 | 6 | 4 | 16:12 | 4 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:4 | 6 | 11 | 6 | 0 | 4 | 2 | 6:8 | -2 | 4 |
| 12 რეჯინა | 14 | 2 | 8 | 4 | 12:21 | -9 | 14 | 7 | 1 | 5 | 1 | 5:6 | -1 | 8 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:15 | -8 | 6 |
| 13 ბრეშა | 14 | 2 | 7 | 5 | 21:26 | -5 | 13 | 7 | 1 | 4 | 2 | 12:12 | 0 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 9:14 | -5 | 6 |
| 14 ბოლონია | 14 | 2 | 5 | 7 | 12:21 | -9 | 11 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | -4 | 8 | 7 | 0 | 3 | 4 | 3:8 | -5 | 3 |
| 15 პერუჯა | 14 | 0 | 9 | 5 | 19:29 | -10 | 9 | 8 | 0 | 8 | 0 | 14:14 | 0 | 8 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:15 | -10 | 1 |
| 16 ლეჩე | 14 | 2 | 3 | 9 | 14:28 | -14 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 8 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:17 | -12 | 1 |
| 17 ემპოლი | 14 | 1 | 3 | 10 | 7:28 | -21 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | -6 | 5 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:18 | -15 | 1 |
| 18 ანკონა | 14 | 0 | 4 | 10 | 7:26 | -19 | 4 | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | -7 | 3 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:15 | -12 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 9 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 8 |
| ვიერი (ინტერი) | 8 |
| ფავა (უდინეზე) | 8 |

### XV ტური

6 იანვარი, 2004 წელი

ანკონა — პარმა
ბოლონია — ემპოლი
ბრეშა — სიენა
ინტერი — ლეჩე
იუვენტუსი — პერუჯა
მოდენა — კიევო
რეჯინა — ლაციო
რომა — მილანი
უდინეზე — სამპდორია

### სერია B. XX ტური

**ასკოლი 1:3 ტრიესტინა**

0:1 გოდეაში (21პ), 0:2 აკილანი (25), 1:2 მასტრონუნცო (66), 1:3 მოსკარდელი (70)

**ატალანტა 1:1 ტერნანა**

0:1 ძამპანა (88პ), 1:1 ბუდანი (89)

**კალიარი 2:0 ჯენოა**

1:0 ძოლა (13), 2:0 სუაცო (81)

**კატანია 1:0 ბარი**

1:0 დელ ვეკიო (30)

**კომო 1:1 ალბინოლეფე**

0:1 რაიმონდი (63), 1:1 რასტელი (90)

**ნაპოლი 2:2 ფიორენტინა**

0:1 რიგანო (59პ), 1:1 ძანინი (77), 1:2 გრაფიედი (80), 2:2 ტოსტო (90)

**პალერმო 0:0 მესინა**

**პესკარა 1:0 აველინო**

1:0 კალაიო (26)

**პიაჩენცა 3:1 ვერონა**

1:0 რიჩო (14), 2:0 ბეგეტო (46), 3:0 ტარანა (52), 3:1 ადაილტონი (55)

**ტორინო 1:1 ლივორნო**

0:1 პროტი (10), 1:1 ფერანტე (49პ)

**ვენეცია 0:1 სალერნიტანა**

0:1 ლონგო (46)

**ვიჩენცა 1:1 ტრევიზო**

0:1 განჩი (23), 1:1 ჟედა (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 20 | 10 | 10 | 0 | 26:11 | 40 |
| პალერმო | 20 | 10 | 9 | 1 | 27:12 | 39 |
| ტერნანა | 20 | 10 | 5 | 5 | 31:22 | 35 |
| პიაჩენცა | 20 | 9 | 6 | 5 | 21:16 | 33 |
| მესინა | 20 | 8 | 8 | 4 | 27:20 | 32 |
| ლივორნო | 20 | 7 | 11 | 2 | 23:16 | 32 |
| კალიარი | 20 | 8 | 7 | 5 | 33:21 | 31 |
| ტორინო | 20 | 8 | 6 | 6 | 29:21 | 30 |
| კატანია | 20 | 8 | 6 | 6 | 27:22 | 30 |
| ასკოლი | 20 | 7 | 7 | 6 | 25:23 | 28 |
| სალერნიტანა | 20 | 7 | 6 | 7 | 15:16 | 27 |
| ტრევიზო | 20 | 6 | 8 | 6 | 22:22 | 26 |
| პესკარა | 20 | 6 | 8 | 6 | 17:21 | 26 |
| ნაპოლი | 20 | 4 | 13 | 3 | 17:17 | 25 |
| ფიორენტინა | 20 | 5 | 9 | 6 | 20:25 | 24 |
| ვენეცია | 20 | 4 | 11 | 5 | 19:21 | 23 |
| ტრიესტინა | 20 | 5 | 8 | 7 | 28:31 | 23 |
| ალბინოლეფე | 20 | 5 | 7 | 8 | 19:26 | 22 |
| ვიჩენცა | 20 | 3 | 11 | 6 | 15:19 | 20 |
| ჯენოა | 20 | 4 | 8 | 8 | 18:29 | 20 |
| ვერონა | 20 | 3 | 9 | 8 | 23:29 | 18 |
| ბარი | 20 | 4 | 6 | 10 | 22:30 | 18 |
| კომო | 20 | 3 | 6 | 11 | 14:28 | 15 |
| აველინო | 20 | 0 | 7 | 13 | 14:34 | 7 |

### სერია C1/A

მე-16 ტური: ლუკეზე — პრო პატრია 1:0; ლუმეცანე — არეცო 0:3; ნოვარა — ჩეზენა 0:0; პადოვა — პრატო 4:0; რეჯანა — სპეცია 3:0; რიმინი — პისტოიეზე 1:1; სპალ — პავია 0:0; ვარეზე — ტორესი 1:3. პიზა — *ჩიტადელა წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

### სერია C1/B

მე-16 ტური: აკირეალე — ჯულიანოვა 1:0; კიეტი — ფერმანა 0:0; კროტონე — ფოჯა 1:0; აკილა — ვიტერბეზე 0:0; ლანჩანო — ტარანტო 1:0; მარტინა — ბენევენტო 2:1; პატერნო — სამბენედეტეზე 1:4; ტერამო — კატანძარო 2:2; პეზარო — სორა 0:0

# შენ ასეთი უგოლო, შენ ასეთი ლამაზი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XVII ტური

**ტოტენჰემი 1:2 მანჩესტერი**

0:1 ოში (15), 0:2 ვან ნისტელროი (25), 1:2 პოიეტი (63)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ტარიკო (გ. რიკეტსი 64), ე. გარდნერი, რიჩარდსი, ანდერტონი (პოეტი 19), დალმა (პოსტიგა 77), კინგი, კონჩესკი, კანო, რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი (კ. რონალდო 79), როი კინი (ბათი 82), ფ. ნევილი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ტარიკო, კონჩესკი, გიგზი, სქოულზი
მსაჯი: სტაილზი
35 910 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 არსენალი**

0:1 პირესი (57), 1:1 პედერსენი (83)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ტომე, ჩარლტონი, რ. გარდნერი, კამპო (ბა 78), ნოლანი (პედერსენი 75), ფრანდსენი, ოკოჩა, ჯორკაეფი, კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
არსენალი: ლემანი, ტურე, ს. კემპბელი, სიგანი, კლიჩი, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (პარლოუ 69)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: კამპო, ნოლანი, ვიეირა, ანრი
მსაჯი: პოლი
28 003 მაყურებელი

**ფულემი 0:1 ჩელსი**

0:1 კრესპო (62)
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, მელვილი, ნაითი, ჰარლი (პეილსი 69), ბოა მორტე, კლარკი, ლეგვინსკი, მალბრანკი, შ. დევისი (ჯეტუ 37), საჰა
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი, დესაი, ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი (ჯ. კოული ჰ ჯერემი 84), კრესპო (გალასი 89), მუტუ
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: საჰა, კლარკი, კოული, ჯონსონი, გრონკიაერი
მსაჯი: რაილი
18 244 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:0 ნიუკასლი**

ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, პერი, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, პარკერი, კ. იენსენი, გ. სტიუარტი, იუელი, დი კანიო (კ. კოული 78)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ბერნარი, სოლანო, დაიერი, ჯენასი, სპიდი, რობერი (ამბროზი 87), შირერი, ამეობი (ლუა ლუა 77)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: ბენეტი
26 508 მაყურებელი

**ბლექბერნი 0:2 ასტონ ვილა**

0:1 მური (62), 0:2 ანხელი (75)
ბლექბერნი: ფრიდელი, ბაბელი, ტოდი, შორტი, ნაილი (იანსენი 68), გალაჰერი (გრეშკო 46), ბ. ფერგიუსონი, თუგაი (ფლიტკროფტი 61), ემერტონი, ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, მელბერგი, დაბლინი, ჯ. სამუელი, მური (ვასელი 67), ჰენდრი (დე ლა კრუზი 89), გ. მაკკანი, უიტინგემი, ბერი (ჰიცლსპერგერი 78), პ. ანხელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: შორტი
მსაჯი: გალაჰერი
20 722 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 3:0 პორტსმუთი**

1:0 დოდი (34), 2:0 პახარსი (67), 3:0 ბიტი (90)
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ჰიგინბოთემი, პახარსი (ნ. მაკკანი 80), ტელფერი, პრატონი, მარსდენი (ბაირდი 90), ბიტი, ორმეროდი (ფილიპსი 81)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
პორტსმუთი: ვაპენაარი, პრიმუსი, ფოქსი, სტეფანოვიჩი, მეთიუ ტეილორი, რ. ჰიუზი (აიეგბენი 59), სმერტინი, შერვუდი, შემელი (ბ. ჟივკოვიჩი 56), შერინგემი, რობერტსი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: შემელი, შერვუდი, ფოქსი
მსაჯი: უინტერი
31 697 მაყურებელი

**ევერტონი 3:2 ლესტერი**

1:0 ჰაუი (33ს.კ.), 1:1 ფერდინანდი (45), 1:2 სკოუკროფტი (58), 2:2 რუნი (71), 3:2 რაძინსკი (79)
ევერტონი: მარტინი, პისტონე (ჰაიბერტი 28), სტაბსი, ანსუორთი, ნეისმიტი, მაკფადენი (რუნი 60), კარსლი, გრაველსენი, კილბეინი, რაძინსკი, კ. კემბელი (დ. ფერგიუსონი 78)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ლესტერი: უოქერი, იმპი, ჰაუი (მ. ელიოტი 51), შიმეკა, ტეტჩერი, სკოუკროფტი, იზეტი, მაკკინლი (დიკოვი 85), ჯ. სტიუარტი (დავიდსონი 76), ლ. ფერდინანდი, მ. ბენტი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
გაფრთხილება: სტაბსი, შიმეკა, ტეტჩერი, ბენტი, ფერგიუსონი
მსაჯი: დოუდი
37 007 მაყურებელი

ვულვერჰემპტონი — ლივერპული
*გადაიდო*

ბირმინგემი — მიდლსბრო
*გადაიდო*

მანჩესტერ სიტი — ლიდსი
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*


მოახლოებულ შობას მანჩესტერელები კარგ ხასიათზე ხვდებიან

მოახლოვდა შობა და „მანჩესტერ იუნაიტედმაც" ლიდერობა იგდო ხელთ. სულ ერთი ქულით, მაგრამ მაინც — შემოჯარული ღრუბლების ფონზე კიდევ ერთხელ შეანჯღრია სკეპტიკოსები, რომლებიც ინგლისში რომან აბრამოვიჩის გამოჩენამ აალაპარაკა და ტიერი ანრისა და „არსენალის" საუკეთესოდ გავლილმა ზამთრის პირმა გამოაცოცხლა. მაგრამ მოვიდა ზამთარი და ცხრილის სათავეში ძველი ნაცნობი გამოჩნდა, რომელმაც მეტოქეთა ფორხილი საუცხოოდ და უკვე მერამდენედ გამოიყენა. „მანჩესტერმა" წლეულს ვერ მოუგო „არსენალს" და წააგო „ჩელსისთან", მაგრამ საშობაოდ მაინც პირველი შეიქნა, რაც განსაკუთრებით ფასობს ინგლისში. არადა, „იუნაიტედის" ლიდერად ქცევა სწორედ იმ დროს მოხდა, როცა ინგლისელმა ბუქმეიკერებმა თავიანთი დავთრები გადააკეთეს და ჩემპიონობის ფავორიტად „არსენალი" გამოაცხადეს. ამის მთავარი მიზეზი რიო ფერდინანდის რვათვიანი მოკვეთა იყო. თუმცა, ფერდინანდი კიდევ ორ კვირას იქნება ძირითადში, მანამდე, სანამ მისი საქმის სააპელაციო მოსმენა არ შედგება. სხვა მითქმა-მოთქმით კი რიომ ეგებ კარგა სამი-ოთხი თვეც გაძლოს მინდორზე, თუკი „მანჩესტერი" მოახერხებს და საქმეს სამოქალაქო სასამართლოში გადაიტანს, რის შესახებაც უკვე გამოაცხადა სერ ალექს ფერგიუსონმა. სასამართლო გაიწელება, რიო კი ფეხგახსნილი იქნება. მოკვეთილმა კვირასაც ითამაშა „უაით ჰართ ლეინზე", სადაც „მანჩესტერმა" პირველ ნახევარში ორი უპასუხო გოლი გაუტანა მასპინძელ „ტოტენჰემს".


ბოლტონი — არსენალი. ჰენრიკ პედერსენმა აიგდო და ჩააჭედა

ჯონ ოშის გამხსნელი მეტად ლამაზი იყო, რუუდ ვან ნისტელროი კი კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ასბურთიან ინგლისურ ნიშნულს. მასპინძლებმა მეორე ტაიმშიღა სცადეს თამაშის მოტრიალება და მართლაც რომ უასაკო გას პოიეტმა ერთი გოლი კარგი კომბინაციის შემდეგ გაქვითა, თუმცა ეს იყო და მეტი არც არაფერი. ამ თამაშის წინ მანჩესტერელებმა უკვე იცოდნენ, რომ თუ მოიგებდნენ, ლიდერები შეიქნებოდნენ. ამგვარი იმედის მომცემი ბოლო ერთი კვირის განმავლობაში „ბოლტონი" შეიქნა, რომელმაც წინა შაბათს „ჩელსის" მოუგო იღბალა გოლით ზედ „სტემფორდ ბრიჯზე", ახლა კი მშობლიურ „რიბოკზე" „არსენალს" ორი ქულაააფუცქვნა. ორივე შემთხვევაში საქმის მკვეთებელი ჰენრიკ პედერსენი აღმოჩნდა: წინა შაბათს, შეცვლაზე შესულმა ისე დასცხო ბურთს, რომ ის ჯონ ტერის ფეხიდან შევარდა „ჩელსის" კარში, ახლა კი ასევე შეცვლაზე შესულმა პედერსენმა აიგდო და ჩააჭედა, რითაც რობერ პირესის გოლი გაქვითა.

თამაში საუცხოო გამოვიდა: მეთოფენი მეთოფეებად და „ბოლტონში" ძველმა გვარდიამაც ივარგა, ევინ დევისმა და საიმონ ჩარლტონმაც თავი დადეს. წაგება ნამდვილად უსამართლო იქნებოდა. აკი მიუგო არსენ ვენგერმა ჟურნალისტის შეკითხვას, ამ პატარა გუნდთან რატომ გიჭირთ თამაშიო: „იმიტომ, რომ კარგი გუნდია, ნაცადი ევროპელები და საუცხოო შინაურები ჰყავს."

ამ ფრეს შაბათს „ჩელსის" ერნან კრესპოს ერთადერთი გოლით გამარჯვება დაემთხვა: დასავლეთლონდონური დერბი, „ფულემი" — „ჩელსი" უფრო ფრთხილი თამაში იყო, „ფულემი" კი გამოეთხოვა ნაქირავებ „ლოფტუს როუდს" და მალე განახლებულ „კრეივენ კოტეჯს" დაუბრუნდება. „მეტისმეტმა პატივისცემამ წაგვაგებინა" — ასე ჩათვალა კრის კოულმენმა, კლაუდიო რანიერიმ კი თქვა: „ჩვენ ვებრძვით ორ დიდ გუნდს, ჩვენ ჯერ იქ არა ვართ, სადაც ისინი, თუმცა, ვებრძვით."

მაგრამ „ფულემი" „ლოფტუს როუდთან" ერთად მეოთხე ადგილსაც გამოეთხოვა და ეს ადგილი ზღვისპირულ დერბიში გამარჯვებულმა გორდონ სტრაჩანის „საუთჰემპტონმა" დაიჭირა. „წმინდანებმა" „პორტსმუთი" დააშამათეს, ხოლო ტრავმებით ტანჯულმა ლატვიელმა მარიან პახარსმა ულამაზესი გოლი გაიტანა.

საერთოდ, ვინც შაბათს ლონდონს გარეთ ითამაშა, იმას ბედმა არ გაუღიმა. ლონდონში უფრო დილით წვიმდა და მერე იდარა, სხვაგან კი თამაშები თავსხმაში მიმდინარეობდა. ორგან კი მატჩი გადაიდო, „ვულვზის" „მოლინოზე", სადაც „ლივერპული" სტუმრობდა, მსაჯმა ბარი ნაითმა ორსაათნახევრით ადრე გამოაცხადა, თამაში გადადებულიაო, თუმცა მასპინძელთა თავმჯდომარემ ჯიუტად განაცხადა, სამ საათზე მოედანი ვარგისი იყო და მსაჯმა იჩქარაო. ეს დიდი ამბის თამაში უნდა ყოფილიყო: „ლივერპული" სრულიად მორღვეულია და ჟერარ ულიეს წასვლაზეც მიანიშნებს, „ვულვზი" კი ბოლო ადგილზეა და შესაშურ თავგანწირვას აჩვენებს. „ბირმინგემის" „სენტ ენდრიუსზე" ასევე მსაჯმა, კრის ფოიმ გადადო თამაში და სტუმარ-მასპინძელიც, „სიტიცა" და „მიდლსბროც" აღაშფოთა. დენი მილსმა თქვა, ვერ გავიგე რატომ არ გვათამაშეს, უარეს ამინდშიაც გვიბრძოლიაო.

ვინც ათამაშეს, იმათგან მოიგო შუა კვირაში თასზე „ჩელსის" ძლევით მოცოცხლებულმა „ასტონ ვილამ" სტუმრად „ბლექბერნთან". ხუან პაბლო ანხელმა კვლავ გაიტანა, თუმცა „ვილას" გამარჯვება უფრო ბლექბერნელ მცველთა უნიათობით და ზოზინით იყო გამოწვეული.

რაც ბოლო ერთ თვეს უეინ რუნის კრიტიკა შეხვდა, 18 წლის კი არა, 38 წლის კაციც ვერ გაუძლებდა, მაგრამ რუნიმ თამაში შემოატრიალებინა „ევერტონს" და მოაგებინა კიდეც. „ლესტერი" 2:1 უგებდა ლივერპულელებს, როცა რუნი შეცვლაზე შევიდა, თავადაც

**XVIII ტური**

26 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | — | ვულვზი |
| ბირმინგემი | — | სიტი |
| ბლექბერნი | — | მიდლსბრო |
| ჩარლტონი | — | ჩელსი |
| ფულემი | — | საუთჰემპტონი |
| ლიდსი | — | ასტონ ვილა |
| ლესტერი | — | ნიუკასლი |
| ლივერპული | — | ბოლტონი |
| მანჩესტერი | — | ევერტონი |
| პორტსმუთი | — | ტოტენჰემი |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 17 | 13 | 1 | 3 | 34:11 | 23 | 40 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:5 | 16 | 22 | 8 | 6 | 0 | 2 | 13:6 | 7 | 18 |
| 2 ჩელსი | 17 | 12 | 3 | 2 | 31:12 | 19 | 39 | 8 | 6 | 1 | 1 | 17:7 | 10 | 19 | 9 | 6 | 2 | 1 | 14:5 | 9 | 20 |
| 3 არსენალი | 17 | 11 | 6 | 0 | 31:12 | 19 | 39 | 8 | 6 | 2 | 0 | 13:6 | 7 | 20 | 9 | 5 | 4 | 0 | 18:6 | 12 | 19 |
| 4 საუთჰემპტონი | 17 | 7 | 5 | 5 | 18:12 | 6 | 26 | 9 | 5 | 1 | 3 | 11:6 | 5 | 16 | 8 | 2 | 4 | 2 | 7:6 | 1 | 10 |
| 5 ფულემი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:23 | 5 | 25 | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 3 | 14 | 8 | 3 | 2 | 3 | 14:12 | 2 | 11 |
| 6 ნიუკასლი | 17 | 6 | 7 | 4 | 25:20 | 5 | 25 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:5 | 9 | 15 | 8 | 2 | 4 | 2 | 11:15 | -4 | 10 |
| 7 ჩარლტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 22:20 | 2 | 24 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:12 | -3 | 9 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:8 | 5 | 15 |
| 8 ბირმინგემი | 16 | 6 | 5 | 5 | 14:18 | -4 | 23 | 8 | 2 | 3 | 3 | 6:11 | -5 | 9 | 8 | 4 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 14 |
| 9 ლივერპული | 16 | 6 | 4 | 6 | 23:18 | 5 | 22 | 8 | 3 | 1 | 4 | 12:11 | 1 | 10 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 12 |
| 10 ბოლტონი | 17 | 5 | 7 | 5 | 17:23 | -6 | 22 | 8 | 2 | 5 | 1 | 8:5 | 3 | 11 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:18 | -9 | 11 |
| 11 ევერტონი | 17 | 5 | 5 | 7 | 20:22 | -2 | 20 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 5 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | -7 | 5 |
| 12 მიდლსბრო | 16 | 5 | 5 | 6 | 12:15 | -3 | 20 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | -4 | 9 | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 11 |
| 13 ასტონ ვილა | 17 | 5 | 5 | 7 | 16:23 | -7 | 20 | 8 | 4 | 3 | 1 | 10:7 | 3 | 15 | 9 | 1 | 2 | 6 | 6:16 | -10 | 5 |
| 14 სიტი | 16 | 5 | 4 | 7 | 23:22 | 1 | 19 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:10 | 2 | 8 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:12 | -1 | 11 |
| 15 ტოტენჰემი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:26 | -7 | 18 | 9 | 4 | 1 | 4 | 14:13 | 1 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:13 | -8 | 5 |
| 16 ბლექბერნი | 17 | 5 | 2 | 10 | 23:27 | -4 | 17 | 8 | 3 | 0 | 5 | 11:13 | -2 | 9 | 9 | 2 | 2 | 5 | 12:14 | -2 | 8 |
| 17 ლესტერი | 17 | 4 | 4 | 9 | 25:28 | -3 | 16 | 9 | 2 | 4 | 3 | 12:12 | 0 | 10 | 8 | 2 | 0 | 6 | 13:16 | -3 | 6 |
| 18 პორტსმუთი | 17 | 4 | 4 | 9 | 18:25 | -7 | 16 | 8 | 4 | 0 | 4 | 16:10 | 6 | 12 | 9 | 0 | 4 | 5 | 2:15 | -13 | 4 |
| 19 ლიდსი | 16 | 4 | 3 | 9 | 16:36 | -20 | 15 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | -6 | 9 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:21 | -14 | 6 |
| 20 ვულვზი | 16 | 2 | 5 | 9 | 13:35 | -22 | 11 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:14 | -7 | 9 | 9 | 0 | 2 | 7 | 6:21 | -15 | 2 |



ევერტონი — ლესტერი. უეინ რუნიმ გამთანაბრებელი დააჯახა

დააჯახა გამათანაბრებელი და გუნდიც მოქოქა თავისი გაუთავებელი გადაადგილებებით. მერე მოედანზე შევიდა მხცოვანი დანკან ფერგიუსონი, რომელმაც კოხტა თავურით დაუგდო ბურთი კარის წინ მდგომ ტომაშ რაძინსკის და „ევერტონმა" ზედიზედ მეორედ მოიგო, რუნიმ კი ზედიზედ მეორედ გაიტანა. ამ გამარჯვებით გუნდმა ოთხი საფეხურით აიწია ცხრილში.

რაც გინდათ ის თქვით და ტურის საუკეთესო თამაში ის იყო, რომელშიაც გოლი არ გასულა. ეს იყო ნამდვილი თამაში და ნამდვილი სიგიჟე, მინდორს შემორჩენილი ლაღი ინგლისური ფეხბურთი: „ჩარლტონი" — „ნიუკასლი". „ნიუკასლს" თერთმეტ ტურში ერთადერთხელ წაეგო და იმ ერთ მატჩში ვერ გაეტანა, „ჩარლტონისა" კი ის ვიცით, რომ არავის მოაწყენს. ამ თამაშის მოთხრობა მეტად ძნელია, მეკარეებმა გმირთა გვირგვინები მიიღეს, კილიზე მისხალით მეტი მაინც შეი გივენი იყო, რომელმაც საფეხბურთო ჯადოსნობები მოახდინა. კარისკენ ბურთის ასეთი ხათქახუთქი და ასეთი ორმხრივი ტემპი და შეტევათა გაცვლა-გამოცვლა მართლაც რომ საუცხოო იყო. სერ ბობი რობსონმა ისლა დააყოლა, ქულა მიმაქვს და მიხარიაო.

იქვე, შობის მილოცვაც არ დავიწყნია.

არც ჩვენ დავივიწყებთ.

**ირაკლი ბაქრელიძე**
*ლონდონიდან*

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შირერი (ნიუკასლი) | 15 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 13 |
| ანრი (არსენალი) | 10 |
| საჰა (ფულემი) | 10 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 8 |

## პირველი დივიზიონი

### XXIV ტური

**იფსვიჩი 0:2 ნორვიჩი**
0:1, 0:2 მაკკენზი (37, 76)

**ბრედფორდი 0:2 როტერჰემი**
0:1 ბიფილდი (16პ), 0:2 მულინი (90)

**კარდიფი 1:3 მილუოლი**
0:1 რობერტსი (5), 1:1 თორნი (30), 1:2 ჩეპილი (65), 1:3 სვინი (84)

**ქოვენთრი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ჯექსონი (89)

**ქრიუ 2:3 უიგანი**
0:1 მაკკალოხი (8), 1:1, 2:1 ჯონსი (10, 17), 2:2 დე ვოსი (20), 2:3 ბულარი (80)

**პრესტონი 5:3 ბარნლი**
1:0 ფულერი (18), 1:1 მური (24), 2:1 ლუისი (60), 2:2 გნოერი (64), 3:2 ფულერი (71), 3:3 ბლეიქი (78პ), 4:3 ფულერი (82), 5:3 პილი (88)

**რედინგი 0:3 კრისტალ პალასი**
0:1 ჯონსონი (40), 0:2 რუტლეჯი (43), 0:3 ჯონსონი (90)

**სანდერლენდი 2:1 უიმბლდონი**
1:0 სტიუარტი (27), 1:1 ტირლველი (45ს.კ.), 2:1 პროქტორი (90)

**უოლსოლი 1:1 ვესტ ჰემი**
0:1 პერვუდი (10), 1:1 ლეიტაო (69)

**უოტფორდი 1:3 სტოკი**
1:0 ჰელგუსონი (4), 1:1 ტაგარტი (15), 1:2, 1:3 აკინბაი (55, 72)

**დერბი ძაუნთი — შეფილდ იუნ.**
*გადაიდო*

**ნოტინგემი — ჯილინგემი** *გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 24 | 13 | 7 | 4 | 36:21 | 46 |
| ვესტ ბრომვიჩი | 24 | 13 | 6 | 5 | 35:21 | 45 |
| შეფილდი | 23 | 12 | 5 | 6 | 37:26 | 41 |
| უიგანი | 24 | 11 | 8 | 5 | 33:25 | 41 |
| იფსვიჩი | 24 | 11 | 6 | 7 | 43:34 | 39 |
| ვესტ ჰემი | 24 | 9 | 11 | 4 | 32:21 | 38 |
| პრესტონი | 24 | 11 | 5 | 8 | 38:29 | 38 |
| სანდერლენდი | 24 | 10 | 8 | 6 | 29:22 | 38 |
| რედინგი | 24 | 11 | 4 | 9 | 29:29 | 37 |
| კარდიფი | 24 | 9 | 8 | 7 | 41:32 | 35 |
| მილუოლი | 24 | 8 | 9 | 7 | 27:24 | 33 |
| ქოვენთრი | 24 | 7 | 11 | 6 | 30:30 | 32 |
| ქრიუ | 24 | 9 | 5 | 10 | 29:31 | 32 |
| უოლსოლი | 24 | 8 | 7 | 9 | 26:26 | 31 |
| როტერჰემი | 24 | 7 | 9 | 8 | 22:29 | 30 |
| სტოკი | 24 | 8 | 5 | 11 | 31:33 | 29 |
| ნოტინგემი | 23 | 7 | 7 | 9 | 34:32 | 28 |
| ბარნლი | 24 | 7 | 7 | 10 | 36:43 | 28 |
| კრ. პალასი | 24 | 7 | 7 | 10 | 29:38 | 28 |
| ჯილინგემი | 23 | 7 | 6 | 10 | 28:36 | 27 |
| უოტფორდი | 24 | 6 | 8 | 10 | 26:32 | 26 |
| დერბი | 23 | 5 | 8 | 10 | 24:36 | 23 |
| ბრედფორდი | 24 | 4 | 5 | 15 | 19:36 | 17 |
| უიმბლდონი | 24 | 4 | 2 | 18 | 24:52 | 14 |

## მეორე დივიზიონი

### XXII ტური

ბრენტფორდი — სუინდონი 0:2; ბრისტოლი — სტოკპორტი 1:0; ჰარტლპული — კოლჩესტერი 0:0; ლუტონი — ბარნსლი 0:1; ოლდემი — ქუინზ პარკი 2:1; პიტერბრო — რაშდენი 3:1; პლიმუთი — ნოტსი 3:0; შეფილდ უენსდი — ჩესტერფილდი 0:0; ტრანმერი — ბრაიტონი 1:0; უიკომბი — ბორნმუთი 2:0. *გრიმსბი — რექსემი და პორტ ვეილი — ბლეკპული გადაიდო*

## მესამე დივიზიონი

### XXII ტური

დონკასტერი — სუონსი 3:1; ნორთჰემპტონი — კემბრიჯი 1:2; დარლინგტონი — მაკლსფილდი 0:1; ჰადერსფილდი — ოქსფორდი 1:1; ჰალი — მენსფილდი 0:1; ლეიტონი — ბერი 2:0; როჩდეილი — ბოსტონი 1:0; საუთენდი — როვერსი 0:1; იოვილი — სკანთორპი 2:1; კარლაილი — ტორკი 2:0; იორკი — კიდერმინსტერი 1:0. *ლინკოლნი — ჩელტენემი გადაიდო*

## კონფერენს ლიგა

### XXIII ტური

ფორესტ გრინი — ჰერეფორდი 1:7; ალდერშოტი — მარგეიტი 0:2; ბარნეტი — ფარნბორო 0:2; ექსეტერი — ტელფორდი 0:3; გრეივსენდი — უოქინგი 2:2; ლეიფი — აკრინგტონი 1:2; მორეკემბი — ჰალიფაქსი 2:0; სკარბორო — ნორსვიჩი 1:0; სტივენეიჯი — დაგენემი 0:2; ტემუორთი — ჩესტერი 1:5. *შრიუსბერი — ბარტონი გადაიდო*

# შოთას გააქვს და გამოაქვს

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XVII ტური

**რეინჯერსი 2:1 ჰართსი**
0:1 კირკი (11), 1:1 არველაძე (22), 2:1 ბარკი (52)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, რიკსენი, ბერგი, მალკოლმი, ბოლი, ბარკი, არტეტა, ს. ჰიუზი (მორის როსი 58), ლოვენკრანდსი, მოლსი (ოსტენსტადი 75), არველაძე

*ზურაბ ხიზანიშვილი ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

49 592 მაყურებელი

**ჰიბერნიანი 1:2 დანფერმლაინი**
0:1, 0:2 ბრევსტერი (1, 36), 1:2 რიორდანი (63)

**მოზერუელი 0:2 სელტიკი**
0:1 ჰართსონი (3), 0:2 ა. ტომპსონი (71)

**აბერდინი 2:2 დანდი**
1:0 ანდერსონი (42), 1:1 ჰათჩისონი (4:), 1:2 ნოვო (52), 2:2 უილკი (59ს.კ.)

**კილმარნოკი 0:3 ლივინგსტონი**
0:1 კამაჩო (50), 0:2 პასკვინელი (80), 0:3 ობრაიენი (90)

**დანდი იუნ. — პარტიკი**
*დღეს გაიმართება*

„რეინჯერსმა" ერთხელაც იჯახირა, მაგრამ მოიგო და „სელტიკთან" სხვაობა აღარ გაზრდილა. „ჰართსის" სტუმრობით „აიბროქსზე" შეყრილმა ორმოც ათასამდე გულშემატკივარმა ცოცხალი, საინტერესო თამაში იხილა — „ჩაფრები" რამდენჯერმე იხსნა შტეფან კლოსმა, თუმც „ჰართსის" და შოტლანდიის ოცდაერთწლამდელთა მეკარე კრეიგ გორდონიც გვარიანად გაისარჯა.

ენდი კირკს ნაკუთხურალი ბურთი ფეხებთან მიუვიდა და ახლოდან შეაგდო „რეინჯერსის" კარში. „ჰართსს" მეორეც უნდა გაეტანა, მაგრამ შოთა არველაძემ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა კევინ მაკენას თავური.

ნახევარი ტაიმი „რეინჯერსს" შეტევაში არაფერი გამოსდიოდა და როგორც კი მწვავე იერიშს გამორჩა, გოლიც მოინაგრა — მიხაელ მოლსს გორდონმა აუღო, მაგრამ დამატებაზე არველაძემ თავურით ბურთი ჰართსელ მცველებსა და მეკარეს ისე ააცილა, რომ კარში შეაგდო — ოსტატური გოლი გამოვიდა.

შოთას კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ჯერ მიზანმა უმტყუნა, მერე გორდონმა იმარჯვა. მასპინძელთაგან კარგად წარმოაჩინა თავი კრის ბერკმა — ის მთელი 90 წუთის განმავლობაში ძალიან აქტიური იყო, თუმც გამარჯვებისა ახლოდან, იოლად შეაგდო — პიტერ ლოვენკრანდსმა და მოლსმა ამისთვის ყველაფერი გააკეთეს.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 17 | 16 | 1 | 0 | 53:7 | 49 |
| რეინჯერსი | 17 | 13 | 2 | 2 | 41:15 | 41 |
| ჰართსი | 17 | 9 | 2 | 6 | 26:22 | 29 |
| დანფერმლაინი | 17 | 8 | 5 | 4 | 22:21 | 29 |
| ლივინგსტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 18:19 | 21 |
| მოზერუელი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:21 | 20 |
| კილმარნოკი | 17 | 6 | 2 | 9 | 23:36 | 20 |
| ჰიბერნიანი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:25 | 19 |
| დანდი | 17 | 4 | 6 | 7 | 20:23 | 18 |
| დანდი იუნ. | 16 | 4 | 4 | 8 | 15:29 | 16 |
| აბერდინი | 17 | 4 | 3 | 10 | 19:32 | 15 |
| პარტიკ თისლი | 16 | 1 | 2 | 13 | 13:34 | 5 |

### I დივიზიონი. XVIII ტური

კლაიდი — ეარი 2:1; როსი — ბრეჩინი 2:1; სენტ ჯონსტონი — ქუინი 2:2. *ფოლკირკი — ინვერნესი და რეითი — სენტ მირენი გადაიდო*

II დივიზიონი. გადადებული მატჩი

დამბარტონი — ფორფარი გადაიდო

### ასოციაციის თასი. II ეტაპი

ალოა — სპარტანსი 3:3; ბერვიკი — ჰანთლი 4:2; ისტ სტირლინგი — კოუდენბითი 0:5; გრეტნა — სტენჰაუზმური 5:1; ვორქსი — ერდრი 1:5; პიტერჰედი — ისტ ფაიფი 0:2; სტირლინგი — არბროთი 1:2. *მონტროუზი — თრივი გადაიდო*

# მარცხნისაკენ!

## ნადი, ნადი, გზებიც დამილოცნია

**მარჩელო ლიპი** „იუვენტუსისთვის" საკმაოდ წარმატებული წლის მიწურულს თავს გადამხდარ ამბებს იხსენებს და გვიყვება, როგორ აღმოაჩინა ჯანლუკა ძამბროტა ხელახლა:

„ნებისმიერი მწვრთნელის საქმე ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაა. როდესაც ძამბროტამ ტრავმა მოიშუშა და მოედანზე დაბრუნდა, მარჯვენა ფრთაზე კარგ ფორმაში მყოფი მაურო კამორანეზი დაუხვდა. ჩემთვის ნათელი იყო, რომ რომელიმე მათგანის მსხვერპლად შეწირვა სისულელე იქნებოდა და ამიტომ ძამბროტას მარცხნივ გადაბარგება ვთხოვე".

გაირკვა, რომ ძამბროტას მარცხნივ გადასმა წარმატებული ნაბიჯი ყოფილა. „ბარის" ყოფილმა მოთამაშემ როგორც „იუვენტუსში", ასევე იტალიის ნაკრებში ახალ ამპლუაში დაიმკვიდრა ადგილი.

„ქება ჯანლუკას ეკუთვნის, რადგან პროგრესი მთლიანად მისი დამსახურებაა. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ მარცხენა ფეხით, აგერ უკვე თვეებია, ბურთის ჩაკიდება არ შეშლია — დასძინა ლიპიმ, რომელიც 2003 წლით, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კმაყოფილზე მეტია — ერთი პენალტით მეტი რომ გაგვეტანა, საერთოდ დაუვიწყარი იქნებოდა ყველაფერი".

მაგრამ „ტკბილი მოგონებების" მიღმა არსებობს ყოველდღიურობა, მაგალითად, ედგარ დავიდსი, რომელსაც სეზონის ბოლოს „იუვესთან" კონტრაქტის ვადა გაუდის და თან, რაღაც იშვიათად ათამაშებენ ძირითადში. იგი კვირას ლეჩეშიც არ ყოფილა.

„დავიდსი ლეჩეში ავადმყოფობის გამო არ წავიყვანეთ — განმარტა კლუბის დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ — სხვა მიზეზი არ ყოფილა. „იუვენტუსი" ის კლუბი არ არის, ფეხბურთელებს კონტრაქტთან დაკავშირებული პრობლემების გამო სჯიდეს. ვინ ითამაშებს და ვინ არა, ამას მარჩელო ლიპი წყვეტს, ხოლო დავიდსი ღლეისთვის საუკეთესო ფორმაში არ გახლავთ. როდესაც ძველებურად ათამაშებდა, ისევ მიიღებს ყოველ შეხვედრაში მონაწილეობას. რაც შეეხება კონტრაქტს, არც მას სურს მომავალში ჩვენთან თამაში და არც ჩვენ გვინდა მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივება. პირველი იანვრიდან შეუძლია ვისაც უნდა იმას ელაპარაკოს. მე წარმოდგენა არ მაქვს, სად აპირებს გადასვლას. ეს პრობლემა მხოლოდ მას ეხება".

ისე კი, ამბობენ, რომ დავიდსით „რომა" და „ინტერი" არიან დაინტერესებულნი, თუმცა „რომას" ემერსონის შენარჩუნებაც სურს.

„სანამ მე აქ ვმუშაობ, ემერსონიც აქ იქნება — ბრძანა რომაელთა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ — რაც შეეხება დავიდსს, ერთი ნამდვილად ვიცი, რომ მომდევნო სეზონიდან შევ-თეთრი მაისურა აღარ ეცმება, ჩვენთან თუ გადმოვა, მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება".

ბალდინიმ აგრეთვე თქვა, რომ ყველაფერი კარგად მიდის მცველის, ჯონათან ძებინას კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ფრანგი, როგორც ჩანს, არც „მილანში" გადავა და არც „არსენალში".

„იანვრის სატრანსფერო ბაზრისა არ მწამს" — აი, ეს პესიმისტური განცხადება კი „ინტერის" თავკაცს, ალბერტო ძაკერონის ეკუთვნის — „არც ჩემს გუნდში ვინმეს მოსვლის შესახებ ვიცი რამე, თუმცა გარწმუნებთ, რომელიმე დიდი ფეხბურთელის შეძენის ვარიანტი რომ იყოს, ყველას ღონეს ვიხმარდი ამ ვარიანტის განსახორციელებლად, გარდა ამისა, ეჭვი მეპარება, რომელიმე ფეხბურთელს იანვრიდან შეეძლოს ახალ შემადგენლობაში შერწყმა".

**პაპუნა ძედია**





მარჩელო ლიპი ჯანლუკა ძამბროტამ სასიამოვნოდ გააკვირვა

# კანაბალს ბოლო ლუკმა ეგემრიელა

## ჩემპიონობის მაძიებლებმა ქაჩალი გამოაჩინეს

### ესპანეთი

#### პრიმერადივიზიონი XVII ტური

**მალიორკა 1:3 რეალი**

1:0 კორეა (10), 1:1 რაული (45), 1:2 რონალდო (55), 1:3 ფიგუ (68პ)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ლუსენმოფი, კორტესი, ოლაიზოლა (ტონი გონსალესი 52), ნადალი, ნაგორე (ხესუს პერერა 69), კოლსა, ნენე (ი. სტანკოვიჩი 58), რაულ მარტინი, ეტოო, კორეა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბორხა, ი. ელგერა, ზიდანი, რაული (სოლარი 77), ლ. რონალდო
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: ელგერა, კოლსა, ლუსენმოფი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
22 515 მაყურებელი

**ვალენსია 1:0 სევილია**

1:0 მისტა (61)
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, აიალა, გარიდო, მარჩენა, ალბელდა (სისოკო 19), ბარახა, ვისენტე, ხორხე ლოპესი (ანგულო 66), აიმარი, მისტა (ხისკო 78)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სევილია: ესტებანი, დავიდ კასტედო, ოსკარი, ხ. რედონდო, ანტონიო ლოპესი (ნავასი 79), პაბლო ალფარო, პოდესტა (ორნოსი 66), გალიარდო (რეიესი 63), მარტი, ბაპტისტა, დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: რედონდო, პოდესტა, პაბლო ალფარო, კანისარესი, გარიდო, ოსკარი, აიალა
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
47 700 მაყურებელი

**დეპორტივო 2:1 ესპანიოლი**

0:1 კრუიფი (16), 1:1 ლუკე (45), 2:1 ტორიჩელი (64ს.კ.)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, სერხიო (ფრანი 59), ვიქტორი, ვალერონი (სკალონი 66), დუშერი, ტრისტანი (მუნიტისი 75), ლუკე
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ტორიჩელი, დომორო, ხარკე, მორალესი, მაქსი (ლუისმი 83), ტაიფუნი, ალექს ფერნანდესი, კრუიფი (ექტორი 68), ტამუდო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, ხარკე, ვიქტორი, ალექს ფერნანდესი
მსაჯი: ესკინას ტორესი
27 056 მაყურებელი

**ატლეტიკო 2:2 რასინგი**

0:1 მატაბუენა (52), 1:1 პაუნოვიჩი (62), 2:1 მუსამპა (70), 2:2 ხონათანი (79პ)
*იბაგასამ ვერ გაიტანა პენალტი (59, ააცილა)*
ატლეტიკო: ხუანმი, სანტი, სერხი, ლეკი, გასპარი, დე ლოს სანტოსი, ნანო (მუსამპა 59), იბაგასა, ნოვო, ფ. ტორესი (როდრიგო 23), პაუნოვიჩი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
რასინგი: რიკარდო, პაბლო კასარი, აიოზი, ხუანმა, ნაფტი (ხავი გერერო 76), მორანი, რეგუერო (ხონათანი 76), მატეო (მატაბუენა 49), აფეკი, ბოდიპო, ბენაიუნი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: ბენაიუნი, დე ლოს სანტოსი, მატეო, ხუანმა, პაბლო კასარი, რეგუერო, მუსამპა, მატეო, ლუკას ალკარასი („რასინგის" მწვრთნელი), გასპარი, იბაგასა, ლეკი, სანტი
გაძევება: მატეო (71)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
48 450 მაყურებელი

**ოსასუნა 0:1 სარაგოსა**

0:1 ვილა (33)
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო (პალასიოსი 87), ანტონიო ლოპესი, კრუჩაგა, ხოსეჩო, პუნიალი (რივერო 67), მოა, პაბლო გარსია, ვალდო, ალოიზი (მუნიოსი 51), ბაკაიოკო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო (კუარტერო 78), ალვარო, მილიტო, გალეტი (ინიაკი 72), სავიო, პონციო, დავიდ პირი, სორიანო, ჯენერელო, ვილა (ესპადასი 83)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: ხავიერ აგირე („ოსასუნას" მწვრთნელი), ბაკაიოკო, პაბლო გარსია, ალოიზი, კრუჩაგა, ისკიერდო, კრუჩაგა, ჯენერელო, ვალდო
გაძევება: მოა (33), კრუჩაგა (89)
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
18 507 მაყურებელი

**ბარსელონა 1:1 სელტა**

0:1 ხესული (17), 1:1 კოკუ (69)
ბარსელონა: რუშთუ, რაიციგერი (ოსკარ ლოპესი 45), პუიოლი, პ. ანდერსონი, ვან ბრონკჰორსტი (სავიოლა 63), გაბრი (ლუის გარსია 29), ხავი, კოკუ, ოვერმარსი, კლუივერტი, რონალდინიო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
სელტა: კავალიერო, სილვინიო (ხუანფრანი 37; მანოლო სანჩესი 55), კასერესი, ბერიზო, ანხელი, პაბლო კონტრერასი, გუსტავო ლოპესი (ჯოვანელა 64), ხოსე იგნასიო, ლუქსენი, მილოშევიჩი, ხესული
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: რონალდინიო, ვან ბრონკჰორსტი, გუსტავო ლოპესი, მილოშევიჩი, ბერიზო, მანოლო სანჩესი
მსაჯი: რამირეს დომინგესი
78 400 მაყურებელი

**ბეტისი 1:3 ვილიარეალი**

0:1 ანდერსონი (75), 1:1 ხუანიტო (80), 1:2, 1:3 გიარე (85, 87)
ბეტისი: პედრო კონტრერასი, ხუანიტო, რივასი, ვარელა, ლემბო, ფერნანდო, კაპი (არზუ 55), იტო, ისმაელი (დენილსონი 55), ხოაკინი, დანი (პალერმო 67)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, კოლოჩინი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, ხოსიკო, როხერი (ვიქტორი 67), გიარე (ხისკო 88), რიკელმე, ს. ანდერსონი (არზო 88), ხოსე მარი
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: არუაბარენა, ლემბო, კიკე ალვარესი, ხოსე მარი, ლემბო
გაძევება: ლემბო (76)
მსაჯი: უნდიანო მალენკო
40 425 მაყურებელი

**ალბასეტე 1:1 ბილბაო**

1:0 არანდა (14), 1:1 ესკერო (40)
ალბასეტე: ალმუნია, ოსკარი, პენია, პაბლო, ბუადესი, ვიაუდი (პარი 55), ივან დიასი, ალვარო (დავიდ სანჩესი 73), დელპორტი, არანდა (მიკელი 83), პაჩეკო
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
ბილბაო: არანსუბია, ლარასაბალი, ა. კარანკა, ლუის პრიეტო, სესარი, იესტე (ხონანი 62), გურპეგი, ტიკო, ესკერო (ბორდასი 88), ხ. ეჩებერია (არიაგა 86), ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: ვიაუდი, ივან დიასი, ესკერო, დავიდ სანჩესი, არანსუბია, დელპორტი
მსაჯი: პერეს ბურული
15 510 მაყურებელი

**სოსიედადი 1:3 ვალიადოლიდი**

1:0 ნიჰათი (5), 1:1 მაკუკულა (30), 1:2 ოსკარი (72), 1:3 ლოსადა (86)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (დე პაულა 76), კარპინი, დე პედრო (გაბილონდო 76), არანზურუ, კოვაჩევიჩი, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, ჯონათანი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ოსკარი (ლოსადა 73), რიკეტი, კამინერო (საპატა 61), ფ. სალესი (პენია 79), მაკუკულა, სოუზა
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: მარკოსი, ნიჰათი, რიკეტი, ფერნანდო ვასკესი („ვალიადოლიდის" მწვრთნელი), ჟულიო სეზარი, შურერი, ხაბი ალონსო, მაკუკულა, სოუზა, არანზურუ
გაძევება: არანსაბალი (88)
მსაჯი: მეია დავილა
24 297 მაყურებელი

**მურსია 1:2 მალაგა**

0:1 ინსუა (16), 1:1 კარანკა (22), 1:2 კანაბალი (89)
მურსია: ხუანმი, ლოეშბორი, კლავერო, ხუანმა, კუადრადო, ხულიო ალვარესი (კინტანა 70), აკიარი, მიჩელი (ფრედი 83), დ. კარანკა (ესნაიდერი 70), ლუის გარსია, რიჩი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
მალაგა: კალატაიუდი, როხასი (ლუკე 58), ლიტოსი, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, ინსუა (მანუ 58), რომერო (კანაბალი 87), მიგელ ანხელი, ედგარი, სალვა
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: როხასი, სანსი, კუადრადო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
16 660 მაყურებელი

მტკიცება რად უნდა, რომ ყველაზე დრამატული ამ ტურის მატჩებიდან სევილიური იყო. „ბეტისმა" და „ვილიარეალმა" მთელი 75 წუთი ისე ითამაშეს, ნაღდი მომენტი რასაც ჰქვია, არ შეუქმნიათ და ხალხმა მთქნარება რომ დაიწყო, ამათ თამაში მერე დაიწყეს. ყველაფერი კი ბეტისელი მცველების მიერ საჯარიმოს სიახლოვეს ბურთის დაკარგვით დაიწყო. ბურთი სონი ანდერსონმა მოიხელთა და სადაც საჭიროა, იქ გაიტანა. წუთში მასპინძლებს მეორე გაფრთხილებით დანიელ ლემბოც გაუგდეს და სტუმართა გამარჯვებაც თითქოს უეჭველი შეიქნა. მაგრამ საიდანღაც გამომხტარმა ხუანიტომ გაათანაბრა და თამაშს ინტერესი, სევილიელ გულშემატკივარს კი გადარჩენის იმედი ისევ მიეცა. აქ კი ანტონიო გიარემ გამოიდო თავი, ორი გოლი გაიტანა და „ვილიარეალი" ცხრილში მეხუთე ადგილზე წამოასკუპა.

15 წუთში არა, მაგრამ მადრიდში ოთხი გოლი 38 წუთში გავიდა. იქ, „ვისენტე კალდერონზე" „ატლეტიკომ" და „რასინგმა" თითო ქულა მიითვალეს. ისე, ამ 38 წუთში მეხუთეც უნდა გასულიყო — მადრიდელმა არიელ იბაგასამ პენალტი გააფუჭა და მეოთხე ადგილზე აბარგების შანსი წაიხდინა.

მალაგელი მანუელ კანაბალის გოლი კი მურსიელთათვის თავზარდამცემი გამოდგა, რაკი ეს გოლი კანაბალმა წამატებულ დროში გაიტანა. თანაც ამ შეხვედრაში ფრე უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა.

როდესაც სან სებასტიანის „ანოეტაზე" თურქმა ნიჰათმა მე-5 წუთზე ანგარიში გახსნა, „სოსიედადის" გულშემატკივრებმა ვინძლო იფიქრეს, რომ გუნდის ვარდნა ამით დამთავრდებოდა და ამის მერე ქულებს დააგროვებდნენ და დააგროვებდნენ. მაგრამ როდესაც თამაში დამთავრდა, იმავე გულშემატკივრებმა თავისი ფეხბურთელები გამაყრუებელი სტვენით გაისტუმრეს. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტმა სრულიად უსუსურად ითამაშა და „ვალიადოლიდისგან" სამი ბურთი გაუშვა. შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი ახლა გავარდნის პირასაა.

ჩემპიონობისთვის კი სამნი იბრძვიან — „რეალი", „ვალენსია" და „დეპორტივო". მე-17 ტურში სამივემ მოიგო და სამივემ ქაჩალივით მერე მოიგლიჯა.

„მესტალიაზე" მასპინძლებმა თამაში ისე დაიწყეს, თითქოს მოგება არც უნდოდათ და მთელი პირველი ტაიმი ისე გაილია, სევილიელები სერიოზულად არ შეუწუხებიათ. შესვენების მერე კი მოედანზე სულ სხვა „ვალენსია" გამოვიდა, მებრძოლი და გოლზე დაგეშილი და მართალია, მასპინძლები მისტას ერთ გოლს დაყაბულდნენ, საგოლე მომენტები საკმაოდ შექმნეს.

მსგავსი რამ მოხდა ლა კორუნიაშიც. პირველი ტაიმი [illegible] „ესპანიოლის" იყო [illegible] ხორხე კრუიფის გოლით იგებდა კიდეც. „დეპორტივო" მხოლოდ 45 წუთის გასვლის მერე ათამაშდა და პირველი ტაიმის წამატებულ დროში გაათანაბრა. შესვენების მერე კი, „ვალენსიას" დარად, უფრო მონდომებით ითამაშა და სამი ქულა მიითვალა.

ცუდად დაიწყო თამაში „რეალმაც". მალიორკელებმა ფრანსისკო პავონის უხეში შეცდომით ისარგებლეს და ანგარიში გახსნეს. მაგრამ „რეალისთვის" ერთი გოლის გატანა, მოგეხსენებათ, ბევრს არაფერს ნიშნავს და რაულის თავურით, რონალდოს დიდებული სოლოთი და ფიგუს პენალტით, მადრიდელებმა საშემოდგომო ჩემპიონობა გაინაღდეს.

და მერამდენედ უნდა ვთქვათ: ვაი, „ბარსელონას". კატალონიელებმა ისევ დაკარგეს ქულები და თან ისეთ მატჩში, რომელიც აშკარად უნდა მოეგოთ.

„ბარსა" თურქმა მეკარე რუშთუმ და მსაჯმა დაალალატეს. კარლეს პუიოლისგან დაგორებული ბურთი რუშთუმ ვიგოელ სავო მილოშევიჩს ჩააბარა, ვინაც ხესულის გადააბარა და გაატანინა. მაგრამ „ბარსა" არ დანებებულა და ბლომად მომენტებიც შექმნა, ხოლო რონალდინიოს და კლუივერტს გოლები მსაჯმა გაუუქმა. ფილიპ კოკუმ ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, „ბარსა" მოგებასაც იმსახურებდა.

**კოტე კეკელია**




**2004 წელს რონალდო 14 გოლით ხვდება**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 17 | 12 | 3 | 2 | 36:18 | 18 | 39 | 8 | 8 | 0 | 0 | 23:7 | 16 | 24 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:11 | 2 | 15 |
| 2 | ვალენსია | 17 | 11 | 4 | 2 | 31:12 | 19 | 37 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:8 | 9 | 20 | 8 | 5 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 17 |
| 3 | დეპორტივო | 17 | 10 | 3 | 4 | 26:14 | 12 | 33 | 9 | 7 | 0 | 2 | 17:7 | 10 | 21 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 |
| 4 | ოსასუნა | 17 | 7 | 6 | 4 | 18:13 | 5 | 27 | 9 | 5 | 2 | 2 | 13:9 | 4 | 17 | 8 | 2 | 4 | 2 | 5:4 | 1 | 10 |
| 5 | ვილიარეალი | 17 | 7 | 6 | 4 | 20:17 | 3 | 27 | 8 | 3 | 4 | 1 | 11:9 | 2 | 13 | 9 | 4 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 14 |
| 6 | ატლეტიკო | 17 | 8 | 3 | 6 | 23:22 | 1 | 27 | 9 | 6 | 2 | 1 | 14:6 | 8 | 20 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:16 | -7 | 7 |
| 7 | მალაგა | 17 | 8 | 2 | 7 | 23:20 | 3 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 15:7 | 8 | 17 | 9 | 3 | 0 | 6 | 8:13 | -5 | 9 |
| 8 | ბილბაო | 17 | 7 | 4 | 6 | 22:20 | 2 | 25 | 8 | 6 | 0 | 2 | 13:5 | 8 | 18 | 9 | 1 | 4 | 4 | 9:15 | -6 | 7 |
| 9 | ბარსელონა | 17 | 6 | 6 | 5 | 23:22 | 1 | 24 | 9 | 2 | 4 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:13 | 1 | 14 |
| 10 | ვალიადოლიდი | 17 | 6 | 6 | 5 | 22:23 | -1 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 12:7 | 5 | 17 | 9 | 1 | 4 | 4 | 10:16 | -6 | 7 |
| 11 | მალიორკა | 17 | 7 | 2 | 8 | 21:28 | -7 | 23 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:15 | -2 | 14 | 8 | 3 | 0 | 5 | 8:13 | -5 | 9 |
| 12 | სევილია | 17 | 5 | 6 | 6 | 24:21 | 3 | 21 | 8 | 4 | 2 | 2 | 13:9 | 4 | 14 | 9 | 1 | 4 | 4 | 11:12 | -1 | 7 |
| 13 | რასინგი | 17 | 6 | 4 | 7 | 20:25 | -5 | 21 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:13 | -6 | 7 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:12 | 1 | 15 |
| 14 | ალბასეტე | 17 | 6 | 2 | 9 | 21:22 | -1 | 20 | 9 | 5 | 1 | 3 | 15:8 | 7 | 16 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:14 | -8 | 4 |
| 15 | სარაგოსა | 17 | 5 | 4 | 8 | 18:21 | -3 | 19 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:6 | 1 | 9 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:15 | -4 | 10 |
| 16 | ბეტისი | 17 | 4 | 6 | 7 | 21:22 | -1 | 18 | 9 | 1 | 5 | 3 | 9:12 | -3 | 8 | 8 | 3 | 1 | 4 | 12:10 | 2 | 10 |
| 17 | სელტა | 17 | 3 | 8 | 6 | 22:25 | -3 | 17 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 6 | 9 | 2 | 5 | 2 | 14:11 | 3 | 11 |
| 18 | სოსიედადი | 17 | 3 | 6 | 8 | 16:28 | -12 | 15 | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | -3 | 10 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 5 |
| 19 | მურსია | 17 | 1 | 9 | 7 | 15:28 | -13 | 12 | 9 | 1 | 6 | 2 | 11:13 | -2 | 9 | 8 | 0 | 3 | 5 | 4:15 | -11 | 3 |
| 20 | ესპანიოლი | 17 | 2 | 2 | 13 | 12:33 | -21 | 8 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:15 | -10 | 4 | 9 | 1 | 1 | 7 | 7:18 | -11 | 4 |

*„რასინგს" დაკლებული აქვს 1 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 14 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 9 |
| მისტა (ვალენსია) | 9 |
| სალვა (მალაგა) | 9 |

### XVIII ტური

4 იანვარი, 2004 წელი

| | | |
|---|---|---|
| ბილბაო | — | ოსასუნა |
| სელტა | — | დეპორტივო |
| ესპანიოლი | — | მალიორკა |
| რასინგი | — | ბარსელონა |
| რეალი | — | მურსია |
| სევილია | — | ალბასეტე |
| ვალიადოლიდი | — | ბეტისი |
| ვალენსია | — | ვილიარეალი |
| სარაგოსა | — | ატლეტიკო |
| მალაგა | — | სოსიედადი |

### სეგუნდადივიზიონი

#### XVII ტური

**უელვა 1:2 ტერასა**

1:0 იკერ ბეგონია (4), 1:1 რესიო (36), 1:2 მაიკელი (79)

**კადისი 4:1 ტენერიფე**

1:0, 2:0, 3:0 ოლი (7, 21, 45), 4:0 სუარესი (49), 4:1 კიკო გონსალესი (89)

**ლას პალმასი 1:2 ლევანტე**

0:1 აგანსო (40), 0:2 არიდანე (60ს.კ.), 1:2 რუბენი (89პ)

**მალაგა B 0:2 ნუმანსია**

0:1 პულიდო (41), 0:2 კომე (85)

**ხეტაფე 3:1 ლეგანესი**

0:1 ჩიკი (12), 1:1 მარიო (35), 2:1, 3:1 მიჩელი (66, 86პ)

**ალხესირასი 1:1 რაიო ვალეკანო**

1:0 დანი (30), 1:1 პერაგონი (41)

**სპორტინგი 1:0 ეიბარი**

1:0 მიგელი (31)

**ალმერია 2:3 სიუდად მურსია**

0:1 ედუ სერანო (15), 1:1 ფრანსისკო (46), 1:2, 1:3 გუიზა (52, 67), 2:3 ფრანსისკო (72)

**კორდობა 1:0 პოლი ეხიდო**

1:0 პაბლო სიერა (66)

**სალამანკა 2:2 ხერესი**

0:1 კალე (1), 1:1 აურელიო (14), 2:1 ხოუანი (21), 2:2 კალე (32)

**ალავესი 2:1 ელჩე**

0:1 აკუნია (18), 1:1, 2:1 ივან ალონსო (54, 62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 17 | 10 | 3 | 4 | 29:13 | 33 |
| ლევანტე | 17 | 8 | 8 | 1 | 18:7 | 32 |
| კადისი | 17 | 9 | 3 | 5 | 23:14 | 30 |
| ალავესი | 17 | 8 | 5 | 4 | 18:13 | 29 |
| სპორტინგი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:17 | 28 |
| ხეტაფე | 17 | 6 | 10 | 1 | 21:15 | 28 |
| ალმერია | 17 | 6 | 8 | 3 | 22:19 | 26 |
| ეიბარი | 17 | 6 | 7 | 4 | 15:11 | 25 |
| კორდობა | 17 | 5 | 8 | 4 | 14:12 | 23 |
| ელჩე | 17 | 5 | 7 | 5 | 22:23 | 22 |
| სალამანკა | 17 | 4 | 9 | 4 | 16:15 | 21 |
| სიუდად მურსია | 17 | 4 | 9 | 4 | 23:30 | 21 |
| ლეგანესი | 17 | 4 | 8 | 5 | 16:19 | 20 |
| ტენერიფე | 17 | 3 | 10 | 4 | 14:18 | 19 |
| რაიო | 17 | 5 | 3 | 9 | 20:27 | 18 |
| უელვა | 17 | 2 | 11 | 4 | 13:17 | 17 |
| ლას პალმასი | 17 | 3 | 8 | 6 | 20:25 | 17 |
| ტერასა | 17 | 4 | 5 | 8 | 15:21 | 17 |
| ხერესი | 17 | 2 | 11 | 4 | 13:19 | 17 |
| ეხიდო | 17 | 4 | 5 | 8 | 16:23 | 17 |
| მალაგა B | 17 | 2 | 6 | 9 | 18:26 | 12 |
| ალხესირასი | 17 | 1 | 8 | 8 | 14:20 | 11 |

# კუნძულელი დემონი



მარსელი — ტულუზი. მასპინძელთა ერთადერთი გოლი და ეს „მკრატელა“ დიდიე დროგბასი იყო

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XIX ტური

**ლიონი 1:1 პსჟ**

0:1 პაულეტა (40), 1:1 კარიერი (84)

**მარსელი 1:0 ტულუზი**

1:0 დროგბა (61)

**აიაჩო 2:0 ლანსი**

1:0 ბონალი (12), 2:0 დემონი (83)

**ბასტია 0:2 ლილი**

0:1, 0:2 მანჩევი (26, 50)

**ბორდო 2:0 მეცი**

1:0 ფრანსია (4:), 2:0 ჩამახი (60)

**ლე მანი 2:2 სოშო**

1:0 კუზინი (27), 1:1 სანტოსი (49), 2:1 კუზინი (56), 2:2 ზაირი (65)

**ნანტი 1:0 ოსერი**

1:0 და როჩა (2)

**ნიცა 2:0 გენგამი**

1:0 ტრაორე (35), 2:0 ლასლანდი (87)

**რენი 1:0 მონაკო**

1:0 ბარბოსა (47)

**სტრასბური 4:2 მონპელიე**

0:1 კაროტი (27), 1:1 ლე პენი (31), 1:2 ლაფურსედი (38), 2:2 მულუნჟი (40), 3:2 ბასილა (51), 4:2 ლე პენი (64)

პირველი წრის ბოლო ტურში „მონაკოს“ ალლუმი შეწყდა. „რენმა“ სამთავროს გუნდის დამარცხება შეძლო. მონაკოელებს მეორე ტურის შემდეგ მატჩი არ წაეგოთ, თან ყოველ შეხვედრაში, სულ მცირე, ერთი გოლი გაჰქონდათ, რაც ამჯერად ველარ მოახერხეს პრსომ, ჟიულიმ და მორიენტესმა.

რამდენიმე კვირის წინ „რენმა“ „ლიონის“ ძლევაც შეძლო. ბრეტონელებს ლიდერებთან კბილები ალბათ უკეთ უჭრით. ფრედერიკ პიკიონისა და სედრიკ ბარბოსას კომბინაცია მეორე ტაიმის დასაწყისში ახლოდან გატანილი გოლით დასრულდა და მასპინძლებს სამი ქულა არგუნა.

დიდიე დეშანი: „მეტოქე ჩვენზე უკეთ მოძრაობდა და ბურთის ართმევაშიც უზადო იყო. ადრე ასეთ შემთხვევაშიც ვიგებდით, მაგრამ ამჯერად ალარ გამოგვივიდა. საშემოდგომო ეტაპი მაინც კარგად ჩავატარეთ. გუნდს ახლა დასვენება სჭირდება“.

„მონაკოს“ წაგებით მდევრებმა ვერ ისარგებლეს. „ლიონმა“ პსჟ-ს უმასპინძლა და შეცვლაზე შესულ ერიკ კარიერის წყალობით პარიზელებს ქულა გამოგლიჯა. პოლ ლე გუენისა და კარიერის ურთიერთობა სეზონის დასაწყისშივე აიმღვრა, ამიტომ მწვრთნელი ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებს.

დაახლოებით ორთვიანი აწეწილობის შემდეგ „მარსელმა“ გამარჯვებას ძლივს მიაღწია, ისიც კაცნაკლულ, მაჩანჩალა „ტულუზთან“, რომელსაც უხეშობისთვის უსმან ნდოიე მე-7 წუთზევე გაუძევეს. მასპინძელთა მთავარმეგოლე დიდიე დროგბამ ბურთი სტუმართა კარის ცხრიანში შეჭედა.

ექვსმატჩიანი მოგებათა სერია „სოშოს“ ლემანში შეაწყვეტინეს. დამხვდურები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ იოჰან პელეს სოშოელებმა ორჯერვე საპასუხო გაუტანეს. „ლე მანის“ კარს დიდი ბრაზილიელის სეხნია იცავდა, რომლის დებიუტიც შედგა ძირითად შემადგენლობაში.

„სოშოს“ ფრის გამო მეოთხე ადგილი არ გაუკარგავს, რადგან გი რუს „ოსერმა“ ნანტში წააგო. მასპინძლებმა გამარჯვების კინკილა გოლი შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანეს. ფრედერიკ და როშა ფაბიენ კოლთან პირისპირ გავიდა და აჯობა. „ოსერმა“ დარჩენილ დროში ნანტელთა კარის გასაღები ვერ მოძებნა.

ძალიან მშვიდად, აუღელვებლად და უხმაუროდ თამაშობს ლაჟვარდოვანი სანაპიროს მკვიდრი „ნიცა“. 18 მატჩში სამი მარცხი და მეშვიდე ადგილი აშკარად კარგი შედეგია.

ნიცელებმა სემი ტრაორეს წყალობით ანგარიში პირველ ტაიმში გახსნეს, მეორე კი მას შემდეგ მიითვალეს, სტუმრებს ბლეზ კუასი რომ გაუგდეს.

ალბათ ყველაზე არასტაბილური „ლანსია“, რომელსაც პერიოდული ჩავარდნები სჭირდა. ლანსელებმა კორსიკაზე სუსტად ითამაშეს და „აიაჩოსგან“ ორი გოლი გაუშვეს. შესვენებამდე ნიკოლა ბონალმა იტანჟეს მოგერიებულს დაამატა, მეორე ნახევარში კი იოჰან დემონმა იხეირა.

მთავარმეკარე ულრიხ რამესა და ფორვარდ ჟან კლოდ დარშეველის გარეშე მოთამაშე „ბორდოს“ „მეცის“ ძლევა არ გასჭირვებია. ანგარიში ყმაწვილმა პაბლო ფრანსიამ უზადო საჯარიმო დარტყმით გახსნა, მოგვიანებით კი მორუან ჩამახმაც გაიტანა.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 18 | 13 | 3 | 2 | 32:14 | 42 |
| ლიონი | 18 | 10 | 5 | 3 | 32:14 | 35 |
| პსჟ | 19 | 10 | 5 | 4 | 25:16 | 35 |
| სოშო | 18 | 10 | 4 | 4 | 29:18 | 34 |
| ოსერი | 19 | 10 | 2 | 7 | 30:18 | 32 |
| მარსელი | 17 | 10 | 0 | 7 | 24:17 | 30 |
| ნიცა | 18 | 7 | 8 | 3 | 18:15 | 29 |
| ლანსი | 19 | 9 | 1 | 9 | 16:28 | 28 |
| ნანტი | 19 | 8 | 3 | 8 | 19:18 | 27 |
| სტრასბური | 19 | 7 | 5 | 7 | 30:27 | 26 |
| ბორდო | 18 | 7 | 5 | 6 | 18:16 | 26 |
| რენი | 19 | 5 | 8 | 6 | 20:19 | 23 |
| ბასტია | 19 | 6 | 5 | 8 | 23:30 | 23 |
| ლილი | 19 | 5 | 7 | 7 | 21:24 | 22 |
| მონპელიე | 17 | 6 | 3 | 8 | 25:28 | 21 |
| აიაჩო | 19 | 5 | 4 | 10 | 17:26 | 19 |
| მეცი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:21 | 16 |
| ლე მანი | 19 | 3 | 7 | 9 | 17:30 | 16 |
| გენგამი | 19 | 4 | 3 | 12 | 16:30 | 15 |
| ტულუზი | 19 | 2 | 6 | 11 | 13:30 | 12 |

### II დივიზიონი. XIX ტური

ნანსი — კაენი 0:2; ბეზანსონი — კლერმონი 1:1; ამიენი — გრენობლი 0:1; შატორუ — გენიონი 3:2; კრეტეი — ანჟერი 1:1; ლორიანი — ნიორი 4:2; რუანი — ტრუა 0:1; სედანი — ლავალი 1:0; ვალანსი — ისტრი 0:0; სენტ ეტიენი — ლე ავრი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 19 | 12 | 4 | 3 | 23:7 | 40 |
| სენტ ეტიენი | 19 | 11 | 2 | 6 | 21:15 | 35 |
| ლორიანი | 19 | 10 | 4 | 5 | 35:20 | 34 |
| კაენი | 19 | 9 | 7 | 3 | 25:14 | 34 |
| ამიენი | 19 | 9 | 6 | 4 | 20:12 | 33 |
| ნიორი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:17 | 30 |
| ლე ავრი | 19 | 7 | 6 | 6 | 22:19 | 27 |
| სედანი | 19 | 6 | 9 | 4 | 13:13 | 27 |
| ნანსი | 19 | 6 | 8 | 5 | 22:19 | 26 |
| ტრუა | 19 | 6 | 8 | 5 | 20:19 | 26 |
| შატორუ | 19 | 6 | 7 | 6 | 23:27 | 25 |
| კლერმონი | 19 | 5 | 8 | 6 | 20:29 | 23 |
| ვალანსი | 19 | 5 | 7 | 7 | 21:24 | 22 |
| კრეტეი | 19 | 4 | 9 | 6 | 19:21 | 21 |
| ანჟე | 19 | 4 | 8 | 7 | 18:23 | 20 |
| გრენობლი | 19 | 3 | 9 | 7 | 14:18 | 18 |
| გენიონი | 19 | 3 | 8 | 8 | 18:26 | 17 |
| ლავალი | 19 | 3 | 7 | 9 | 21:31 | 16 |
| რუანი | 19 | 2 | 8 | 9 | 15:27 | 14 |
| ბეზანსონი | 19 | 2 | 7 | 10 | 14:27 | 13 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XVI ტური

**ტვენტე 2:0 აიაქსი**

1:0, 2:0 ნკუფო (37, 60)

**უტრეხტი 3:0 ვოლენდამი**

1:0 ცვაანცვიკი (14), 2:0 ტანგე (23პ), 3:0 ცვაანცვიკი (31)

**ვალვაიკი 0:0 ფეიენოორდი**

**გრონინგენი 1:2 ტილბურგი**

1:0 ვან გესელი (25), 1:1, 1:2 ბადური (64, 81)

**ვიტესი 0:0 პსვ ეინდჰოვენი**

**ბრედა 3:2 როზენდალი**

1:0 ენგელაარი (5), 1:1 იკედია (32), 2:1 ბუსაბუნი (28), 3:1 ენგელაარი (44), 3:2 დე გრააფი (63)

**ჰერენვენი 2:1 როდა**

1:0 სამარასი (7), 2:0 სელაკოვიჩი (78), 2:1 კრისტიანო (89)

**ნაიმეხენი 1:0 ზვოლე**

1:0 ბერსი (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 16 | 11 | 4 | 1 | 44:13 | 37 |
| აიაქსი | 15 | 12 | 1 | 2 | 39:16 | 37 |
| ალკმაარი | 16 | 10 | 2 | 4 | 34:17 | 32 |
| ფეიენოორდი | 16 | 8 | 4 | 4 | 30:21 | 28 |
| ტილბურგი | 16 | 8 | 3 | 5 | 26:24 | 27 |
| ჰერენვენი | 16 | 8 | 2 | 6 | 20:19 | 26 |
| ტვენტე | 16 | 8 | 1 | 7 | 31:28 | 25 |
| უტრეხტი | 16 | 7 | 4 | 5 | 21:18 | 25 |
| როდა | 15 | 5 | 6 | 4 | 26:19 | 21 |
| როზენდალი | 16 | 5 | 6 | 5 | 16:18 | 21 |
| გრონინგენი | 16 | 5 | 5 | 6 | 22:25 | 20 |
| ნაიმეგენი | 16 | 6 | 1 | 9 | 19:27 | 19 |
| ბრედა | 16 | 5 | 3 | 8 | 25:25 | 18 |
| ვალვაიკი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:22 | 17 |
| ვიტესი | 16 | 2 | 7 | 7 | 23:30 | 13 |
| ვოლენდამი | 16 | 3 | 4 | 9 | 17:44 | 13 |
| დენ ჰააგი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:35 | 10 |
| ზვოლე | 16 | 1 | 4 | 11 | 9:32 | 7 |

### II დივიზიონი. XX ტური

მაასტრიხტი — აპელდორნი 0:2; ექსელსიორი — იგლსი 5:3; ტელსტარი — ვენლო 3:1; ჰერაკლესი — დორდრეხტი 1:1; ეინდჰოვენი — ჰელმონდი 1:2; კამბური — სპარტა 1:2; ვეენდამი — ჰაარლემი 2:0; ოსი — ემენი 1:4; გრააფსხაპი — დენ ბოსხი 2:1

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XV ტური

**ფერეირა 1:0 აკადემიკა**

1:0 მანუელ ჟუნიორი (48პ)

**რიუ ავე 4:1 ბელენენსეში**

1:0, 2:0 ევანდრო (30, 44), 2:1 მორაიში (53), 3:1 რონი (55პ), 4:1 მაგალაეში (72)

**ბეირა მარი 1:0 ნასიონალი**

1:0 ჟუნინიო პეტროლინა (74)

**მარიტიმუ 1:0 მორეირენსე**

1:0 დანი გომეში (24)

**ბრაგა 2:1 გიმარაეში**

1:0 სოდერსტრიომი (12), 2:0 ხაიდი (38პ), 2:1 მარკუ კოუტუ (90)

**ამადორა 0:3 ბენფიკა**

0:1 ნუნუ გომეში (3), 0:2 ტიაგო (10), 0:3 შოკოტა (32)

**სპორტინგი 2:0 ლეირია**

1:0 ლოურენკუ (75), 2:0 ბარბოსა (82პ)

**ჟოავიშტა 0:3 ჟილ ვისენტე**

0:1 ედინიო (45), 0:2 ლოურეირუ (63პ), 0:3 არუდა (90)

**ალვერკა — პორტუ**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 11 | 3 | 0 | 34:10 | 36 |
| სპორტინგი | 15 | 11 | 1 | 3 | 28:15 | 34 |
| ბენფიკა | 15 | 10 | 3 | 2 | 30:11 | 33 |
| ბეირა მარი | 15 | 9 | 2 | 4 | 24:16 | 29 |
| მარიტიმუ | 15 | 7 | 6 | 2 | 17:13 | 27 |
| ბრაგა | 15 | 8 | 3 | 4 | 17:15 | 27 |
| ბოავიშტა | 15 | 6 | 5 | 4 | 14:11 | 23 |
| რიუ ავე | 15 | 5 | 5 | 5 | 18:14 | 20 |
| ნასიონალი | 15 | 6 | 1 | 8 | 23:18 | 19 |
| ბელენენსეში | 15 | 4 | 6 | 5 | 20:25 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 4 | 5 | 6 | 22:19 | 17 |
| ალვერკა | 14 | 5 | 2 | 7 | 16:17 | 17 |
| ლეირია | 15 | 5 | 2 | 8 | 18:26 | 17 |
| აკადემიკა | 15 | 4 | 3 | 8 | 13:18 | 15 |
| მორეირენსე | 15 | 3 | 4 | 8 | 9:20 | 13 |
| გიმარაეში | 15 | 2 | 5 | 8 | 16:23 | 11 |
| ფერეირა | 15 | 3 | 1 | 11 | 7:25 | 10 |
| ამადორა | 15 | 2 | 1 | 12 | 10:40 | 7 |

### მეორე ლიგა. XV ტური

ფეირენსე — ოვაირენსე 2:1; ვარზიმი — შავეში 0:0; პენაფიელი — მადეირა 2:1; პორტიმონენსე — ლეიშოეში 1:2; ნავალი — მარკუ 1:1; კოვილია — სეტუბალი 2:0; სალგეირუში — მაია 1:1; ფელგეირაში — ავეში 1:1; სანტა კლარა — ეშტორილი 0:3

## ბელგია

### იუპილერ ლიგა. XVII ტური

**გენტი 0:1 სენტ ტრუიდენი**

0:1 მბონაბუკია (37)

**ანტვერპენი 0:3 ბევერენი**

0:1 იაპი-იაპო (10), 0:2, 0:3 კაიპერი (41, 70)

**ლიერსი 1:1 ბრიუგე**

0:1 ლანგე (22), 1:1 დე ვილდე (28)

**მონსი 2:2 შარლერუა**

0:1 ლასკილა (1), 0:2 დუფერი (70), 1:2, 2:2 ლა პლაჩა (72, 75)

**მუსკრონი 3:0 ლოკერენი**

1:0 პიერონი (31), 2:0 მ. მპენზა (44), 3:0 პიერონი (54)

**გენკი 4:1 ჰეუსდენი**

1:0 კლაპკა (11), 2:0, 3:0 რუსელი (22, 60), 4:0 ვამფორი (68), 4:1 დე კონდე (77)

**სერკლ ბრიუგე 0:0 ვესტერლო**

**სტანდარდი 2:1 ბეერსხოტი**

1:0 კაკლამანოსი (13), 1:1 ვან დე ვეირი (23), 2:1 კარინი (36პ)

**ლუვიე 1:4 ანდერლეხტი**

0:1 მორნარი (22), 0:2 ზეტერბერგი (26), 0:3 იაშჩუკი (56), 0:4 ბასეჯიო (66), 1:4 მარსი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 17 | 15 | 1 | 1 | 45:14 | 46 |
| სტანდარდი | 17 | 12 | 2 | 3 | 34:13 | 38 |
| გენკი | 17 | 9 | 4 | 4 | 35:21 | 31 |
| მუსკრონი | 17 | 8 | 6 | 3 | 32:19 | 30 |
| ბრიუგე | 17 | 8 | 4 | 5 | 32:22 | 28 |
| სენტ ტრუიდენი | 17 | 7 | 6 | 4 | 21:21 | 27 |
| ბევერენი | 17 | 8 | 0 | 9 | 24:27 | 24 |
| ვესტერლო | 17 | 6 | 6 | 5 | 19:23 | 24 |
| გენტი | 17 | 5 | 8 | 4 | 19:15 | 23 |
| ბეერსხოტი | 17 | 6 | 5 | 6 | 16:18 | 23 |
| ლუვიე | 17 | 4 | 8 | 5 | 21:22 | 20 |
| სერკლი | 17 | 4 | 8 | 5 | 13:21 | 20 |
| ლიერსი | 17 | 4 | 7 | 6 | 17:20 | 19 |
| ლოკერენი | 17 | 3 | 4 | 10 | 18:30 | 13 |
| მონსი | 17 | 2 | 7 | 8 | 14:27 | 13 |
| ჰეუსდენი | 17 | 3 | 4 | 10 | 14:28 | 13 |
| ანტვერპენი | 17 | 3 | 3 | 11 | 12:35 | 12 |
| შარლერუა | 17 | 2 | 5 | 10 | 9:19 | 11 |

### II კლასი. XVIII ტური

ტუბიცე — დენდერლეუ 0:0; ოსტენდე — ვიზეტი 2:0; რუზელარე — ვირტონი 1:1;ეუპენი — დაინცე 3:0; ბრიუსელი — ინგელმუნსტერი 3:1; გეელი — დესელი 0:2; ჰამე — ვარეგემი 0:6; აალსტი — პატრო 3:3; რონსი — ტინენი 0:1

## თურქეთი

### სუპერლიგა. XVII ტური

სამსუნი — ბურსა 0:0; ისთანბული — ქონია 2:3; დენიზლი — ადანა 1:1; ანკარაგიუჯიუ — სებათი 1:1; დიარბაქირი — გაზიანთეფი 2:1; მალათია — ფენერბაჰჩე 2:2; ელაზიგი — გალათასარაი 2:2; ტრაბზონი — გენჩლერი 1:3; ბეშიქთაში — რიზე 5:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 17 | 13 | 4 | 0 | 42:15 | 43 |
| ფენერბაჰჩე | 17 | 9 | 6 | 2 | 37:22 | 33 |
| ტრაბზონი | 17 | 9 | 4 | 4 | 26:20 | 31 |
| დენიზლი | 17 | 9 | 3 | 5 | 31:20 | 30 |
| გალათასარაი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:23 | 29 |
| მალათია | 17 | 7 | 6 | 4 | 27:19 | 27 |
| გენჩლერი | 17 | 8 | 2 | 7 | 31:20 | 26 |
| გაზიანთეფი | 17 | 8 | 2 | 7 | 23:22 | 26 |
| დიარბაქირი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:22 | 25 |
| სამსუნი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:28 | 23 |
| ისთანბული | 17 | 6 | 3 | 8 | 27:25 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 17 | 5 | 4 | 8 | 22:30 | 19 |
| რიზე | 17 | 5 | 4 | 8 | 16:24 | 19 |
| კონია | 17 | 3 | 9 | 5 | 23:29 | 18 |
| სებათი | 17 | 3 | 5 | 9 | 18:28 | 14 |
| ბურსა | 17 | 2 | 7 | 8 | 14:22 | 13 |
| ადანა | 17 | 3 | 2 | 12 | 15:37 | 11 |
| ელაზიგსფორი | 17 | 2 | 5 | 10 | 19:42 | 11 |

## ჩილე

### კლაუსურა. პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

**კოლო კოლო 1:2 კობრელოა (2:2)**

## კოლუმბია

### კლაუსურა. პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

**დეპორტივო კალი 3:1(პენ.2:4) ტოლიმა (0:2)**

*პარასკევს, გვიან საღამოს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სამსჯავრომ, როგორც იქნა დაასრულა რიო ფერდინანდის მიერ სადოპინგო გაცდენის საქმის განხილვა და „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს რვა თვით აუკრძალა თამაში.*

*ეს იმას ნიშნავს, რომ რიო ფერდინანდი ახალი წლიდან ახალი სეზონის დაწყებამდე ვერ ითამაშებს ვერც კლუბში და ვერც ნაკრებში და შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატსაც გააცდენს, რასაც უკვე გამოეხმაურნენ ნაკრების ფეხბურთელები, რომლებსაც, ცხადია, არ ეამათ მსოფლიოს ყველაზე ძვირი მცველის მოკვეთა*

# რვა თვე



## რიო მარადონას აადევნეს

**საქმის გარჩევა** გაიმართა ბოლტონის „რიბოკის" სტადიონზე. თავად ფეხბურთელს პრესისთვის არაფერი უთქვამს, კლუბის დირექტორმა მეტიუ უოტკინსმა კი განაჩენიდან ხუთ წუთში გაავრცელა განცხადება, რომელშიაც ფეხბურთელის მიმართ გადაწყვეტილებას სასტიკი, უპრეცედენტო და არაადამიანური უწოდა. „მანჩესტერი" ორი კვირის ვადაში ასოციაციაშივე შეიტანს აპელაციას, თუმცა, ძნელია, რომ რაიმეს შეცვლას ელოდოს. სამსჯავრომ 30 ათასი გირვანქითაც დააჯარიმა რიო.

აქ უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება გვარიანად მკაცრი გამოდგა, ამდენთვიან სასჯელს არავინ ელოდა. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში სადოპინგო ამბებისთვის უფრო მეტი ხნით დაუსჯიათ ორადორი ფეხბურთელი — დიეგო არმანდო მარადონა 15 თვით და ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი 9 თვით.

ხუთთვენახევარი აეკრძალა თამაში ედგარ დავიდსს, ხუთი ივით ფრანკ დე ბურს და ოთხი თვითაც მათსავე მეგობარ იაპ სტამს. ამათ ყველამ გაიარეს სადოპინგო ტესტი და ამიტომაც დაისაჯნენ, რიოს კი ტესტი არ გაუვლია, მისი და კლუბის მტკიცებით, გამოძახება მიავიწყდა და როცა გაახსენდა, გვიანი იყო, რადგან სახლისთვის ავეჯის ასარჩევად დადიოდა მაღაზიებში.

„რიბოკზე" კი პარასკევ დილიდანვე იწყეს დენა მოწმეებმა, რომლებიც მოპასუხე მხარემ, „მანჩესტერმა" წარადგინა. საერთოდ, „მანჩესტერმა" ადრიდანვე გადაწყვიტა თავისი ფეხბურთელის გადასარჩენად ბრძოლა და საჭირო მოწმეც იპოვნა საკვირველია, მაგრამ ეს მოწმე ქალაქის ცისფეროვანთა უბნიდან, „იუნაიტედის" სამტრო ბანაკ „სიტიდან" იყო. ეიალ ბერკოვიჩი, რომელიც ახლა „სიტიში" თამაშობს, რიოს მეგობარია „ვესტ ჰემში" ერთად ყოფნის დროიდან და იმ ოხერ, თუ ვერაგ დღეს ავეჯის მაღაზიაშიც თან ჰხლებია.

ბერკოვიჩის გარდა იქ იყვნენ „იუნაიტედის" ექიმი და ალექს ფერგიუსონის მეგობარი მაიკ სტოუნი, თავად სერ ალექსი, ნიკი ბატი, ვექილი რონალდ ტვეიტსი და ასოციაციის მოსამართლენი. საქმის განხილვა დილის ცხრის ნახევარზე დაიწყო და განაჩენი საღამოს რვაზე წაიკითხეს.

საერთოდ, ამ საქმეს წინ უსწრებდა არასასურველი ფონი: თავიდან ასოციაცია ძალიან მკაცრად იყო განწყობილი, თუმცა „მანჩესტერმა" და პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ საქმეში გარდატეხის შეტანა მოახერხეს და სწორედ ამ დროს გაისმა ფიფას პრეზიდენტის, ზეპ ბლატერის მკაცრი ხმა, მკაცრი სასჯელის მოთხოვნით.

ამიტომ რიო განწირული იყო. იმასაც ამბობდნენ, ორწლიანი სასჯელი ელისო. კაცმა არ იცის, რომ შემთხვევით გააცდინა ტესტი, თუ შეეშინდა. მისი ცხოვრების წესს თუ მივხედავთ, ცხადია, გული ცუდისკენ გაგვიწევს, ოღონდ სადოპინგო ამბავი აქ გამორიცხულია. იგივე არსენ ვენგერს რომ დავესესხოთ, ინგლისში დოპინგის პრობლემა არ არსებობს. ოღონდ, ეს კია, რომ თუკი რიომ განგებ გააცდინა ტესტი, მას თავის სისხლში ნარკოტიკის კვალისა უფრო შეეშინდებოდა, ვიდრე, ექიმის მიწოდებული აკრძალული პრეპარატისა. რიო ფერდინანდი რომ მინდორსგარეთ სანიმუშო კაცად ყოფილიყო ცნობილი, ეგებ პრესასაც სხვაგვარი ტონი ჰქონოდა, ანდა სერ ალექსი რომ გამუდმებით არ ესხმოდეს თავს ასოციაციას და მერე მის მაგივრად პრეს-სამსახური არ იხდიდეს ბოდიშებს, ალბათ საქმე ოდნავ გვერდით მაინც გაუხვევდა. ახლა კი ასე გამოვიდა.

თუმცა, ალექს ფერგიუსონის ჭკუა და ეშმაკობა ცნობილია და მისი კომენტარები ამჯერადაც მეტად მოქნილია: „რიო თამაშში ფეხებზემკიდია ვინმეა, არასოდეს ნერვიულობს. ის დიდი, იოლი ბიჭია. მგონია, რომ ამ საქმესაც იოლად გაატარებს. ასე მგონია, თუმცა ადამიანები ვართ და შეიძლება გავტყდეთ კიდეც. ოთხშაბათს უქმე გვქონდა და მაინც უნდოდა სავარჯიშოდ მოსვლა. ძალიან უიღბლო რამეა, რომ ინგლისის ფეხბურთის მესვეურები ზეპ ბლატერის განცხადებების გავლენას განიცდიან. არა მგონია, ინგლისში ვინმეს უხაროდეს, რომ ასეთი საქმეები ასეთ გავლენას განიცდიან".

ფერგის ხმა ააყოლა მისმა მარადმა მეტოქემ, „მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმაც: „ზეპ ბლატერი არ არის ფიფა. ბლატერი მხოლოდ და მხოლოდ ფიფას პრეზიდენტია. ამიტომ, როცა რაიმე საქმეზე ლაპარაკობ, ეს უნდა გახსოვდეს. ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი საფეხბურთო საქმეები და არა ფიფას შესცქეროდეს. მე არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ ვისა აქვს უფლება, რომ თქვას, რიო ფერდინანდი სამუდამოდ უნდა მოიკვეთოს ფეხბურთიდანო და ეს ისე თქვას, რომ მისი საქმისა არაფერი გაეგებოდეს?"

ასე კი, მგონი, სწორედ ბლატერი ამბობდა.

რიო მალე დაისვენებს, თუმცა სერ ალექსს ის სწორედ ახალ წლამდე, ანუ იმ ორ კვირაში სჭირდება, როცა ფაქტობრივად წყდება პრემიერლიგის ლიდერის ბედი. ხომ თქმულია, შობის ლიდერი, ჩემპიონიაო.

ფერდინანდის ადგილს კი ალბათ ვესლი ბრაუნი დაიჭერს.

**ირაკლი გამყრელიძე**
***ლონდონიდან***





ალექს ფერგიუსონს ზეპ ბლატერის ლანძღვაში სიტყვა არსენ ვენგერმაც შეაწია

## ფერდინანდის საქმის ქრონოლოგია

*23 სექტემბერი:* ბრიტანეთის სპორტის დოპინგის კომისიის ოფიცრები „მანჩესტერ იუნაიტედის" კარინგტონის ბაზაზე მიდიან და კლუბს ამცნობენ, რომ ტესტი ოთხმა მოთამაშემ, მათ შორის რიო ფერდინანდმა უნდა გაიაროს. ფერდინანდი, რომელიც აცხადებს, რომ სახლის რემონტით იყო დაკავებული, თუმცა იმ დღეს მაღაზიაში ჩაიჭირეს ფოტოგრაფებმა, ისე გადის ბაზიდან, რომ შარდის ანალიზს არ აბარებს. კლუბი აცხადებს, რომ მას ტესტი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მობილური ჩართო და იქ მესიჯები დახვდა. ამასობაში ოფიცრებმა ბაზა დატოვეს.

*25 სექტემბერი:* ფერდინანდი გადის ტესტს და მისი ანალიზი სუფთაა.

*4 ოქტომბერი:* „იუნაიტედის" პასუხისმგებელ შეფს კერძო საუბარშიატყობინებენ, რომ რახან ფერდინანდმა ტესტი დათქმულ დროში არ გაიარა, მას ასოციაცია ნაკრებში არ შეუშვებს და გუნდი უმისოდ გაემგზავრება თურქეთში გადამწყვეტ მატჩზე.

*5 ოქტომბერი:* ასოციაციის პასუხისმგებელი დირექტორი დილით პირისპირ ხვდება რიო ფერდინანდს. შუადღისას ასოციაციაში ელაპარაკებიან „იუნაიტედის" ოფიციალურ პირებს. ინგლისის ნაკრების სათურქეთო შემადგენლობის გამოცხადება გადადებულია.

*6 ოქტომბერი:* ვრცელდება ჭორი, რომ ნაკრები ფერდინანდის საქმეზე ბჭობს. დანამდვილებით უცნობია, მართლა გამოყვანილია თუ არა რიო ნაკრებიდან. საღამოს პირზე „იუნაიტედი" აცხადებს, რომ ეს ასეა.

*7 ოქტომბერი:* დილით ასოციაცია ადასტურებს, რომ რიო თურქეთში ვერ წავა. გაზეთი „თაიმსი" პირველი ავრცელებს ცნობას, რომ ნაკრებში გაფიცვა იწყება ფერდინანდის დაბრუნების მოთხოვნით. ფეხბურთელებს მხარს უჭერს მათი პროფკავშირის ლიდერი გორდონ ტეილორი.

*8 ოქტომბერი:* რიო ნაკრებს სთხოვს, რომ უმისოდ ითამაშონ. გუნდი თანხმდება, მაგრამ გადაწყვეტილებას აკრიტიკებს.

*13 ოქტომბერი:* ასოციაციის მოსმენაზე რიო აცხადებს, რომ ტესტის ჩაბარება დაავიწყდა, თუმცა იმავე საღამოს ცდილობდა ამის მოხერხებას.

*14 ოქტომბერი:* ფერდინანდს მოსთხოვეს, რომ მისი მობილური ტელეფონის არქივი გამოამზეუროს ასოციაციაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ფეხბურთელის მტკიცებით, მას საათნახევრით ჰქონდა გამორთული მობილური. იმავე დღეს ფიფა აცხადებს, რომ თავადაც დასჯის ფეხბურთელს, თუ ასოციაციის სასჯელი ლმობიერი მოეჩვენება.

*19 ოქტომბერი:* ორი ინგლისური ტაბლოიდი აქვეყნებს ცნობას, რომ ბაზიდან წასვლის შემდეგ რიოს მობილური მოკლე ხნით ჩართული ჰქონდა, ხოლო შემდეგ, პირველი, ვისაც ელაპარაკა, პირადი ექიმი იყო.

*20 ოქტომბერი:* ასოციაცია იღებს ფერდინანდის მობილურის ჩანაწერებს.

*29 ოქტომბერი:* ასოციაცია ბრალს სდებს რიო ფერდინანდს იმაში, რომ „მან თავი აარიდა ოფიციალურ ტესტს".

*12 ნოემბერი:* ასოციაცია ერთ დღე-ლამეს აძლევს ფერდინანდს პოზიციის გამოსახატად, რადგან ბრალდების ქაღალდი გამზადებულია. ფეხბურთელი დუმს.

*1 დეკემბერი:* ასოციაცია აცხადებს, რომ საქმის განხილვა 18-19 დეკემბერს გაიმართება ბოლტონის სტადიონზე.

*4 დეკემბერი:* ზეპ ბლატერი 15 წუთიან მრისხანე ტირადას უძღვნის ასოციაციას და „იუნაიტედს", კერძოდ, დევიდ გილს, აცხადებს, რომ ინგლისის ფეხბურთის მამები მოყვარულებივით იქცევიან და რომ ფიფა გადასინჯავს სასჯელს.

*18 დეკემბერი:* მოსმენა იწყება.

*19 დეკემბერი:* ფერდინანდის ვექილები დაცვით სიტყვებს წარმოთქვამენ, თუმცა ასოციაცია რვა თვით უკრძალავს თამაშს ფეხბურთელს და 50 ათასი გირვანქითაც აჯარიმებს

***ამ ოთხი თვის განმავლობაში რიო ფერდინანდი მუდმივად თამაშობს „მანჩესტერის" შემადგენლობაში***

# FRANCE Football











# გაუმარჯოს პაველსა...

*პირდაპირ ვთქვათ — სხვაგვარად არც გვეგონა. ევროპის 52 ქვეყნის სპორტულმა გამოცემამ, მათ შორის „სარბიელმაც", „ფრანს ფუტბოლის" ტრადიციულ გამოკითხვაში კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად ტურინის „იუვენტუსისა" და ჩეხეთის ნაკრების ფუტკარივით მშრომელი ნახევარმცველი პაველ ნედვედი დაასახელა. ბრწყინვალედ ჩატარებული სეზონის შემდეგ „ოქროს ბურთი" ნედვედზე ალალია.*

*გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (27) პირველი ადგილი ჩეხს არგუნა. 190 ქულით მოოქროვილმა ნედვედმა მეორეობას დააჯერა ტიერი ანრი, რომელმაც ოდენ ხუთი ქულით აჯობა „მილანის" კაპიტანს პაოლო მალდინის. მეოთხე ადგილიც მილანელისაა — უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, ზინედინ ზიდანს სამი ქულით მოუგო და მეხუთე ადგილი აკმარა.*

| | I | II | III | IV | V | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნედვედი (იუვენტუსი, ჩეხეთი) | 27 | 9 | 2 | 6 | 1 | 190 |
| ანრი (არსენალი, საფრანგეთი) | 8 | 9 | 14 | 4 | 2 | 128 |
| მალდინი (მილანი, იტალია) | 7 | 13 | 7 | 4 | 7 | 123 |
| შევჩენკო (მილანი, უკრაინა) | 3 | 8 | 3 | 4 | 3 | 67 |
| ზიდანი (რეალი, საფრანგეთი) | 4 | 1 | 5 | 9 | 7 | 64 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი, ჰოლანდია) | 1 | 4 | 5 | 11 | 3 | 61 |
| რაული (რეალი, ესპანეთი) | 1 | 2 | 4 | 1 | 5 | 32 |
| რობერტო კარლოსი (რეალი, ბრაზილია) | 1 | 3 | 3 | | 1 | 27 |
| ბუფონი (იუვენტუსი, იტალია) | | 1 | 2 | 3 | 3 | 19 |
| ბექემი (რეალი, ინგლისი) | | 2 | 1 | 2 | 2 | 17 |
| რონალდო (რეალი, ბრაზილია) | | | 1 | 2 | 4 | 11 |
| ლარსონი (სელტიკი, შვედეთი) | | | 2 | | | 6 |
| დეკო (პორტუ, პორტუგალია) | | | | | 4 | 4 |
| დელ პიერო (იუვენტუსი, იტალია) | | | 1 | | 1 | 4 |
| დიდა (მილანი, ბრაზილია) | | | 1 | | 1 | 4 |
| მაკაი (ბაიერნი, ჰოლანდია) | | | 1 | | 1 | 4 |
| ნესტა (მილანი, იტალია) | | | | 2 | | 4 |
| ნიჰათი (სოსიედადი, თურქეთი) | | | | 1 | 1 | 3 |
| ტოტი (რომა, იტალია) | | | | 1 | 1 | 3 |
| ბალაკი (ბაიერნი, გერმანია) | | | | 1 | | 2 |
| იბრაჰიმოვიჩი (აიაქსი, შვედეთი) | | | | | 1 | 1 |
| ინძაგი (მილანი, იტალია) | | | | | 1 | 1 |
| კოლერი (დორტმუნდი, ჩეხეთი) | | | | | 1 | 1 |
| რონალდინიო (ბარსელონა, ბრაზილია) | | | | | 1 | 1 |
| ტოლდო (ინტერი, იტალია) | | | | | 1 | 1 |

*პირველი ადგილი: 5 ქულა; მეორე — 4; მესამე — 3; მეოთხე — 2; მეხუთე — 1*

# დაისლერი შკმე დარჩის.

## ჰიცფელდი ლამაზ ბაიერნს გვპირდება

*ბუნდესლიგაში ახლა არდადეგებია და მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი ტიროლის მთებში ისვენებს. „აქ საუცხოო ხედებია — ამბობს იგი — როცა სავარძელში ვზივარ და ლანდშაფტით ვტკბები, ნოყიერი იდეები მომდის". ჰერ ჰიცფელდს გერმანელი ჟურნალისტები სენტ ანტონში, ზღვის დონიდან 1500 მეტრზე გაესაუბრნენ*



**— უპირველეს ყოვლისა ფეხბურთის ფანებს სებასტიან დაისლერის ამბავი აინტერესებთ. როდის შეძლებს იგი თავის საქმე მოუბრუნდეს?**

— მე ის ამ რამდენიმე ხნის წინ ვნახე და გახარებული დავრჩი. დღიდან დღემდე მისი მდგომარეობა უმჯობესდება. მან უკვე სირბილიც დაიწყო. დარწმუნებული ვარ, მეორე წრის დასაწყისისთვის სებასტიანი უკვე მწყობრში იქნება.

**— შემოდგომაზე „ბაიერნი" ძალზედ უსახურ ფეხბურთს თამაშობდა. რა იყო ამის მიზეზი?**

— ალბათ ის, რომ დიდი წნეხის ქვეშ ვიყავით. ორ ფრონტზე უნდა გვეომა. არც ლიდერებს უნდა ჩამოვრჩენოდით და ჩემპიონთა ლიგაშიც შარშანდელი კატასტროფა უნდა აგვერიდებინა. ვფიქრობ, საპირველწრეო ამოცანებს თავი რიგიანად გავართვით და ახლა ყველაფერი დალაგდება. თებერვლიდან უფრო ლამაზადაც ავთამაშდებით.

**— და შედეგიანობასაც შეინარჩუნებთ...**

— მეორე წრეს ფრანკფურტში ვიწყებთ. მერე „ჰანოვერს" ვმასპინძლობთ და ბოხუმში ჩავდივართ. ამ სამ მატჩში ცხრა ქულა უნდა მოვაგროვოთ, რათა ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლის გაგრძელება შევძლოთ. მერე კი უკვე „რეალის" დრო მოდის.

**— „რეალი" თქვენთვის დოპინგივითაა?**

— ცხადია. „რეალთან" შეხვედრა ჩვენთვის ყოველთვის გამორჩეული მოტივაციაა. მათ უკეთესი გუნდი ჰყავთ — მსოფლიო დონის ვარსკვლავებით დაკომპლექტებული. მაგრამ ორი მატჩის ჯამში უკეთესი შეიძლება მაინც ჩვენ გამოვდგეთ. ყოველ შემთხვევაში, „რეალი" ჩვენ პატივს გვცემს და რიდით გვეპყრობა. ეგეც არ იყოს, ამ წყვილში მათ ფავორიტებად მიიჩნევენ და მთელი ესპანეთი მისგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვს. ამან კი მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს.

# პაპა ჰანსმა ბერლინი აიღო

**ბუნდესლიგის** პირველი წრის ცხრილს დიტერ ჰოინესმა გაციება არ აცალა და „ჰერტას" ახალი მწვრთნელი დაუნიშნა. დეკემბერში გათავისუფლებული ჰუუბ სტევენსის წახდენილი საქმე ანდრეას ტომმაც ვერ გამოასწორა და ბერლინელები 61 წლის ჰანს მაიერს ჩააბარეს.

მაიერი იენის „კარლ ცეისს" თავკაცობდა მაშინ, როცა თბილისის „დინამომ" დიუსელდორფში თასების მფლობელთა თასი ააფცქვნა.

მხცოვანი გერმანელი 1999 წელს მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" მუშაობდა. მან დააბრუნა გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან პირველში, მაგრამ შემდეგ შედეგები დაუწუნეს და გასულ გაზაფხულზე, მარტში, პოსტიდან დაითხოვეს.

ჰანს მაიერი ბერლინის „ჰერტას" სეზონის ბოლომდე უპატრონებს. დიტერ ჰოინესმა ჯერჯერობით ასე გადაწყვიტა, თუმც წარუმატებლობის შემთხვევაში ალბათ მასაც სტევენს-ტომის გზას გაუყენებს.

**გაგა ხუციშვილი**



ჰანს მაიერს „ჰერტა" ანდეს

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტური
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 001 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 002 | არსენალი-ვულვერჰემპტონი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 16.00 | 003 | ფულემი-საუთჰემპტონი | 2.1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1.62 |
| 16.30 | 004 | ჩარლტონი-ჩელსი | 4.6 | 3,4 | 1,7 | | | |
| 19.00 | 005 | ბირმინგემი-სიტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 006 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 2.15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 007 | ლიდსი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 008 | ლესტერი-ნიუკასლი | 3.3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 009 | ლივერპული-ბოლტონი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 010 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 011 | მანჩესტერი-ევერტონი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| 19.00 | 012 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXV ტური
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 027 | კარდიფი-ვოლსოლი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 028 | ქოვენტრი-შეფილდი | 2.5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 029 | კრიუ-ბერნლი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 030 | კრისტალ პალასი-მილუოლი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 031 | ჯილინგემი-უოტფორდი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 032 | რედინგი-ვიმბლდონი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 19.00 | 033 | სტოკი-პრესტონი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 034 | სანდერლენდი-ბრედფორდი | 1.4 | 3,8 | 7.0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 035 | ვესტ ბრომვიჩი-დერბი | 1,5 | 3,6 | 6.5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 036 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 2,0 | 3,2 | 3.5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 037 | უიგანი-როთერჰემი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 21.35 | 038 | ნორვიჩი-ნოტინგემი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXIII ტური
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 056 | ბრენტფორდი-ბრაიტონი | 2,6 | 3,2 | 2.4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 17.00 | 057 | ბრისტოლი-უიკომბი | 1,45 | 3,8 | 6.0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 19.00 | 058 | ბლეკპული-ტრანმერი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 059 | ბორნმუთი-პლიმუთი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 19.00 | 060 | ჩესტერფილდი-პიტერბორო | 2,4 | 3,2 | 2.6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 061 | კოლჩესტერი-ლუტონი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 062 | გრიმსბი-ოლდჰემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1.69 |
| 19.00 | 063 | ჰარტლპული-ბარნსლი | 2,35 | 3,2 | 2.7 | 1,35 | 1,25 | 1.46 |
| 19.00 | 064 | ნოტს ქაუნტი [illegible] | 3,5 | 3.2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 19.00 | 065 | რაშდენი-სუინდონი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 066 | შეფილდი-პორტ ვეილი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 067 | სტოკპორტი-რექსემი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXIII ტური
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 086 | დონკასტერი-სკანთორპი | 1,7 | 3,3 | 4.6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 17.30 | 087 | ტორკი-სუონსი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 088 | ბოსტონი-ლინკოლნი | 2,4 | 3,2 | 2.6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 089 | როვერსი-ნორთჰემპტონი | 1,9 | 3,2 | 3.6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 090 | ბერი-კარლაილი | 1,4 | 3,8 | 6,5 | 1,02 | 1,15 | 2,39 |
| 19.00 | 091 | კემბრიჯი-საუთენდი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 19.00 | 092 | ჩელტენჰემი-მაკლსფილდი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 19.00 | 093 | დარლინგტონი-ჰადერსფილდი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 094 | მენსფილდი-როჩდეილი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 095 | ოქსფორდი-ლეიტონი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 19.00 | 096 | იოვილი-კიდერმინსტერი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 19.00 | 097 | იორკი-ჰალი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |


საახალწლოდ კროკო მუშაობას შეწყვეტს 31 დეკემბერს და განაახლებს 9 იანვარს


### ინგლისი. კონფერენსი. XXIV ტური
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 116 | ბარტონი-ტემუორთი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 16.00 | 117 | დაგ ენდ რედი-ალდერშოტი | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 16.00 | 118 | ფარნბორო-სტივენეჯი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 19.00 | 119 | აკრინგტონი-მორიკემბი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 19.00 | 120 | ჩესტერი-ლეი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 19.00 | 121 | ჰალიფაქსი-სკარბორო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 19.00 | 122 | შრუსბერი-ნორთვიჩი | 1,2 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,04 |
| 19.00 | 123 | ტელფორდი-ფორესტ გრინი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 124 | უოკინგი-ბარნეტი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 23.45 | 125 | ჰერეფორდი-ექსეტერი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 126 | მარგეიტი-გრეივსენდი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,,26 | 1,25 | 1,57 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XVII ტური
23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 129 | დანდი იუნაიტედი-პარტიკი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური
27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 130 | ჰართსი-მაზერუელი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 131 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1,12 | 6,5 | 15,0 | 1 | 1,04 | 4,53 |
| | 132 | სელტიკი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,35 | 4,0 | 4,4 | | | |
| 19.00 | 133 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 134 | ლივინგსტონი-აბერდინი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 135 | პარტიკი-დანფერმლაინი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |

28 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 136 | დანდი-რეინჯერსი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. XIX ტური
27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 138 | აირი-რეითი | 2,35 | 3,3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |
| 19.00 | 139 | ბრეჩინი-კლაიდი | 4,2 | 3,5 | 1,7 | 1,9 | 1,21 | 1,14 |
| 19.00 | 140 | ინვერნესი-სტ.ჯონსტონი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 19.00 | 141 | ქუინი-ფოლკირკი | 2,35 | 3,4 | 2,5 | 1,38 | 1,21 | 1,44 |
| 19.00 | 142 | სტ.მირენი-როსი | 2,35 | 3,3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. XVII ტური
27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 145 | ისტ ფაიფი-არბროთი | 1,8 | 3,5 | 3,4 | 1,18 | 1,17 | 1,72 |
| 19.00 | 146 | ფორფარი-ბერვიკი | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 19.00 | 147 | სტენჰაუსმუირი-ერდრი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. XVII ტური
27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 150 | კოუდენბითი-პიტერჰედი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 19.00 | 151 | გრეტნა-ისტ სტირლინგი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |

### შოტლანდია. თასი. II ეტაპი
27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 153 | სტრანრაერი-ჰამილტონი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |

### ჰოკეი. რუსეთი
23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 1001 | ნოვოკუზნეცკი-ცსკა | 1,6 | 4,8 | 3,4 | 1,2 | 1,08 | 1,99 |
| 16.30 | 1002 | სიბირი-ამური | 1,65 | 4,8 | 3,2 | 1,22 | 1,08 | 1,92 |
| 17.30 | 1003 | ს.იულაევი-ტორპედო | 1,35 | 5,3 | 4,8 | 1,07 | 1,05 | 2,51 |
| 17.30 | 1004 | მაგნიტოგორსკი-ასკ | 1,3 | 5,6 | 5,3 | 1,05 | 1,04 | 2,72 |
| 18.30 | 1005 | ლადა-ლოკომოტივი | 1,9 | 4,6 | 2,5 | 1,34 | 1,07 | 1,61 |
| 19.30 | 1006 | აკ ბარსი-ავანგარდი | 1,6 | 4,8 | 3,4 | 1,2 | 1,08 | 1,99 |
| 19.30 | 1007 | ნეფტეხიმიკი-ხიმიკი | 1,7 | 4,8 | 3,0 | 1,25 | 1,08 | 1,84 |
| 20.00 | 1008 | დინამო-სევერსტალი | 1,4 | 5,3 | 4,4 | 1,1 | 1,06 | 2,4 |

### ჰოკეი. ჩეხეთი
28 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 1029 | სლავია-კარლოვი ვარი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 20.00 | 1030 | ზლინი-ზნოიმო | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,68 |
| 20.00 | 1031 | ვიტკოვიცე-პლზენი | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| 20.00 | 1032 | პარდუბიცე-ვსეტინი | 1,25 | 5,6 | 6,5 | 1,02 | 1,04 | 3 |
| 20.00 | 1033 | ლიტვინოვი-ტრჟინეცი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.00 | 1034 | ბუდეიოვიცე-კლადნო | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.00 | 1035 | ლიბერეცი-სპარტა | 2,45 | 4,2 | 2,05 | 1,54 | 1,11 | 1,37 |

### ჰოკეი. სლოვაკეთი
28 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 1039 | ზვოლენი-ნიტრა | 1,22 | 5,3 | 7,0 | 1 | 1,03 | 3,01 |
| 20.00 | 1040 | ჟილინა-პოპრადი | 1,5 | 4,4 | 4,2 | 1,11 | 1,1 | 2,14 |
| 20.00 | 1041 | მარტინი-ტრენჩინი | 3,5 | 4,4 | 1,6 | 1,94 | 1,09 | 1,17 |
| 20.00 | 1042 | სლოვანი-სკალიცა | 1,4 | 4,4 | 5,0 | 1,06 | 1,09 | 2,34 |
| 20.00 | 1043 | კოშიცე-მიკულაში | 1,3 | 5,3 | 6,0 | 1,04 | 1,06 | 2,81 |

### ჰოკეი. გერმანია
23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 1047 | ინგოლშტადტი-მანჰაიმი | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1,52 |
| 22.30 | 1048 | კიოლნი-აისბარენი | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1,52 |
| 22.30 | 1049 | კასელი-ნიურნბერგი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| 22.30 | 1050 | ფრანკფურტი-დიუსელდორფი | 1,75 | 4,4 | 3,0 | 1,25 | 1,1 | 1,78 |
| 22.30 | 1051 | აუგსბურგი-იზერლონი | 1,5 | 4,8 | 4,0 | 1,14 | 1,09 | 2,18 |
| 23.00 | 1052 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 2,35 | 4,2 | 2,15 | 1,5 | 1,12 | 1,42 |
| 23.00 | 1053 | კრეფელდი-ჰამბურგი | 2,15 | 4,2 | 2,35 | 1,42 | 1,12 | 1,5 |

### ჰოკეი. შვეიცარია
23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 1073 | ბაზელი-ლანგნაუ | 1,85 | 4,6 | 2,6 | 1,31 | 1,08 | 1,66 |
| 22.30 | 1074 | ბერნი-სერვეტი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1.06 | 1,06 | 2,5 |
| 22.30 | 1075 | ლოზანა-დავოსი | 2,7 | 4,6 | 1,8 | 1,7 | 1,08 | 1,29 |
| 22.30 | 1076 | ცუგი-ფრიბურგი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 23.00 | 1077 | ამბრი-ლუგანო | 2,7 | 4,6 | 1,8 | 1,7 | 1,08 | 1,29 |

### ჰოკეი. შვედეთი
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 1081 | ლულეო-ჰვ 71 | 2,15 | 4,4 | 2,3 | 1,44 | 1,11 | 1,51 |
| 20.00 | 1082 | ლექსანდი-ტიმრე | 2,15 | 4,4 | 2,3 | 1,44 | 1,11 | 1,51 |
| 20.00 | 1083 | იურგორდენი-ფერიესტადი | 2,3 | 4,4 | 2,15 | 1,51 | 1,11 | 1,44 |
| 20.00 | 1084 | მოდო-მალმიო | 1,55 | 4,8 | 3,6 | 1,17 | 1,08 | 2,05 |
| 20.00 | 1085 | სოდერტელიე-ლინჩოპინგი | 2,0 | 4,4 | 2,45 | 1,37 | 1,1 | 1,57 |

### ჰოკეი. NHL
23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1101 | ბოსტონი-ტამპა ბეი | 2,0 | 3,6 | 2.8 | 1,28 | 1,16 | 1,57 |
| 04.00 | 1102 | ბუფალო-ოტავა | 2,6 | 3,4 | 2,2 | 1,47 | 1,19 | 1,33 |
| 04.00 | 1103 | აილენდერსი-ფილადელფია | 2, 45 | 3,5 | 2,25 | 1,44 | 1,17 | 1,36 |
| 04.00 | 1104 | ვაშინგტონი-მონრეალი | 2,2 | 3,6 | 2,45 | 1,36 | 1,15 | 1,45 |
| 04.00 | 1105 | კოლამბუსი-ფინიქსი | 2,35 | 3,6 | 2,3 | 1,42 | 1,16 | 1,4 |
| 04.30 | 1106 | ტორონტო-ფლორიდა | 1,55 | 4,0 | 4,4 | 1,11 | 1,14 | 2,09 |
| 05.00 | 1107 | მინესოტა-ნეშვილი | 2,0 | 3,6 | 2,8 | 1,28 | 1,16 | 1,57 |
| 05.30 | 1108 | ჩიკაგო-სტ.ლუისი | 2,8 | 3,8 | 1,95 | 1,61 | 1,14 | 1,28 |
| 06.00 | 1109 | კალგარი-ედმონტონი | 1,85 | 3,8 | 3,0 | 1,,24 | 1,14 | 1,67 |

### კალათბურთი. NBA
23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1225 | კლივლენდი-ნიუ ორლეანი | 1,9 | 10,0 | 1,7 | 1,59 | 1 | 1,45 |
| 04.30 | 1226 | ატლანტა-ბოსტონი | 2,1 | 10,0 | 1,55 | 1,73 | 1 | 1,34 |
| 04.30 | 1227 | მაიამი-ვაშინგტონი | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |
| 04.30 | 1228 | ნიუ ჯერსი-ჩიკაგო | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |
| 04.30 | 1229 | ნიუ იორკი-მინესოტა | 2.1 | 10,0 | 1,55 | 1,73 | 1 | 1,34 |
| 05.00 | 1230 | მილუოკი-დეტროიტი | 1,8 | 10.0 | 1,8 | 1.52 | 1 | 1,52 |
| 05.30 | 1231 | ჰიუსტონი-ინდიანა | 1.7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| 05.30 | 1232 | სან ანტონიო-კლიპერსი | 1,1 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 07.00 | 1233 | პორტლენდი-დალასი | 1,8 | 10,0 | 1,8 | 1,52 | 1 | 1,52 |
| 07.00 | 1234 | საკრამენტო-მემფისი | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |
| 07.00 | 1235 | სიეტლი-ფინიქსი | 1,35 | 10,0 | 2,6 | 1,18 | 1 | 2,06 |
| 07.30 | 1236 | გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 2,4 | 10,0 | 1,4 | 1,93 | 1 | 1,22 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# იქნებ ნაცნობობამ გაჭრას? ნიკა ცქიტიშვილმა ტაქტიკა შეცვალა, აღარ თამაშობს



*ბედმა ირონიული „საჩუქარი" გაუკეთა თავის რჩეულ ნიკა ცქიტიშვილს – კაცი ხუთეულში თამაშს ელოდა და საბოლოოდ სათადარიგოთა სკამს გამორჩა. ცქიტიშვილმა ამ ზაფხულს „დენვერ ნაგიტსის" ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი დაიმსახურა, მაგრამ რაში არგია – თუ ათამაშებენ, ისიც თითებზე დასათვლელი წუთებით. „ცქიტო" უკვე სერიოზულად ფიქრობს გუნდის გამოცვლაზე და „ფინიქსის" სახით საკმაოდ რეალურ ვარიანტიც აქვს...*

— რა გითხრა, მე თვითონ არ ვიცი, რა ხდება. გაურკვევლობაში ვარ, არც მათამაშებენ და არც უთამაშებლობის მიზეზს მეუბნებიან. ერთადერთი, რაც ბზდელიკისგან მესმის, ზოგადი საუბარი და ნუგეშია, ჯერ ახალგაზრდა ხარ, სად გეჩქარება, კარგი მონაცემები და დიდი მომავალი გაქვსო.

**— სეზონის დაწყებამდე თითი რომ დაიშავე, ამან ხომ არ იმოქმედა შენს ფორმაზე?**

— არა, ეგ არაფერ შუაშია. ფორმაში ყოფნის პრობლემა არც სეზონამდე მქონდა და არც ახლა ვუჩივი რამეს. ჩემი აზრით თამაშის მხრივ დიდი ნაკლი არ მაქვს, სხვა რამეშია საქმე. სეზონის დაწყებამდე ისეთ ფორმაში ვიყავი, რომ ხუთეულში თამაშზე რეალურად ვფიქრობდი. როცა „დენვერის" ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი მომცეს, ვიფიქრე, „სკიტა" ეგაა და გეშველა, სათამაშო დროის პრობლემა მოხსნილია-მეთქი, მაგრამ...

**— მხოლოდ პრიზის გამო ელოდი, რომ გათამაშებდნენ?**

— პრიზი პრიზად და მართლა კარგ ფორმაში ვიყავი. თითი რომ ვიტკინე, რამდენიმე მატჩი არ მითამაშია და როცა მომიშუშდა, „სან ანტონიოსთან" ეგრევე თავი გამოვიჩინე. თურმე სად ხარ, ბზდელიკმა რამდენიმე შეხვედრა ისევ სკამზე ტაყურყუტა, ბოლომდე მოგირჩეს თითიო.

**— ეტყობა, მართლა საფრთხეში იყო შენი ჯანმრთელობა...**

— კარგი, მაშინ საფრთხეში იყო, ახლა ხომ მაინც აღარ მაწუხებს არაფერი?! „სან ანტონიოს" შემდეგ ერთიორჯერ მათამაშა, თუმცა საბოლოოდ მაინც არაფერი შეცვლილა.

**— შენ, ცხადია, დადებითად აფასებ საკუთარ თავს, სხვები რა აზრის არიან?**

— ბზდელიკი რომ უსამართლოდ მექცევა, ამას მხოლოდ მე არ ვამჩნევ. გუნდში ყველას ვუყვარვარ და გული შეტკივათ, ასეთ დღეში რომ ვარ. „დენვერის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა პირდაპირ უთხრა ბზდელიკს, რა გინდა „სკიტასგან", რატომ აითვალწუნეო. კლუბის უფროსებმაც გადაკვრით უთხრეს, ეგ ბიჭი დრაფტზე მე-5 ნომრად იმიტომ კი არ ავიყვანეთ, სკამზე იჯდესო. მანაც მეორე დღესვე მათამაშა, მაგრამ მერე ისევ გადავავიწყდი.

**— მთავარი მიზეზი ალბათ ისაა, რომ ბზდელიკის შერჩეული ხუთეული ამართლებს, მაჩანჩალა „დენვერი" ლიდერებში გაერია. ნათქვამია, მოგებულ შემადგენლობას არ ცვლიანო...**

— ჰო, ეგ ეგრეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ დაივიწყოს სათადარიგოები. ჩემს დღეში არიან როდნი ვაიტი, ფრანცისკო ელსონი და რაიან ბოუენი. მართლა სუსტები რომ ვიყოთ, სიტყვას არ დავძრავდი, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია კარგად თამაში და შანსი უნდა მოგვცეს.

**— როდნი ვაიტის პოზიციაზე დენვერელთა მთავარი იმედი კარმელო ენტონი თამაშობს...**

— ჰოდა, ამიტომაც ზის ვაიტი, არადა, ის ძალიან კარგი მსროლელია. ჩემს პოზიციაზე კი უდიდესი კონკურენციაა — ნენე, კემბი, ელსონი, ანდერსენი... სეზონის დაწყებამდე ვფიქრობდი, კემბის როგორ ვერ უნდა ვაჯობო-მეთქი, მაგრამ არ მათამაშებენ და რა ვქნა?! არადა, ძირითადი ხუთეული ძალიან გადაიღალა, კემბის წელი სტკივა, ძლივს დადის, ნენეს კუნთები დაეჭიმა. თუმც ბზდელიკს უკან დასახევი გზა არა აქვს, ძალიან დამფრთხალია, წაგებების ეშინია და ძირითადის ხალხს ბოლომდე ხარჯავს. თავადაც ამბობს, არ წააგოთ, თორემ გამაგდებენო.

**— გასულ პარასკევს „ლეიკერსი" — „დენვერის" მატჩს ვუყურე და მთელი მეოთხედი მოედანზე იყავი, თუმც ძალიან პასიურობდი, ეგეთი თამაშით მწვრთნელს თავს ვერ მოაწონებ...**

— უკვე ყველაფერი გამოვცადე და ასე გადავწყვიტე: დაცვაზე ვაკეთებ აქცენტს, ბლოკს ვაყენებ და ვცდილობ, პასები გავცე. აბა, როცა ვესროდი და ფარქვეშ ვიჭრებოდი, მომდევნო მატჩებს სკამზე ვატარებდი. ეტყობა, ბზდელიკს არ მოსწონს, ბურთს რომ ვესვრი და ვაქტიურობ. ამიტომაც ახლა ასეთი ტაქტიკა ავირჩიე, ეგებ გაჭრას.

**— თუ ამანაც არ გაჭრა, კლუბს ხომ არ გამოიცვლი, შენი „პროტეჟე" მაიკ დანტონი ხომ „ფინიქსში" გაუფროსდა...**

— სხვათა შორის, ინტერნეტში წავიკითხე, რომელიღაც თურქულ და თქვენი გაზეთის ვებ-გვერდზე, ცქიტიშვილი „ფინიქსში" გადადის დანტონისთანო...

**— ჩვენ გაზეთში მაგ ტრანსფერის მხოლოდ ვარაუდს წაიკითხავდი. ცქიტიშვილს დანტონი კარგად იცნობს და ახლა „ფინიქსის" მთავარ მწვრთნელად რომ დაინიშნა, ეგებ თავისთან წაიყვანოსო.**

— სწორედ რომ ეგრეა, დანტონზე უკეთ მე აქ არავინ მიცნობს და მას მართლაც სურს ჩემი „ფინიქსში" გადაყვანა. ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ საზაფხულო ლიგის დროს. დანტონიმ მითხრა, ძალიან მინდა, ჩემთან იყო, ეგებ მოვახერხო შენი „ფინიქსში" წაყვანაო.

**— მაშ, რაღა გიშლის ხელს, დანტონის ერთი სიტყვა და „ფინიქსისგან" პრობლემა არ იქნება...**

— მხოლოდ „ფინიქსის" ნებაზე ხომ არაა, „დენვერიც" უნდა დათანხმდეს. ჯერ არ მინდა კლუბის გამოცვლაზე სერიოზული ლაპარაკის წამოწყება, დავიცდი, თუ რამე არ შეიცვალა, „დენვერის" ხელმძღვანელობასთან ჩემი მენეჯერი დაიჭერს საქმეს.

**— ისე, მხოლოდ შენ არ უჩივი უთამაშებლობას, ეს პრობლემა აქვთ ამერიკაში მოთამაშე სხვა ქართველებსაც...**

— ვინ გითხრა? ნბა-ში ასეა, მაგრამ ამერიკაში მხოლოდ მე, ზაზა და ვოვა არ ვართ, სტუდენტურ ლიგაში ბოისას უმცროსი ძმა, ტოლიკა თამაშობს. ახლა ჩემთანაა, მიდლენდის უნივერსიტეტის გუნდიდან წამოვიდა და კალიფორნიულში გადადის. „პატარა ბოისა" NCAA-ზე ერთი საფეხურით დაბლა მდგომ სტუდენტურ ლიგაში — NICI-ში მიდის, ვენგარდის უნივერსიტეტის გუნდში ითამაშებს.

**— სოხუმის უნივერსიტეტის გუნდზე რას გვეტყვი? სსუ-სთვის მაისურები გამოგიგზავნია...**

— არც ღირს ამაზე ლაპარაკი. ჩემს ყოფილ გუნდს შეძლებისდაგვარად ყოველთვის დავეხმარები. ვაჟა კვარაცხელია აქ რომ იყო, ხუმრობით ვკითხე, რას შვრებით, სსუ ჩემპიონი ხომ არ გამხდარა-მეთქი, რა ჩემპიონი, შენ რომ წახვედი, ისევ ის მაისურები გვაცვიაო, მიპასუხა. წავიყვანე „ნაიკის" მაღაზიაში და რომელ ტრუს-მაისურებსაც ხელი დაადო, იმის შეკვეთა მივეცით. მაისურები ახლა ჩამოსულა თბილისში, ხოლო აქედან რომ წამოვიდა მთელი გუნდისთვის სპორტული ფეხსაცმელი გამოვატანე. ისიც ვუთხარი, ცხადია, ხუმრობით, თუ წესიერად მოიქცევი, სხვა რამეებსაც გამოგიგზავნით-მეთქი.

**— არ იქნება, საქართველოს ნაკრების მეტოქეებზე არ გკითხო...**

— მაკედონია, ფინეთი და... რომელი გუნდი შეგვხვდა კიდევ?

**— ლუქსემბურგი...**

— ჰო, პრინციპში რა მნიშვნელობა აქვს, თუ ყველა შევიკრიბეთ, იოლად გავალთ შემდეგ ეტაპზე.

**— შენ ხომ ჩამოხვალ?**

— თუ ნაკრების უფროსობა ჩემს კლუბთან იურიდიულ მხარეს მოაგვარებს, რა თქმა უნდა, ჩამოვალ.

**ირაკლი ბერტაია**

# საქართველოს საუკეთესო ნაკრები ჩერქეზიშვილს ჩააბარეს



ნიკო ჩერქეზიშვილი ევროპაში გაუშვეს

**გუშინ** საქართველოს კადეტთა ნაკრების მწვრთნელთა შტაბი შეიცვალა — გელა წულაძის ნაცვლად 1988-წლიანებს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი გაწვრთნის.

წულაძე ნაკრებიდან არ წასულა, საკალათბურთო აკადემიის მწვრთნელ გია კაზანჯიანთან ერთად იგი ჩერქეზიშვილის თანაშემწე იქნება.

კადეტებს ყველაზე წარმატებული გუნდი ჰყვთ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს შორის. ჩვენს კადეტებს არაერთხელ უთამაშიათ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და ახლაც ფიბა-მ ევროპის ყველა ქვეყნის ასაკობრივი ნაკრებები სიძლიერის მიხედვით რომ დაახარისხა, აწ უკვე ჩერქეზიშვილის გუნდი ძლიერთა შორის მოხვდა. ასეთი პატივი არც ერთი ასაკის ქართულ ნაკრებს არ ხვდა წილად.

ამ ზაფხულს კადეტთა ნაკრები საბერძნეთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, მანამდე კი, 2 თებერვალს ფიბა-ს ალმასკომი საამჩემპიონატო კენჭისყრას მოაწყობს.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 19 დეკემბერი —

**ორლანდო 119:93 გოლდენ სტეიტი**

ორლანდო: სტრიკლენდი (11 ქულა, 12 პასი), გირიჩეკი (17), მაკგრეიდი (29 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), ჰოვარდი (18), დეკლერკი (4); გუდენი (25 ქულა, 13 მოხსნა), ბოგანსი (11), ფაჩულია (13 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), უილიამსი, პანტერი

გოლდენ სტეიტი: ვან ექსელი (8), რიჩარდსონი (13), დანლივი (4), რობინსონი (19), დამპიე (11 ქულა, 11 მოხსნა); კლაქსტონი (10), მერფი (10), კარდინალი (10), ჩინი (8), პიეტრუსი

**ლეიკერსი 101:99 დენვერი**

ლეიკერსი: პეიტონი (10 ქულა, 11 პასი), რაში (4), ჯორჯი (12), მელოუნი (11), ონილი (26 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 4 დაფარება); ბრაიანტი (13), მედვედენკო (11), ფიშერი (6), გრანტი (4), რასელი (2), პანგო (2)

დენვერი: მილერი (11), ლენარდი (14), ენტონი (24), ნენე (13), კემბი (6); ბოიკინსი (10), რაიტი (10), ბერი (6), ანდერსენი (5), ცქიტიშვილი (12 წუთი, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა)

**ფილადელფია 81:88 კლივლენდი**

**ტორონტო 105:99 ნიუ იორკი**

ძირითადი დრო 93:93

**ნიუ ჯერსი 97:87 ვაშინგტონი**

**ინდიანა 80:75 დეტროიტი**

**ჰიუსტონი 99:85 კლიპერსი**

**სიეტლი 73:87 სან ანტონიო**

**ბოსტონი 96:99 იუტა**

**ატლანტა 86:98 საკრამენტო**

**მემფისი 97:83 მაიამი**

— 20 დეკემბერი —

**დენვერი 106:115 სიეტლი**

დენვერი: მილერი (21), ლენარდი (31), ენტონი (12), ნენე (3), კემბი (5); ბოიკინსი (13), რაიტი (13), ბოუენი (6), ბერი (2), ანდერსენი, ელსონი

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

სიეტლი: მიურეი (21 ქულა, 10 პასი), რიდნორი (17), ლუისი (17), რადმანოვიჩი (6), ჯეიმსი; ფრამი (31), ბუთი (8), სისი (8), ევანსი (2), პოტაპენკო (2)

**პორტლენდი 91:101 სან ანტონიო**

პორტლენდი: სტუდემაიერი (8), მაკინისი (20), ვოლესი (18), რენდოლფი (29), დევისი (4); პატერსონი (6), პერსონი (3), სტეფანია (3 წუთი, 2 ქულა, 1 დაფარება), დიკენსი (1), ბუმტიე-ბუმტიე, კეროლი, ვუდსი

სან ანტონიო: პარკერი (15 ქულა, 10 პასი), ჯინობილი (7), ბოუენი (13), დანკანი (26 ქულა, 10 მოხსნა), ნესტეროვიჩი (13); ჰორი (12), თურქოღლუ (6), მერსერი (6), ჰარტი (2), ბრაუნი (2), როუზი, ვილისი

**ნიუ იორკი 103:92 ატლანტა**

**ჩიკაგო 87:95 კლივლენდი**

**დალასი 105:115 კლიპერსი**

**ნიუ ორლეანი 94:89 მემფისი**

**მილუოკი 92:87 ნიუ ჯერსი**

**მინესოტა 102:80 ინდიანა**

**ფინიქსი 102:87 ჰიუსტონი**

— 21 დეკემბერი —

**საკრამენტო 117:98 პორტლენდი**

საკრამენტო: ბიბი (18), კრისტი (4), სტოიაკოვიჩი (29), მილერი (18 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), დივაცი (26); ჯექსონი (11), პილერი (7), სმიტი (2), მასენბურგი (2), სონგაილა, ვოლესი

პორტლენდი: სტუდემაიერი (11), მაკინისი (16), ვოლესი (27), რენდოლფი (26 ქულა, 13 მოხსნა), დევისი (8); პატერსონი (10), სტეფანია (4 წუთი, 0 ქულა), პერსონი, კეროლი

**ტორონტო 93:104 ორლანდო**

ტორონტო: უილიამსი (18), როუზი (14), კარტერი (17), მარშალი (19 ქულა, 19 მოხსნა), ბოში (16 ქულა, 10 მოხსნა); კარი (4), ბაქსტერი (3), პალასიო (2), პეტერსონი

ორლანდო: სტრიკლენდი (14), გირიჩეკი (8), მაკგრეიდი (29), ჰოვარდი (20 ქულა, 12 მოხსნა), დეკლერკი (3); გუდენი (14 ქულა, 14 მოხსნა), ლუ (10), ბოგანსი (4), ფაჩულია (5 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა), უილიამსი

**მაიამი 104:93 გოლდენ სტეიტი**

**ბოსტონი 87:84 ფილადელფია**

**დეტროიტი 96:75 იუტა**

**ლეიკერსი 107:101 ფინიქსი**

„მე წავედი" — ასე მოულოდნელად დაიწყო ჩვენთან გუშინდელი საუბარი საქართველოს ნაკრების ან უკვე ყოფილმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა. მოულოდნელი იმიტომ, რომ ორიოდ კვირის წინ ფრანგმა სპეციალისტმა თავად გამოთქვა სურვილი, კვლავ გაეწვრთნა ბორჯღალოსნები. მას შემდეგ სორელი ფიქრებს ჩაუღრმავდა და საქართველოს რაგბის კავშირის მამების ოფიციალურ ვერდიქტს არ დაელოდა.

მაშ ასე, სორელის ექვსწლიანი ეპოქა დასრულდა. სორელი წავიდა, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, სინანული და წყენა არ გაჰყოლია. ის ბედნიერია ქართველებთან მუშაობით და შეგირდების მსოფლიოს თასზე გაყვანით. სორელს რაგბის კავშირისთვის ოფიციალურად არ დაუდასტურებია თავისი გადაწყვეტილება, თუმცა, ასე ვთქვათ, საქმის კურსში ჩააყენა

# წყენა და ბოღმა არ მიმყვება

## კლოდ სორელი საქართველოს თბილად დაემშვიდობა

— მსოფლიოს თასის შემდეგ ბევრი დრო მქონდა, ყველაფერი კარგად გამეანალიზებინა. საბოლოოდ ნაკრებიდან წასვლის გადაწყვეტილება მივიღე. ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული.

**— მაგრამ ცოტა ხნის წინ თქვენ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა ვეგიძეს შეხვდით და ნაკრებთან კიდევ მუშაობის სურვილი გამოთქვით.**

— ეს გადაწყვეტილება, როგორც გითხარით, ბევრი ფიქრის შემდეგ მივიღე და ამის შესახებ კავშირის ხელმძღვანელობასაც ვაცნობე. ნაკრების სათავეში 6 წელი ვიყავი და მიმაჩნია, რომ ამ დროში ნაკრებმა დიდი პროგრესი განიცადა. მიხარია, რომ ქართულ რაგბის რაღაცით მაინც დავეხმარე. ამიტომაც გულში სინანულის გრძნობა არ მაქვს. ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს და ვიმედოვნებ, ჩემი შემცვლელი მას სრულად გამოიყენებს.

**— თქვენთვის არის ცნობილი, ვინ დაიკავებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს?**

— არ ვიცი. კავშირის ხელმძღვანელობას ძალიან კარგი სამომავლო გეგმები აქვს. პირველ რიგში ეს არის შვიდკაცა და თხუთმეტკაცა ნაკრებების მომავალ მსოფლიოს თასზე გაყვანა. ამისათვის ბევრი მუშაობაა საჭირო. რაც მთავარია, კავშირის ხელმძღვანელობამ იცის, ეს გეგმა როგორ განახორციელოს. ასე რომ, მინდა, ჩემს შემცვლელს გზა დავულოცო და წარმატებები ვუსურვო.

**— უმუშევრად დარჩენილი რას აპირებთ?**

— ჯერჯერობით არავინ არ შემომხმიანებია.

**— როგორ შეაფასებთ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების გამოსვლას?**

— ავსტრალიაში გამართულმა მსოფლიოს თასმა სრულად წარმოაჩინა საქართველოს ნაკრების სუსტი წერტილები. ასეთი დონის ტურნირზე თამაში ადვილი ნამდვილად არ არის. ის, რომ ჩვენ ყველა მატჩი წავაგეთ, იმის მაჩვენებელია, რომ ნაკრები ასეთი დონის ტურნირისთვის მზად არ იყო.

**— ავსტრალიაში შეიძლებოდა თუ არა უკეთესი შედეგის ჩვენება?**

— იმისათვის, რომ უკეთესი შედეგი აჩვენო, ბევრი მუშაობაა საჭირო.

**— ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, სამოა... ესენი მაღალი დონის ნაკრებებია და მათ დამარცხებაზე ჯერჯერობით საუბარი ადრეა, მაგრამ ურუგვაისთან მოგება ხომ შეიძლებოდა.**

**— რა ინფორმაცია ჰქონდათ ურუგვაის ნაკრებზე ქართული რაგბის გულშემატკივრებს,** ვერ გეტყვით. მე კი ვიცოდი, რომ ურუგვაის საკმაოდ კარგი ნაკრები ჰყავს, რომლის მოთამაშეებიც ბევრით არაფრით ჩამოუვარდებიან ჩვენსას. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ურუგვაის დამარცხება, თუმცა საამისოდ კარგად ვერ მოვემზადეთ. ბიჭებს სამხრეთ აფრიკასთან მატჩის შემდეგ დასასვენებლად მხოლოდ სამი დღე ჰქონდათ, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა ძალები სრულად აღედგინათ. შეცდომებიც ბევრი დავუშვით, თუმცა მათი გამოსწორება შესაძლებელია.

არ ვნანობ რომ საქართველოს ნაკრებში ვიმუშავე. წყენა და ბოღმა არ მიმყვება. ვთვლი, რომ ამ ექვსი წლის განმავლობაში ბევრის გაკეთება შევძელი. პირობას გაძლევთ, კლოდ სორელი ქართული რაგბის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარი იქნება.

**არჩილ ჭუმბურიძე**



გადიი კეთილაძის ფოტო

**P.S.** ოფიციალურად თუ არაოფიციალურად საქართველოს ნაკრები ახლა უმწვრთნელოდაა. ცხადია, რაგბის კავშირს სორელის შემცვლელის მოძებნა უმოკლეს ვადაში მოუწევს, რაკი გაისად თებერვალში ევროპის ერთა თასი იწყება. სორელს ალბათ ქართველი მწვრთნელი შეცვლის, უფრო ზუსტად, მწვრთნელთა ჯგუფი, სავარაუდოდ, სამკაციანი შტაბი. ჯერჯერობით მათი ვინაობა არ ცხადდება, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ისინი სამნი იქნებიან.

## სორელის გადადგომას რაგბის კავშირი ოფიციალურად ამ დღეებში გამოაცხადებს

**საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი**

13 დეკემბერი. თბილისი „ლოკომოტივი"

**ლოკომოტივი 18:15 ყოჩები**

ლოკომოტივი: ასათიანი, ანდღულაძე (კობერიძე), ხაჩირაშვილი, ალანია, გუგავა, კვინიხიძე, სამხარაძე; მაისურაძე, გიგაური, ტრაპაიძე, ჟღენტი, დათუნაშვილი, სვანიძე, მაჭუტაძე (ჯოხია), გასვიანი

2ლ: ასათიანი, გუგავა; 1გ: კვინიხიძე; 2ს: კვინიხიძე

ყოჩები: ვ. სოხაძე, შუბითიძე, კაჭარავა, ავლოხაშვილი, ფაილოძე, თ. სოხაძე, გიორხელიძე; ურუშაძე, მალაღურაძე, ჩიკვაიძე, ყალიჩავა, ხურცილავა (ცხადაძე), ფირიაშვილი (ივანიშვილი), ალიმბარაშვილი, ჭავჭავაძე

5ს: თ. სოხაძე



გადიი კეთილაძის ფოტო

ლოკომოტიველმა გიორგი ტრაპაიძემ „ყოჩ" რატი ურუშაძეს რის ვაივაგლახით მოუგო აუტი

# სამგზის ლოკომოტივი

„ლოკომოტივი" ახალ წელს ქართული ოქროს მედლებით და 30-წლიანი ბზისგან დამზადებული 4 წლის „ბზის თასით" შეხვდება. საქართველოს ჩემპიონატის ფინალში რკინიგზელებმა „ყოჩებს" მოუგეს და ქვეყნის უძლიერესი გუნდის ტიტული მესამედ მოიპოვეს. ამდენჯერ საქართველოს ჩემპიონი მხოლოდ ქუთაისის „აია" გამხდარა, საბჭოეთშიც რამდენჯერმე ნაჩემპიონები გუნდის მემკვიდრე.

მესამედ გაჩემპიონება ალალი იქნებოდა „ყოჩებისთვისაც", მაგრამ „ბზის თასი" ორად ვერ გაიყოფა. არა როგორ არ იყოფა, ხუფი მოხადე და კაი განსხვავებულიცაა, მაგრამ იქიდან მხოლოდ ჩემპიონი თუ დალევს.

მატჩი მშვენიერი გამოდგა, ორივე გუნდმა ალალი და ლალი რაგბი ითამაშა და ორივე მოერიდა ბურთის წამდაუწუმ აუტში გატანასა და უაზრო, მოსაწყენ ჯაჯგურს. სამაგიეროდ, იყო ბრძოლა, რაქში და მოლში მუჯლუგუნები და წიხლაობა. არ იყო ამ პლეი ოფის ყოველი მატჩის თანმდევი ჩხუბი. უბრალოდ, ისეთი თამაში გახურდა, ჩხუბისთვის არავის ეცალა.

ფინალს თავისებური ელფერი შინაური რაგბის კოლორიტებმაც შესძინეს. „ლოკომოტივში" ასეთები კაკო მაჭუტაძე და კახა ალანია არიან, „ყოჩებში" კი ბაკურ ფირიაშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, ირაკლი გიორხელიძე და რატი ურუშაძე. ეგაა, გამოუცდელმა ახალგაზრდა „ყოჩებმა" „ბებრებს" ჟინის და ბრძოლის მეტი ვერაფერი შეაშველეს, ოსტატობა დააკლდათ. ამას ვერ ვიტყვით მათ ათიანზე თემურ სოხაძეზე, რომელმაც აგერ მეორე თამაშში მარტომ მოუტანა ქულები თავისიანებს.

„ყოჩები" მოკლე სკამმაც დაალალატა, სამარქაფოში არავინ აღმოაჩნდა ისეთი, ვინც შერკინების პირველ ხაზში ცალი ფეხით მოთამაშე ჭავჭავაძესა და დაღლილ ვეტერან ფირიაშვილს შეცვლიდა.

მატჩი ლევან მგელაძემ იმსაჯა, ვინაც ახლა „უნივერსიტეტის" მწვრთნელია, შარშან კი ბათუმის „დათვებს" თასი და ჩემპიონობა მოაპოვებინა. მგელაძე კვალიფიციური მსაჯია და ფინალის გაძღოლაც ამად ანდეს.

პირველ ტაიმში სალელოე შეტევა ორივე გუნდს ჰქონდა. ჯერ „ლოკომოტივის" მორკინალმა ზვიად მაისურაძემ გაჭრა მეტოქის დაცვის ხაზი, მაგრამ ლელოსთან ახლოს შებოჭეს. ხოლო ყოჩელთა ათიანმა თემურ სოხაძემ უილკინსონის სტილში ორჯერ გადაკიდა ბურთი ფრთაზე, თუმც გარემარბებმა ვერ მიასწრეს. ლელო მაინც გავიდა და რკინიგზელი გიორგი ასათიანის ანგარიშზე ჩაიწერა. „მეხანიკამ" ალანია-ანდღულაძის ორსვლიანი ლამაზი კომბინაცია დააგვირგვინა. ბობა კვინიხიძემ ვერ გარდასახა. რაკი მანამდე უმცროსმა სოხაძემ ერთი აცილებულის წილ ერთი ჯარიმა გაიტანა, ანგარიში 5:3 გახდა „ლოკომოტივის" სასარგებლოდ. სოხაძემ პირველ ნახევარში კიდევ სამჯერ მოიქნია ფეხი ზუსტად და თავისიანებს ტაიმი 12:5 მოაგებინა.

მეორე ნახევარში „ყოჩები" აირივნენ და ბოლოსკენ დაიღალნენ კიდეც. ნამატჩევს მათმა მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა ესეც აღნიშნა, ჩემები ფიზიკურმა მომზადებამ და გამოუცდელობამ დაალალატაო.

„ლოკომოტივმა" კი პირიქით, ტემპს უმატა და სულ მალე ანგარიშიც გაათანაბრა. შეცვლაზე შესულმა ზვიად კობერიძემ ალანიას მოხდენილი პასი შეირგო და ლექსო გუგავა გააქცია სალელოვედ. ამჯერზე კვინიხიძემ საკმაოდ მახვილი კუთხიდან გარდასახა და სულ მალე ჯარიმაც დაურთო. ამის შემდეგ კვინიხიძემ და სოხაძემ თითო ჯარიმა გაცვალეს და როცა დრო მიილია, კვინიხიძემ ერთხელაც ჩააჭედა ბურთი ძელებს შორის 18:15. ამ მომენტისთვის მატჩის დასრულებას ხუთიოდე წუთი უკლდა, ხუთიც მგელაძემ დაამატა. ამ ათ წუთში კვინიხიძემ ორჯერ ააცილა კარს და უნებურად მატჩს ინტრიგაც შეუნარჩუნა, მაგრამ შტურმზე გადასული „ყოჩები" ორჯერ დაჯარიმდნენ შეტევაში და სოხაძეს დასარტყმელი პოზიცია ვერ მოუპოვეს.

„ლოკომოტივის" კაპიტანმა კახა ალანიამ ბოლო ოთხ წელში მესამედ ჩაიბარა „ბზის თასი". რკინიგზელთა კლუბმა დუბლი შეასრულა, ჩემპიონატის წინ საქართველოს თასიც ხომ ალანიამ შემართა.

**ბაჩო სვანიძე**

ძალოსნობა

# გიორგი ასანიძე პოლონეთში გამოიზამთრებს

**სპორტის** სხვა სახეობებში ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშება წლები გრძელდება, ძალოსნებმა კი მთელი ეს პროცედურა ორად ორ ტურნირში ჩაატიეს. საგზურების ოთხი მეხუთედი ნოემბერში, ვანკუვერულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშდა, ხელმოცარულებს კი ნუგეშად გაზაფხულზე უკრაინაში ჩასატარებელი ევროპაღა დარჩათ.

გაითვალისწინეს რა გუნდის ლიდერ გიორგი ასანიძის ტრავმა, ქართული ძალოსნობის თავკაცებმა კანადაში წასვლა თავიდანვე გამორიცხეს და ბოლო შანსის იმედად დარჩენა გადაწყვიტეს. ერთწლიანი იძულებითი დასვენების შემდეგ ასანიძემ ვარჯიში სულ ახლახან განაახლა და დატვირთვებს ნელ-ნელა ეჩვევა. თუმც თბილისურ პირობებში რომ ჩვეული ფორმის აღდგენა გაუჭირდება, თავადაც კარგად უწყის და ამასწინდელ ინტერვიუში მისმა პირადმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმაც დაადასტურა. გამოცდილმა სპეციალისტმა მაშინ პირდაპირ თქვა, თუ გიორგი აპრილამდე ჩემთან პოლონეთში არ მოემზადა, დიდი შანსია, ოლიმპიადამ უმისოდ ჩაიაროსო.



გიორგი ასანიძე და ვანო გრიქუროვი ისევ ერთად იქნებიან

ამ დღეებში ვანო გრიქუროვი საქართველოში დაბრუნდა და ასანიძის საკითხიც კიდევ ერთხელ წამოწია წინა პლანზე. იგი ნიჭიერი ახალგაზრდების შველასაც ეშურება, მაგრამ საამისო ფინანსების გამონახვა ახლო მომავალში შეუძლებელი ჩანს.

წინასწარი ინფორმაციით, ასანიძე პოლონეთში იანვრის შუა რიცხვებში ჩავა და ევროპის ჩემპიონატამდე იქვე ივარჯიშებს. გრიქუროვი კი საქართველოში კვირამდე დარჩება. სავარაუდოდ იგი ამ დღეებს მშობლიურ ცხინვალში გაატარებს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

ხელბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

### მერვედფინალი

*სიუდად რეალი* (ესპანეთი) 36:28; 33:32 შამბერი (საფრანგეთი)
ბარსელონა (ესპანეთი) 33:29; 26:31 *ფოტექსი* (უნგრეთი)
*ფლენსბურგი* (გერმანია) 34:29; 33:20 კოლდინგი (დანია)
სკიერნ ჰანდბალი (დანია) 30:25; 24:34 *მაგდებურგი* (გერმანია)
ლიუბლიანა (სლოვენია) 28:28; 27:32 *ლემგო* (გერმანია)
*პიკ სეგედი* (უნგრეთი) 29:22; 26:27 მონპელიე (საფრანგეთი)
ვინტერტური (შვეიცარია) 32:29; 24:32 *ზაგრები* (ხორვატია)
ადემარ ლეონი (ესპანეთი) 38:25; 21:34 *პივოვარნა ლაშკო* (სლოვენია)

„პივოვარნამ" „ადემარ ლეონს" სტუმრად გატანილი გოლებით აჯობა

### მეოთხედფინალი

ფლენსბურგი — ზაგრები : პივოვარნა ლაშკო — ლემგო
პიკ სეგედი — მაგდებურგი : სიუდად რეალი — ფოტექსი

მატჩები 14 და 21 თებერვალს გაიმართება

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

19 დეკემბერი

დეტროიტი 3:2 ჩიკაგო
*1:1 1:0 1:1*
კოლუმბუსი 1:2 კალგარი
*0:2 0:0 1:0*
ვაშინგტონი 2:2 ტორონტო
*0:1 2:1 0:0 0:0*
ფლორიდა 1:0 დალასი
*0:0 1:0 0:0*
ბუფალო 2:5 ნიუ ჯერსი
*0:0 1:2 1:3*
ანაჰაიმი 1:0 კოლორადო
*1:0 0:0 0:0*

20 დეკემბერი

ბოსტონი 1:2 კაროლინა
*0:0 0:1 1:1*
ედმონტონი 0:3 ვანკუვერი
*0:0 0:2 0:1*
ლოს ანჯელესი 3:3 კოლორადო
*2:2 1:0 0:1 0:0*
მინესოტა 5:2 კოლუმბუსი
*2:1 2:0 1:1*
ნეშვილი 1:0 დეტროიტი
*0:0 0:0 1:0*
ოტავა 3:1 რეინჯერსი
*1:1 2:0 0:0*
ფილადელფია 3:1 აილენდერსი
*0:0 1:1 2:0*
პიტსბურგი 4:7 ატლანტა
*1:2 2:3 1:2*
სენტ ლუისი 1:1 ფინიქსი
*0:1 1:0 0:0 0:0*
ტამპა 1:2 დალასი
*0:1 1:1 0:0*
ტორონტო 4:2 მონრეალი
*0:1 1:0 3:1*

21 დეკემბერი

ვაშინგტონი 4:5 აილენდერსი
*1:1 2:2 1:2*
ატლანტა 4:1 ფილადელფია
*1:0 2:1 1:0*
ჩიკაგო 2:2 ნიუ ჯერსი
*0:0 0:1 2:1 0:0*
ანაჰაიმი 1:2 სან ხოსე
*0:1 1:1 0:0*



„აილენდერსის" მეკარე რიკ დიპიეტრო ვაშინგტონელი რობერტ ლანის დარტყმულმა გააგორა

REUTERS

ცურვა

# კაცია თუ წყალქვეშა ნავი?

## ჩაყვინთვაზე ძნელი ამოყვინთვა ყოფილა

**მეორე** მსოფლიო ომზე გადაღებული ფილმებიდან იქნებ გახსოვდეთ — 150 მეტრზე ჩასული წყალქვეშა ნავები წნევას ვეღარ უძლებენ და ჭახჭახი გააქვთ. აი, ინგლისელმა მარკ ილაიატმა კი ტაილანდში აკვალანგით... 313 მეტრზე ჩაყვინთა და იქიდანაც ცოცხალმა და უვნებელმა ამოყვინთა. ამით მან 2001 წლის 6 ნოემბერს თავისი თანამემამულე მყვინთავის ჯონ ბენეტის მიერ დამყარებული რეკორდი 5 მეტრით გააუმჯობესა.

მარკ ილაიატმა ჩაყვინთვას 12 წუთი მოანდომა, ხოლო ამოყვინთვას 6 საათი და 40 წუთი.

ჩაყვინთვა-ამოყვინთვაში ასეთი სხვაობა იმით იყო განპირობებული, რომ როგორც ცნობილია, ამოყვინთვისას ადამიანებს კესონის ავადმყოფობა ემართებათ, რაც ხშირად სიკვდილით მთავრდება. ამიტომაც მარკი ამოყვინთვისას გზადაგზა ბევრჯელ შეჩერდა.

ახალი რეკორდსმენი ამ ჩაყვინთვისთვის მთელ ათ წელიწადს ემზადებოდა. როგორც თავად თქვა, მისი მიზანი რეკორდის დამყარება კი არა, მყვინთავებისთვის დიდი სიღრმიდან ამოსვლის უხიფათობის ახალი სტანდარტების დამუშავება და შემოწმება იყო.


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 39- 40-08

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

4 იანვარს ყველა მოქალაქეს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს მომავლის მშენებლობაში ამისათვის მონაწილეობა უნდა მივიღოთ საპრეზიდენტო არჩევნებში

* * *

<u>საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით :</u>

- აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენას;
- ამომრჩეველს შეუძლია დაიცვას საკუთარი არჩევანის კონფიდენციალურობა;
- საარჩევნო კანონმდებლობის დამრღვევ პირს დაეკისრება საარჩევნო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;

ჩვენი მომავალი ჩვენს ხელშია!

IRI USAID nGnI საონს

კითხვარი

სახელი, გვარი ______________ ასაკი ____________
ტელეფონი ______________

პირველ რიგში რომელი პრობლემის მოგვარებას მოთხოვდით პრეზიდენტს:

☐ ტერიტორიული მთლიანობა
☐ სოციალური პრობლემების გადაწყვეტა
☐ კორუფციის აღმოფხვრა
☐ დასაქმება
☐ სხვა: ______________________

(თითოეულ კვადრატში ჩაწერეთ რამდენად აქტუალურად მიგაჩნიათ თითოეული პრობლემა 1-დან 5-მდე ქულა. ყველაზე აქტუალური 1, ყველაზე ნაკლებ აქტუალური – 5)

კითხვარი შეგიძლიათ მიიტანოთ მაცნეს საგაზეთო ჯიხურებში 4 იანვრამდე. კითხვარების მიხედვით მოხდება გათამაშება. გათამაშდება კინოთეატრ "ამირანის", "რუსთაველის" და "თეატრალური სარდაფის" ბილეთები. იმისათვის რომ მიიღოთ მოგებული პრიზები აუცილებლად უნდა გქონდეთ მონაწილეობა მიღებული 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში. გათამაშება ჩატარდება 6 იანვარს საონს-ის ოფისში 15:00 საათზე. მის: რ. თაბუკაშვილის 17 (სასტუმრო "მერიოტი თბილისის" უკან)



REUTERS ბადენ ბადენიდან

# მაიერი წამოქცეულა

ოდენ 26-ე ადგილს დაჰყაბულებია იტალიურ ალტა ბადიაში გამართული სლალომისას დიადი ავსტრიელი ჰერმან მაიერი. ფოტოზე თქვენ მას ნაფინიშევს — იმედგაცრუებულსა და ენაგადმოგდებულს ხედავთ.




REUTERS ალტა ბადიადან

# ბადენბადენობა

გერმანელმა სპორტზე მწერლებმა წლის საუკეთესო სპორტსმენი კაცი, ქალი და გუნდი გამოავლინეს. კაცობაში განთქმული ველოსრბოლი, წლევანდელი ტურ დე ფრანსის მეორეადგილოსანი იან ულრიხი გამოირჩა, ქალობაში მოცურავე ჰანა შტოკბაუერი, ხოლო წლის გუნდად გერმანელ ქალთა საფეხბურთო ნაკრები მიიჩნიეს, ვინაც აშშ-ში მსოფლიოს პირველობა მოიგო. შტოკბაუერსა და ულრიხს ერთ ფოტოზე ხედავთ, ქალ ფეხბურთელთა მწვრთნელ ტინა ტოინე-მაიერს კი მეორეზე - ფრანც ბეკენბაუერთან ერთად. ლაურეატთა დაჯილდოება ბადენ ბადენში მოხდა.

# წაუსანტაკლაუსეს



REUTERS მონრეალიდან

ესენი „სიეტლ სიჰოუკსის“ ფანები არიან. მათი გუნდისა და „არიზონა კარდინილსის“ ამერიკული ბურთაობისას მათ აიღეს და სტადიონზე სანტა კლაუსის ნიღბებით გაიჩითნენ.




REUTERS მონრეალიდან



REUTERS ბადენ ბადენიდან

# ნაბრძოლევს

ავსტრალიელმა დენი გრინმა იმ დღეს კანადელი ერიკ ლუკასი ჰკვეთა და WBC-ის ვერსიით სუპერ საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ფოტოობიექტივმა ის მაშინ დააფიქსირა, როცა ბრძოლის შემდეგ გახარებული შმავობდა. მის მიერ ძლეული ლუკასი კი ამ დროს იქით კუთხეში დგას და მწვრთნელს ეწყნარებინება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლალი ხოძერია, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge